# საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგიის 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმის

## 2023 წლის შესრულების მონიტორინგის ანგარიში

2024 წელი

## მოკლე შეჯამება

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბერის N2665 განკარგულებით დამტკიცებული საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგია წარმოადგენს ქვეყნის განვითარების ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილს, ყველა იმ სექტორული თუ მულტისექტორული განვითარების მიმართულებებს და კონკრეტული ღონისძიებების ერთობლიობას, რომელთა განხორციელება უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობისა და სოფლის მდგრად განვითარებას.

სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგიული ხედვის განსახორციელებლად განსაზღვრულია 3 სტრატეგიული მიმართულება:

- კონკურენტუნარიანი სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო სექტორები;
- ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება, ეკოსისტემების შენარჩუნება, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია;
- სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეფექტური სისტემები.

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგიის 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმა **2023 წლისთვის მოიცავს 68 აქტივობას, აქედან 13 აქტივობა ფარავს** სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამა (ENPARD) - მეოთხე ფაზის შესრულების ინდიკატორების წლიურ შესრულებას.

2023 წელს, 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმის მიხედვით, გათვალისწინებული იყო აქტივობების დაფინანსება საერთო ბიუჯეტით **841,459,100** ლარი, ხოლო საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტის ფაქტიურმა ათვისებამ შეადგინა **975,876,052.89** ლარი.

| სტრატეგიული მიზანი | ამოცანა | აქტივობების რაოდენობა | 2023 წლის საპროგნოზო ბიუჯეტი (ლარი) | 2023 წლის ბიუჯეტის შესრულება (ლარი) |
|---|---|---|---|---|
| 1. კონკურენტუნარიანი სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო სექტორები | 1.1: ფერმერთა და მეწარმეთა ცოდნის / ინფორმირებულობის ამაღლების უზრუნველყოფა | 2 | 275,000.00 | 506,825.09 |
| | 1.2: სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების უზრუნველყოფა, დივერსიფიკაციაზე, ინოვაციურ ტექნოლოგიებზე, კოოპერაციაზე, მწარმოებელთა გაერთიანებების ხელშეწყობაზე ფოკუსირების გზით; ფინანსურ ინსტრუმენტებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა | 23 | 335,598,300.00 | 335,823,982.73 |
| | 1.3 ფერმერთა/მეწარმეთა ბაზარზე ინტეგრაცია | 5 | 17,350,000.00 | 17,348,964.15 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 1.4: სოფლად ახალგაზრდა ფერმერებისა და მეწარმეების სტიმულირება | 1 | 0.00 | 0.00 |
| | 1.5: ინფრასტრუქტურასა და სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა | 9 | 304,012,400.00 | 422,102,712.07 |
| | 1.6: ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების გაუმჯობესება | 4 | 70,000,000.00 | 78,558,781.00 |
| | 1.7 სოფლად ტურიზმისა და შესაბამისი ტურისტული პროდუქტების განვითარება | 3 | 950,000.00 | 777,820.36 |
| **პირველი სტრატეგიული მიზანი** | | **47** | **728,185,700.00** | **855,119,085.40** |
| **2. ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება, ეკოსისტემების შენარჩუნება, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია** | 2.1: გარემოსთან ადაპტირებული, კლიმატგონივრული სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის გავრცელება და ბიო/ორგანული წარმოების განვითარების ხელშეწყობა | 1 | 0.00 | 0.00 |
| | 2.2: ეკოტურიზმის განვითარების ხელშეწყობა | 2 | 17,150,000.00 | 19,604,488.56 |
| | 2.3: ტყის რესურსების მდგრადი გამოყენება | 3 | 37,216,300.00 | 33,620,650.00 |
| | 2.4: ენერგო-ეფექტური და განახლებადი ენერგიის ტექნოლოგიების და პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა | 1 | 0.00 | 0.00 |
| | 2.5: აგრო-ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება | 2 | 1,990,700.00 | 2,391,927.93 |
| **მეორე სტრატეგიული მიზანი** | | **9** | **56,357,000.00** | **55,617,066.49** |
| **3. სურსათის /ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეფექტური სისტემები** | 3.1: ევროკავშირის კანონმდებლობასთან საქართველოს სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის დაახლოება | 2 | 0.00 | 0.00 |
| | 3.2: ადგილობრივი და საექსპორტო ბაზრებისთვის მიწოდებული პროდუქციის შესაბამისობის უზრუნველყოფა სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ სტანდარტებთან | 6 | 47,630,700.00 | 55,276,246.00 |
| | 3.3: ლაბორატორიული შესაძლებლობების გაძლიერება | 1 | 9,136,800.00 | 9,733,523.00 |
| | 3.4: სასოფლო-სამეურნეო წარმოების საშუალებების ხარისხის უზრუნველყოფა | 3 | 148,900.00 | 130,132.00 |
| **მესამე სტრატეგიული მიზანი** | | **12** | **56,916,400.00** | **65,139,901.00** |
| **საერთო ჯამი** | | **68** | **841,459,100.00** | **975,876,052.89** |

**აგროსასურსათო სექტორი - განვითარების ტენდენციები**

აგროსასურსათო სექტორის განვითარების მიმართულებით, 2022 წელს მნიშვნელოვანი პოზიტიური შედეგები დაფიქსირდა.

2022 წლის მონაცემებით, სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობებში პროდუქციის გამოშვების (სოფლის მეურნეობის პირველადი პროდუქციის გამოშვება) მაჩვენებელმა 7.4 მილიარდი ლარი შეადგინა, რაც 2018 წლის მაჩვენებელს 39.8%-ით, ხოლო 2021 წლის მონაცემს - 10.2%-ით აღემატება.

2022 წლის მონაცემებით, სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამუშავების შედეგად მიღებულმა პროდუქციის გამოშვების მაჩვენებელმა 9.0 მილიარდი ლარი შეადგინა, რაც 2018 წლის მაჩვენებელს 58.7%-ით, ხოლო 2021 წლის მონაცემს - 16.1%-ით აღემატება.

2022 წლის მონაცემებით, სექტორში შექმნილი მთლიანმა შიდა პროდუქტმა 4.8 მილიარდი ლარი შეადგინა, რაც 2018 წლის მაჩვენებელს 40.8%-ით აღემატება, ხოლო 2021 წლის მონაცემებს 10.1%-ით.

2023 წელს, აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტის ღირებულებამ 1 437 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 471 მლნ აშშ დოლარით (48.8%) აღემატება 2018 წლის მაჩვენებლებს, ხოლო 2022 წლის მონაცემებს 14.8%-ით.

# სტრატეგიული მიზანი 1: კონკურენტუნარიანი სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო სექტორები

სტრატეგიული მიზანი 1 - კონკურენტუნარიანი სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო სექტორები მოიცავს 7 ამოცანას და 47 აქტივობას.

## ამოცანა 1.1. ფერმერთა და მეწარმეთა ცოდნის / ინფორმირებულობის ამაღლების უზრუნველყოფა

1.1. ამოცანის შესრულების მიზნით, 2023 წელს 2 აქტივობა განხორციელდა - ფერმერთათვის ეფექტიანი საექსტენციო მომსახურების მიწოდება და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება აგრარული მიმართულებით, ამოცანის აქტივობები განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მის სტრუქტურაში შემავალი სააგენტოებისა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ.

**ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული აქტივობების შედეგად, 2023 წლის განმავლობაში:**

⇒ საკონსულტაციო მომსახურება გაეწია 33,688 ბენეფიციარს (ფიზიკური და იურიდიული პირი);

⇒ სოფლის მეურნეობის მიმართულების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩაირიცხა 750 პირი, რაც 2022 წლის მაჩვენებელთან (516 პირი) შედარებით, 31% - ით მეტია.

**1.1 ამოცანის შესრულების მიზნით 2023 წელს, სახელმწიფოს მიერ, ამოცანის განხორციელებისთვის გახარჯულია 506,825.09 ლარი.**

## აქტივობა 1.1.1. ფერმერთათვის ეფექტიანი საექსტენციო მომსახურების მიწოდება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო

აქტივობის მიზანი: ფერმერებისათვის და აგრარულ სფეროში დასაქმებული სოფლად მცხოვრები მოსახლეობისათვის სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის განხორციელება საოფისე, დისტანციურ და საველე პირობებში. ექსტენციის სამსახურები დარგობრივი მიმართულებით საინფორმაციო-საკონსულტაციო საქმიანობის განხორციელების პარალელურად, უზრუნველყოფენ სააგენტოს მიერ განხორციელებული და მიმდინარე პროექტების პოპულარიზაციას.

**განხორციელებული ღონისძიებები**

2023 წლის განმავლობაში 9 რეგიონული სამსახურისა და 45 საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის მიერ საერთო ჯამში გაიცა 24,342 კონსულტაცია. საკონსულტაციო მომსახურება გაეწია 33,688 ბენეფიციარს (ფიზიკური და იურიდიული პირი). სოფლად, ადგილობრივ მოსახლეობასთან საინფორმაციო - საექსტენციო შეხვედრების რაოდენობამ შეადგინა 908 ერთეული.

საკონსულტაციო მომსახურება ხორციელდებოდა სხვადასხვა საშუალებით: ოფისში, სატელეფონო საუბრებით, SMS შეტყობინებებით, დაინტერესებულ პირთა ფართობებში ვიზიტით, სოფლებში ფერმერებთან ჯგუფური შეხვედრებით, შეხვედრებით იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებრივ ცენტრებში, ელექტრონული ფოსტისა და სოციალური ქსელების გამოყენებით.

საექსტენციო მომსახურეობის მეტი ხელმისაწვდომობის მიზნით, რეგიონული სამსახურები და საინფორმაციო - საკონსულტაციო ცენტრების თანამშრომლები სარგებლობენ შემდეგი ელექტრონული პლატფორმებით:

- 1. **regions.mepa.gov.ge** - ხდება ფერმერთა პრობლემებზე ოპერატიული რეაგირება, გაწეული კონსულტაციების აღრიცხვა, სტიქიების აღრიცხვა, ფერმერთა ტრენინგების აღრიცხვა, სხვადასხვა საინფორმაციო შეტყობინებების გაგზავნის შესაძლებლობები;
- 2. **elibrary.mepa.gov.ge** - მოიცავს ელექტრონულ ბიბლიოთეკას, სადემონსტრაციო ნაკვეთების ეროვნულ ქსელს, ღონისძიებების კალენდარს, წარმატებულ პროექტებს, სიახლეების გამოწერის ველს;

➢ 3. **my.mepa.gov.ge** - ფერმერთა ერთიანი ელექტრონული პორტალი.

2023 წელს რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტი ჩართული იყო როგორც ,,რთველი 2023“-ის და ,,2023 წლის არასტანდარტული ვაშლის რეალიზაციის ხელშეწყობის ღონისძიებების“ პროგრამებში, ასევე, „თხილის წარმოების ხელშეწყობის პროგრამაში“. აგრეთვე, 2023 წლის 2 და 17 სექტემბერს კახეთის რეგიონში სეტყვის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დახმარების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებში.

რეგიონული სამსახურების მიერ შემუშავდა, შიდა მოხმარებისთვის ოპერატიულ - სტატისტიკური მონაცემების დოკუმენტი - ,,მონაცემთა ბაზები 2023“.

## ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

2023 წელს, დაგეგმილი იყო, რომ საკონსულტაციო მომსახურება გაეწევა 50,000 ბენეფიციარს (ფიზიკური და იურიდიული პირი). საანგარიშო პერიოდში საკონსულტაციო მომსახურება გაეწია 33,688 ბენეფიციარს (ფიზიკური და იურიდიული პირი).

***შენიშვნა:*** *2023 წლის ინდიკატორის შესრულების დაბალი %, გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ კონსულტაციების აღრიცხვა სრულად ხდება ელექტრონულად - Regions.mepa.gov.ge-ზე, მხოლოდ კონსულტაციის მიმღები პირის თანხმობის შემთხვევაში. შესაბამისად, პერსონალური მონაცემების გამოყენებაზე უარი აფერხებს გაცემული კონსულტაციების სრულყოფილად აღრიცხვის პროცესს. ამასთან, აქტივობა განხორციელდა ადმინისტრაციული ხარჯის ფარგლებში.*

აქტივობა განხორციელდა ადმინისტრაციული ხარჯის ფარგლებში.

| ამოცანა 1.1 ფერმერთა და მეწარმეთა ცოდნის/ინფორმირებულობის ამაღლების უზრუნველყოფა | |
|---|---|
| პროგრამის ნომერი და სახელწოდება | აქტივობა 1.1.1. ფერმერთათვის ეფექტიანი საექსტენციო მომსახურების მიწოდება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2023 – 31.12.2023 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2023 წელს, საკონსულტაციო მომსახურება გაეწევა 50,000 ბენეფიციარს (ფიზიკური და იურიდიული პირი). | **შესრულებული:**<br>2023 წელს, საკონსულტაციო მომსახურება გაეწია 33,688 ბენეფიციარს (ფიზიკური და იურიდიული პირი). |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 0.00 ლარი | **ფაქტობრივი:** 0.00 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | X | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

## აქტივობა 1.1.2: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება აგრარული მიმართულებით

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო/ პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი

<u>აქტივობის მიზანი:</u> სოფლის მეურნეობის მიმართულების პროგრამების შეთავაზება დაინტერესებული პირებისათვის, რათა აგრარული სექტორი უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი განათლების მქონე სპეციალისტებით.

**განხორციელებული ღონისძიებები**

2023 წელს განსაზღვრული იყო სოფლის მეურნეობის მიმართულების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული პირების რაოდენობის ზრდა 2022 წლის მაჩვენებელთან შედარებით 3%-ით. აღნიშნული მიმართულებით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობამ საანგარიშო პერიოდში შეადგინა 981. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მოწოდებული მონაცემების შესაბამისად, 2023 წელს, სოფლის მეურნეობის მიმართულების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩაირიცხა 750-მდე პირი, რაც 2022 წლის მაჩვენებელთან შედარებით (803 პირი) არ შეადგენს 3%-იან ზრდას. თუმცა, 2022 წლის საპროგნოზო მაჩვენებელთან შედარებით (516) 2023 წლის ფაქტიური შესრულება იყო 31%. ამასთან, ინდიკატორის (1.1.2.1) თანახმად, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სოფლის მეურნეობის მიმართულებით ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობის ზრდა საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით განსაზღვრული იყო 11.4%-ით, რამაც ფაქტობრივი მაჩვენებლების მიხედვით, შეადგინა 54%-იანი ზრდა (საბაზო და საბოლოო მაჩვენებელს შორის), რითაც საბოლოოდ შესრულებულ იქნა ინდიკატორით გათვალისწინებული ვალდებულება.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

სამოქმედო გეგმით, 2023 წელს დაგეგმილი იყო - 275,000.00 ლარის ოდენობით საპროგნოზო ბიუჯეტი. აღნიშნული მიმართულების პროგრამებზე 2023 წელს ჩარიცხული სტუდენტების ვაუჩერული დაფინანსების ოდენობამ შეადგინა 506,825.09 ლარი.

| ამოცანა 1.1 ფერმერთა და მეწარმეთა ცოდნის/ინფორმირებულობის ამაღლების უზრუნველყოფა | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.1.2: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება აგრარული მიმართულებით |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო/პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2023 – 31.12.2023 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2023 წელს: პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სოფლის მეურნეობის მიმართულებით ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა 2022 წლის მაჩვენებელთან შედარებით გაიზრდება 3%-ით; | **შესრულებული:**<br>2023 წელს, სოფლის მეურნეობის მიმართულების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩაირიცხა 750-მდე პირი, რაც 2022 წლის საპროგნოზო მაჩვენებელთან შედარებით (516 პირი) შეადგენს 31%-იან ზრდას. |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო**: 275,000.00 ლარი | **ფაქტობრივი:** 506,825.09 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

## ამოცანა 1.2: სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების უზრუნველყოფა, დივერსიფიკაციაზე, ინოვაციურ ტექნოლოგიებზე, კოოპერაციაზე, მწარმოებელთა გაერთიანებების ხელშეწყობაზე ფოკუსირების გზით; ფინანსურ ინსტრუმენტებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

1.2 ამოცანის შესრულების მიზნით, 2023 წელს 23 აქტივობა განხორციელდა, მათ შორის,სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების გადამამუშავებელი დანადგარებით აღჭურვა, თანამედროვე ხეხილის ბაღების გაშენების ხელშეწყობა, ქართული ჩაის წარმოების ხელშეწყობა, სადაზღვევო პრემიის სუბსიდირება, აგროდაზღვევის განვითარების მიზნით, აგროკრედიტების საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება, ფერმერებისთვის მოსავლის ამღები ტექნიკის შეძენის თანადაფინანსება, შემნახველი და გადამამუშავებელი საწარმოების შექმნა/გადაიარაღების თანადაფინანსება, ხარისხის სქემების განვითარება და მხარდაჭერა

ეროვნულ და რეგიონალურ დონეზე, ინდუსტრიების მიმართულებით კრედიტისა და ლიზინგის საგნის პროცენტის თანადაფინანსება, სასტუმრო ინდუსტრიის განვითარება/გაფართოების მიმართულებით კრედიტისა და ლიზინგის საგნის პროცენტის თანადაფინანსება, სასათბურე კლასტერის მოწყობა, კოოპერატივების ბიზნეს-საქმიანობის მოდერნიზების მხარდაჭერა,სოფლად არასასოფლო-სამეურნეო მიმართულებით ქალების დასაქმების ხელშეწყობა,შერჩეული LEADER/CLLD-ის ინიციატივების ფინანსური მდგრადობის ხელშეწყობა, ფერმერებისთვის სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციის შეძენის თანადაფინანსება, ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლების ინვენტარიზაცია,სასათბურე მეურნეობის მოსაწყობისთვის ფინანსური და ტექნიკური დახმარება ეკონომიურად არააქტიური ქალებისათვის,თხილის ბაღების მესაკუთრეების ან/და მფლობელებისთვის, თხილის მოვლა-მოყვანისთვის საჭირო საქონლის ღირებულების სუბსიდირება,სოფლად სოციალურ-ეკონომიკური და გარემოსდაცვითი საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა,ბიო წარმოების ზრდის ხელშეწყობა,რეგიონებში ინოვაციური პროდუქტების, მომსახურების, ტექნოლოგიების დანერგვის, ტესტირებისა ან/და გაუმჯობესების და მათი შემდგომი კომერციალიზაციის მიზნით, ადგილობრივი სტარტაპების დაფინანსება,ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით, კომპანიების საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობის თანადაფინანსება,საბაზრო კავშირების დამყარების პროგრამის (Business lead generation ) განხორციელება ქართული აგროკომპანიებისათვის.

ამოცანის ყველა აქტივობა განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა, მის სტრუქტურაში შემავალი სააგენტოების და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ.

**ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული აქტივობების შედეგად, 2023 წლის განმავლობაში:**

⇒ განხორციელდა 3 სასოფლო - სამეურნეო კოოპერატივის ნედლეულის მიმღებ - გადამამუშავებელი საწარმოების მოწყობის/აღჭურვის თანადაფინანსება
⇒ განხორციელდა 8 კოოპერატივისთვის თაფლის წარმოებისთვის საჭირო ხელსაწყო - დანადგარების შეძენის თანადაფინანსება.
⇒ გაშენდა/დაკონტრაქტდა 2,610.32 ჰა ფართობის ინტენსიური და ნახევრადინტენსიური ტიპის ბაღი;
⇒ განხორციელდა 120.97 ჰა ფართობის სრული/ნაწილობრივი რეაბილიტაცია;
⇒ დაზღვეულ იქნა 16,641.34 ჰა სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი;
⇒ განხორციელდა 38,907 შეღავათიანი სასოფლო-სამეურნეო სესხის/ლიზინგის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება (მომსახურება გაეწია);
⇒ განხორციელდა 62 ბენეფიციარისთვის მოსავლის ამღები ტექნიკის შეძენის თანადაფინანსება;
⇒ სრულად ან ნაწილობრივ დაფინანსდა 59 გადამამუშავებელი საწარმოს ან/და შემნახველი ინფრასტრუქტურის შექმნა;
⇒ შემუშავდა/გადაიხედა 6 ახალი გეოგრაფიული სპეციფიკაციები;

- ⇒ თანადაფინანსება გაეწია 432 ახალი ან არსებული საწარმოს გაფართოებას /გადაიარაღებას /მოდერნიზებას.
- ⇒ თანადაფინანსება გაეწია 171 ახალი ან არსებული სასტუმროს გაფართოებას /გადაიარაღებას /მოდერნიზებას.
- ⇒ 17 კოოპერატივმა დაარეგისტრირა აგრო-სასურსათო პროდუქტი, ბრენდი და/ან სასაქონლო ნიშანი.
- ⇒ 2023 წელს, დამტკიცდა LEADER/CLLD მიდგომაზე დაფუძნებული ადგილობრივი მხარდაჭერის პროგრამა. სამინისტროს განცხადებით მომართა 3-მა ავტორიზაციის მაძიებელმა (არასამეწარმეო/არაკომერციულმა იურიდიულმა პირმა) და დაწყებულია მათი განცხადებების განხილვის პროცედურა.
- ⇒ განხორციელდა 52 ბენეფიციარისთვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენის თანადაფინანსება.
- ⇒ ინვენტარიზებულია 2718.75 ჰა ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლები. (დედოფლისწყარო-1503.3 ჰა; კასპის-560.83  ჰა; ქარელი-499.73 ჰა; დუშეთი-154.89ჰა)
- ⇒ განხორციელდა 8 ქალი ბენეფიციარისთვის სასათბურო მეურნეობის მოწყობის თანადაფინანსება.
- ⇒ განხორციელდა 43,952.71 ჰა თხილის პლანტაციების სუბსიდირება.
- ⇒ საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცდა "ლიდერ პროგრამა".
- ⇒ დაიწყო 40 ბენეფიციარის ბიომეურნეობის სერტიფიცირების პროცესი.
- ⇒ საქართველოს რეგიონებში საანგარიშო წელს დაფინანსდა 41 სტარტაპი
- ⇒ თანადაფინანსება გაეწია 70 აგროპროდუქტების მწარმოებელ ბენეფიციარს სხვადასხვა საერთაშორისო გამოფენებზე, შესაბამის პრიორიტეტულ ბაზრებზე.
- ⇒ 2023 წელს 50 კომპანიისთვის განხორციელდა ბიზნეს შეხვედრების (b2b) ორგანიზება მათთვის შერჩეულ უცხოელ პოტენციურ შემსყიდველებთან.

**1.2 ამოცანის შესრულების მიზნით 2023 წელს, სახელმწიფოს მიერ, ამოცანის განხორციელებისთვის გახარჯულია  335,823,982.73 ლარი.**

## აქტივობა 1.2.2. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების გადამამუშავებელი დანადგარებით აღჭურვა

### (ა) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ინფრასტრუქტურის განვითარება

### (ბ) მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერა

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო

აქტივობის მიზანი: „მეფუტკრეობის სასოფლო - სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის" მიზანია სასოფლო - სამეურნეო კოოპერატივების საფუტკრე მეურნეობების მატერიალურ - ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და წარმოებული თაფლისა და მეფუტკრეობის სხვა პროდუქტების ხარისხისა და რაოდენობის ზრდა. ,,სასოფლო - სამეურნეო კოოპერატივების შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამის" მიზანია სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციისა და პირველადი სასოფლო-

სამეურნეო პროდუქციის სტანდარტიზაციის ხელშეწყობა. „სასოფლო - სამეურნეო კოოპერატივებისათვის კენკროვანი კულტურების შესანახი მაცივრების თანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამის“ მიზანს წარმოადგენს სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის ხელშეწყობა და ა(ა)იპ ,,სოფლის განვითარების სააგენტოს“ მიერ განხორციელებული პროექტების/პროგრამების ფარგლებში გაშენებული კენკროვანი კულტურების ბაღებიდან მიღებული მოსავლის აგროტექნოლოგიური სტანდარტების დაცვით შენახვის უზუნველყოფა.

**განხორციელებული ღონისძიებები**

2023 წელს აქტივობის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად მიღებულ იქნა შემდეგი შედეგები:

1) „მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა“:

- იმ ბენეფიციარების რაოდენობა, ვისთანაც გაფორმდა ხელშეკრულება - 6;
- სააგენტოს თანადაფინანსების ოდენობა დამტკიცებულ პროექტებში - 97,048 ლარი.

2) ,,სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის კენკროვანი კულტურების შესანახი მაცივრების თანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამა":

- იმ ბენეფიციარების რაოდენობა, ვისთანაც გაფორმდა ხელშეკრულება - 1;
- სააგენტოს თანადაფინანსების ოდენობა დამტკიცებულ პროექტებში - 250,000 ლარი.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2023 წელს, პროგრამების ფარგლებში, განხორციელდება 13 სასოფლო - სამეურნეო კოოპერატივის ნედლეულის მიმღებ-გადამამუშავებელი საწარმოების მოწყობის/არჭურვის თანადაფინანსება. საანგარიშო პერიოდში, განხორციელდა 3 სასოფლო - სამეურნეო კოოპერატივის ნედლეულის მიმღებ - გადამამუშავებელი საწარმოების მოწყობის/აღჭურვის თანადაფინანსება და 8 კოოპერატივისთვის თაფლის წარმოებისთვის საჭირო ხელსაწყო - დანადგარების შეძენის თანადაფინანსება.

2023 წელს, აქტივობის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებებისთვის, საპროგნოზო ბიუჯეტი განისაზღვრა 5,000,000.00 ლარით, ხოლო ბიუჯეტის ფაქტიურმა ათვისებამ შეადგინა 2,322,064.56 ლარი.

***შენიშვნა:*** *თანადაფინანსების გაცემა ხდება ტრანშებად ბენეფიციარების მიერ ვალდებულებების შესრულების შესაბამისად და აღნიშნული პროცესი შეიძლება ერთ წელზე დიდხანს გაგრძელდეს.*

ამოცანა 1.2. სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების უზრუნველყოფა, დივერსიფიკაციაზე, ინოვაციურ ტექნოლოგიებზე, კოოპერაციაზე, მწარმოებელთა გაერთიანებების ხელშეწყობაზე ფოკუსირების გზით; ფინანსურ ინსტრუმენტებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

| | |
|---|---|
| პროგრამის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.2.2. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების გადამამუშავებელი დანადგარებით აღჭურვა |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი: | 01.01.2023 - 31.12.2023 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2023 წელს, განხორციელდება 13 სასოფლო - სამეურნეო კოოპერატივის ნედლეულის მიმღებ-გადამამუშავებელი საწარმოების მოწყობის/არჭურვის თანადაფინანსება. | **შესრულებული:**<br>2023 წელს, განხორციელდა 3 სასოფლო - სამეურნეო კოოპერატივის ნედლეულის მიმღებ - გადამამუშავებელი საწარმოების მოწყობის/აღჭურვის თანადაფინანსება და 8 კოოპერატივისთვის თაფლის წარმოებისთვის საჭირო ხელსაწყო - დანადგარების შეძენის თანადაფინანსება. |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 5,000,000.00 ლარი | **ფაქტობრივი:** 2,322,064.56 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | X | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

## აქტივობა 1.2.3. თანამედროვე ხეხილის ბაღების გაშენების ხელშეწყობა

**პასუხისმგებელი უწყება:** საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო

**პროგრამის მიზანი:** საქართველოში არსებული სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწების ეფექტური გამოყენება მრავალწლიანი კულტურების გაშენების გზით, რის შედეგადაც განხორციელდება იმპორტირებული პროდუქციის ჩანაცვლება და გაიზრდება საექსპორტო პოტენციალი, გაადვილდება გადამამუშავებელი საწარმოების ნედლეულით უზრუნველყოფის შესაძლებლობა და გაუმჯობესდება სოფლად მოსახლეობის სოციალურ - ეკონომიკური მდგომარეობა.

**განხორციელებული ღონისძიებები**

2023 წლის განმავლობაში სახელმწიფო პროგრამაში „დანერგე მომავალი“ განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

1. ბაღების კომპონენტის ფარგლებში - ბენეფიციარს შესაძლებლობა მიეცა, როგორც ნერგების იმპორტის გზით, ასევე, ნერგების ადგილობრივ სანერგე მეურნეობაში შეძენის შემთხვევაში,

ნერგების მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე საკუთარი თანამონაწილეობის თანხის სრულად ან ნაწილობრივ გადარიცხვა/ჩარიცხვა განახორციელოს სააგენტოში განაცხადის წარდგენამდე ან/და განაცხადის წარდგენის შემდეგ. ამავდროულად, 6 თვიანი გადარიცხვის ვადა, რომელიც დაშვებული იყო მხოლოდ იმპორტირებულ ნერგებზე ცვლილების განხორციელებამდე გაზრდილია არაუმეტეს 12 თვით, რაც ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ჩაითვლება ბენეფიციარის თანამონაწილეობად. ვადის გაზრდა განპირობებულია აგროვადების ასპექტის გათვალისწინებით, რადგანაც ხშირ შემთხვევაში საჭიროა უცხოურ სანერგე მეურნეობებთან 12 თვით ადრე განხორციელდეს შეკვეთა იმ კონკრეტულ ნერგებზე, რაც პოტენციურ ბენეფიციარს სჭირდება პროგრამის ფარგლებში და ამისათვის არსებულმა პრაქტიკამ აჩვენა, რომ 6 თვე საკმარისი არ არის, ხოლო ადგილობრივი სანერგე მეურნეობების წარმადობისა და წარმოების მოცულობებიდან გამომდინარე მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი სანერგეა, ბენეფიციარებს უხდებათ წინასწარ ნერგების მოთხოვნა და აღნიშნულს სჭირდება საკმაოდ დიდი დრო, რათა სანერგემ უზრუნველყოს სასურველი რაოდენობის ნერგების გამოყვანა. შესაბამისად, სანერგე მეურნეობები ხშირ შემთხვევაში წინასწარ ითხოვენ ბენეფიციარებისგან ნერგების ღირებულების ნაწილს;

2. ბაღების კომპონენტის ფარგლებში - კომპონენტის მე-12 მუხლის მე-6 პუნქტი ითვალისწინებდა პირობას რომ, სააგენტოს თანადაფინანსების გაცემა განხორციელდება მას შემდეგ, რაც ბენეფიციარი წარმოადგენს სააგენტოში საკუთარი თანამონაწილეობის თანხის სრულად გადარიცხვის/ჩარიცხვის დამადასტურებელ დოკუმენტს. შევიდა ცვლილება და ბენეფიციარებს მიეცათ შესაძლებლობა, ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ, მიმწოდებლ(ებ)ის ანგარიშზე გადარიცხონ სააგენტოსთან გაფორმებული თანადაფინანსების ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკუთარი თანამონაწილეობის თანხა სრულად და ხელშეკრულებით მისაღები თანადაფინანსების თანხა სრულად ან ნაწილობრივ, რადგან ხშირ შემთხვევაში მიმწოდებლებისათვის გადარიცხული ბენეფიციარის საკუთარი თანამონაწილეობის თანხა არასაკმარისია, ხელშეკრულებით/ინვოისით გათვალისწინებული მისაწოდებელი პროდუქციის საავანსოდ.

2023 წელს განხორციელდა სახელმწიფო პროგრამის „დანერგე მომავალი“ ფარგლებში გაშენებული 8 ბაღის მონახულება/დათვალიერება შიდა ქართლის, გურიის, სამეგრელო-ზემო სვანეთის და კახეთის რეგიონებში.

2023 წელს, აქტივობის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად მიღებულ იქნა შემდეგი შედეგები:

1. საანგარიშო პერიოდში გაფორმებული ხელშეკრულებების (პროექტების) რაოდენობა - 532 (აქედან: ბაღების კომპონენტის ფარგლებში 412 ხელშეკრულებაა გაფორმებული; დაზიანებული ნერგების ჩანაცვლების კომპონენტის ფარგლებში 2 ხელშეკრულებაა გაფორმებული; სეტყვის საწინააღმდეგო სისტემის მოწყობის კომპონენტის ფარგლებში 10 ხელშეკრულებაა გაფორმებული; შესაწამლი აპარატის შესყიდვის დაფინანსების კომპონენტის ფარგლებში 1 ხელშეკრულებაა გაფორმებული; წვეთოვანი სარწყავი სისტემების მოწყობის კომპონენტის ფარგლებში 46 ხელშეკრულებაა გაფორმებული; ჭის/ჭაბურღილის მოწყობის კომპონენტის ფარგლებში 63 ხელშეკრულებაა გაფორმებული.);

2. საანგარიშო პერიოდში გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით ჯამური ფართობი - 3,272.16 ჰა (აქედან: ბაღების კომპონენტის ფარგლებში დაკონტრაქტებული ფართობი შეადგენს 2,610.32 ჰა-ს; დაზიანებული ნერგების ჩანაცვლების კომპონენტის ფარგლებში დაკონტრაქტებული ფართობი შეადგენს 51.07 ჰა-ს; სეტყვის საწინააღმდეგო სისტემის მოწყობის კომპონენტის ფარგლებში დაკონტრაქტებული ფართობი შეადგენს 71.89 ჰა-ს; წვეთოვანი სარწყავი სისტემების მოწყობის კომპონენტის ფარგლებში დაკონტრაქტებული ფართობი შეადგენს 239.02 ჰა-ს; ჭის/ჭაბურღილის მოწყობის კომპონენტის ფარგლებში დაკონტრაქტებული ფართობი შეადგენს 299.86 ჰა-ს.);

3. საანგარიშო პერიოდში სააგენტოს თანადაფინანსება გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით - 31,191,092 ლარი (აქედან: ბაღების კომპონენტის ფარგლებში ხელშეკრულებით განსაზღვრული სააგენტოს თანადაფინანსება შეადგენს 29,008,899 ლარს; დაზიანებული ნერგების ჩანაცვლების კომპონენტის ფარგლებში ხელშეკრულებით განსაზღვრული სააგენტოს თანადაფინანსება შეადგენს 133,092 ლარს; სეტყვის საწინააღმდეგო სისტემის მოწყობის კომპონენტის ფარგლებში ხელშეკრულებით განსაზღვრული სააგენტოს თანადაფინანსება შეადგენს 474,278 ლარს; შესაწამლი აპარატის შესყიდვის დაფინანსების კომპონენტის ფარგლებში ხელშეკრულებით განსაზღვრული სააგენტოს თანადაფინანსება შეადგენს 5,000 ლარს; წვეთოვანი სარწყავი სისტემების მოწყობის კომპონენტის ფარგლებში ხელშეკრულებით განსაზღვრული სააგენტოს თანადაფინანსება შეადგენს 492,003 ლარს; ჭის/ჭაბურღილის მოწყობის კომპონენტის ფარგლებში ხელშეკრულებით განსაზღვრული სააგენტოს თანადაფინანსება შეადგენს 1,077,821 ლარს.).

4. საანგარიშო პერიოდში ჯამური ინვესტიცია გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით - 71,473,944 ლარი (აქედან: ბაღების კომპონენტის ფარგლებში ხელშეკრულებით განსაზღვრული ჯამური ინვესტიცია შეადგენს 63,388,385 ლარს; დაზიანებული ნერგების ჩანაცვლების კომპონენტის ფარგლებში ხელშეკრულებით განსაზღვრული ჯამური ინვესტიცია შეადგენს 155,274 ლარს; სეტყვის საწინააღმდეგო სისტემის მოწყობის კომპონენტის ფარგლებში ხელშეკრულებით განსაზღვრული ჯამური ინვესტიცია შეადგენს 4,574,512 ლარს; შესაწამლი აპარატის შესყიდვის დაფინანსების კომპონენტის ფარგლებში ხელშეკრულებით განსაზღვრული ჯამური ინვესტიცია შეადგენს 5,000 ლარს; წვეთოვანი სარწყავი სისტემების მოწყობის კომპონენტის ფარგლებში ხელშეკრულებით განსაზღვრული ჯამური ინვესტიცია შეადგენს 1,164,242 ლარს; ჭის/ჭაბურღილის მოწყობის კომპონენტის ფარგლებში ხელშეკრულებით განსაზღვრული ჯამური ინვესტიცია შეადგენს 2,186,531 ლარს.).

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2023 წელს, აქტივობის ფარგლებში, დაგეგმილი იყო დამატებით 4,120 ჰა ახალი ბაღის გაშენება/დაკონტრაქტება. საანგარიშო პერიოდში გაშენდა/დაკონტრაქტდა 2,610.32 ჰა ფართობის ინტენსიური და ნახევრად ინტენსიური ტიპის ბაღი.

2023 წელს, საპროგნოზო ბიუჯეტი განისაზღვრა 35,000,000.00 ლარით, ხოლო ბიუჯეტის ფაქტიურმა ათვისებამ შეადგინა 26,014,308.03 ლარი.

| ამოცანა 1.2. სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების უზრუნველყოფა, დივერსიფიკაციაზე, ინოვაციურ ტექნოლოგიებზე, კოოპერაციაზე, მწარმოებელთა გაერთიანებების ხელშეწყობაზე ფოკუსირების გზით; ფინანსურ ინსტრუმენტებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა | |
|---|---|
| პროგრამის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.2.3. თანამედროვე ხეხილის ბაღების გაშენების ხელშეწყობა |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი: | 01.01.2023 - 31.12.2023 |
| შესრულების ინდიკატორები | |
| დაგეგმილი:<br>2023 წელს, გაშენდება/დაკონტრაქტდება დამატებით 4,120 ჰა ახალი ბაღი. | შესრულებული:<br>2023 წელს, გაშენდა/დაკონტრაქტდა 2,610.32 ჰა ფართობის ინტენსიური და ნახევრად ინტენსიური ტიპის ბაღი. |
| ბიუჯეტი | |
| საპროგნოზო: 35,000,000.00 ლარი | ფაქტობრივი: 26,014,308.03 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | X | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

## აქტივობა 1.2.4. ქართული ჩაის წარმოების ხელშეწყობა

**პასუხისმგებელი უწყება:** საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო

**პროგრამის მიზანი:** საქართველოში არსებული ჩაის პლანტაციების პოტენციალის ეფექტურად გამოყენება, ადგილობრივი ჩაის (მათ შორის, ბიო ჩაის) წარმოების ზრდის ხელშეწყობა, შედეგად, თვითუზრუნველყოფის დონის ამაღლება და საექსპორტო პოტენციალის გაზრდა როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული გაველურებული ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია; მოსახლეობის დასაქმება და მათი სოციალურ - ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება; ჩაის პირველადი გადამამუშავებელი თანამედროვე საწარმოების შექმნის ხელშეწყობა.

**განხორციელებული ღონისძიებები**

2023 წელს პროგრამის ცნობადობის კიდევ უფრო ამაღლების მიზნით განხორციელდა არაერთ ბენეფიციართან კომუნიკაცია, როგორც პროგრამაში ჩართულთან, ასევე პოტენციურ ბენეფიციარებთან პროგრამის მიმდინარეობასთან დაკავშირებით. ასევე, განხორციელდა შეხვედრა ფერმერებთან ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ანასეულში, სადაც ჩატარდა

დეტალური პრეზენტაცია ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის „ქართული ჩაი“ შესახებ.

2023 წელს რამოდენიმე ბენეფიციარს საწარმოო გეგმის შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადამ მოუწია, პროგრამის ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულებისათვის. ამ ეტაპზე, ყველა ბენეფიციარს დროულად აქვს წარმოდგენილი შესაბამისი ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

2023 წელს, აქტივობის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად მიღებულ იქნა შემდეგი შედეგები:

1. პროგრამაში ჩართული ბენეფიციარების რაოდენობა - 4;

2. სარეაბილიტაციო პლანტაციების ჯამური ფართობი - 120.97 ჰა;

3. რეაბილიტირებული პლანტაციების სარეაბილიტაციო სამუშაოების ჯამური ღირებულება - 438,137 ლარი;

4. დამტკიცებულ პროექტებში თანადაფინანსების ოდენობა - 305,136 ლარი.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2023 წელს, აქტივობის ფარგლებში, დაგეგმილი იყო 160 ჰა ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 120.97 ჰა ფართობის სრული/ნაწილობრივი რეაბილიტაცია.

2023 წელს, აქტივობის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებებისთვის, საპროგნოზო ბიუჯეტი განისაზღვრა 1,000,000.00 ლარით, ხოლო ბიუჯეტის ფაქტიურმა ათვისებამ შეადგინა 463,911.21 ლარი.

| ამოცანა 1.2. სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების უზრუნველყოფა, დივერსიფიკაციაზე, ინოვაციურ ტექნოლოგიებზე, კოოპერაციაზე, მწარმოებელთა გაერთიანებების ხელშეწყობაზე ფოკუსირების გზით; ფინანსურ ინსტრუმენტებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა | |
|---|---|
| პროგრამის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.2.4: ქართული ჩაის წარმოების ხელშეწყობა |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი: | 01.01.2023 - 31.12.2023 |
| შესრულების ინდიკატორები | |
| დაგეგმილი:<br>2023 წელს, განხორციელდა 160 ჰა ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია | შესრულებული:<br>2023 წელს, განხორციელდა 120.97 ჰა ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია. |
| ბიუჯეტი | |
| საპროგნოზო: 1,000,000.00 ლარი | ფაქტობრივი: 463,911.21 ლარი |

| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | რეიტინგი | | X | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

## აქტივობა 1.2.5: სადაზღვევო პრემიის სუბსიდირება, აგროდაზღვევის განვითარების მიზნით

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო

აქტივობის მიზანი: აგროსექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარება; სასოფლო - სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობა; სასოფლო - სამეურნეო სფეროში დასაქმებული პირების კონკურენტუნარიანობის ამაღლება; სასოფლო - სამეურნეო საქმიანობით დაკავებული პირებისთვის შემოსავლის შენარჩუნება და რისკების შემცირება.

**განხორციელებული ღონისძიებები**

2023 წლის განმავლობაში სააგენტო გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში ახდენდა 6 სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული პოლისების თანადაფინანსებას. პროგრამის მიმდინარეობა გაშუქდა სხვადასხვა ტელევიზიის საშუალებით. განხორციელდა სადაზღვევო პოლისების დოკუმენტური მონიტორინგი და გადაირიცხა სახელმწიფო სუბსიდია. მიმდინარეობდა კონსულტაციები სადაზღვევო კომპანიებთან და საერთაშორისო კონსულტანტებთან აგროდაზღვევის პროგრამაში შესაძლო ცვლილებებთან და ახალი სადაზღვევო პროდუქტების შემუშავებასთან დაკავშირებით.

2023 წელს, აქტივობის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად მიღებულ იქნა შემდეგი შედეგები:

1. გაცემული პოლისების რაოდენობა - 15,035;
2. დაზღვეული მოსავლის ღირებულება - 167,683,280 ლარი;
3. დაზღვეული მოსავლის ფართობი - 16,641.34 ჰა;
4. სააგენტოს სადაზღვევო პრემიის წილი (სააგენტოს თანადაფინანსება) - 11,499,259 ლარი.

2023 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მუშაობა იმისათვის, რომ ყოფილიყო გაანალიზებული ყველა ის საკითხი და პრობლემა, რომლებსაც ჰქონდა ადგილი წინა წლებში და მომხდარიყო ამ ფაქტორების გათვალისწინება პროგრამაში, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობდა მომავალი წლის პროგრამის მაღალი ეფექტურობით განხორციელებას.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2023 წელს, აქტივობის ფარგლებში დაგეგმილი იყო დაახლოებით 24,000 ჰა სასოფლო - სამეურნეო მიწის ფართობის დაზღვევა. საანგარიშო პერიოდში, დაზღვეულ იქნა 16,641.34 ჰა სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

***შენიშვნა:*** *ინდიკატორის ფაქტიური შესრულება დამოკიდებულია პოტენციური ბენეფიციარების აქტივობაზე.*

2023 წელს, აქტივობის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებებისთვის, საპროგნოზო ბიუჯეტი განისაზღვრა 10,800,000.00 ლარით, ხოლო ბიუჯეტის ფაქტიურმა ათვისებამ შეადგინა 11,488,760.90 ლარი.

***შენიშვნა:*** ინდიკატორის ფაქტიური შესრულება დამოკიდებულია პოტენციური ბენეფიციარების აქტივობაზე.

| ამოცანა 1.2. სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების უზრუნველყოფა, დივერსიფიკაციაზე, ინოვაციურ ტექნოლოგიებზე, კოოპერაციაზე, მწარმოებელთა გაერთიანებების ხელშეწყობაზე ფოკუსირების გზით; ფინანსურ ინსტრუმენტებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა | |
|---|---|
| პროგრამის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.2.5: სადაზღვევო პრემიის სუბსიდირება, აგროდაზღვევის განვითარების მიზნით აგროდაზღვევის უზრუნველყოფის ღონისძიებები |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი: | 01.01.2023 - 31.12.2023 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2023 წელს, დაზღვეულ იქნება დაახლოებით 24,000 ჰა მიწის ფართობი | **შესრულებული:**<br>2023 წელს, დაზღვეულ იქნა 16,641.34 ჰა მიწის ნაკვეთი. |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** <u>10,800,000.00 ლარი</u> | **ფაქტობრივი:** <u>11,488,760.90 ლარი</u> |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | X | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

## აქტივობა 1.2.6: აგროკრედიტების საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო

აქტივობის მიზანი: სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავებელი და შენახვა - რეალიზაციის საწარმოო პროცესებისათვის ხელშეწყობა, ფიზიკური და იურიდიული პირების იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით უზრუნველყოფის გზით.

**განხორციელებული ღონისძიებები**

2023 წლის განმავლობაში, ხორციელდებოდა კონსულტაციები სესხის აღების შესაძლებლობებთან და შესაბამის პროცედურებთან დაკავშირებით. კონსულტაციები გაეწიათ როგორც პროექტის პოტენციურ და არსებულ ბენეფიციარებს, ასევე, საფინანსო ინსტიტუტების წარმომადგენლებს. კონსულტაციებში აქტიურად იყო ჩართული სააგენტოს საინფორმაციო სამსახური (ქოლ ცენტრი). გაკეთდა პრეზენტაციები და სატელევიზიო რეპორტაჟები. აგრეთვე, პროგრამის ცნობადობის და ხელმისაწვდომობის ამაღლების მიზნით განხორციელდა ვიზიტები სხვადასხვა რეგიონებში და მომზადდა რეპორტაჟები ახალი საწარმოების შექმნის და არსებული საწარმოების გადაიარაღების/გაფართოების შესახებ.

2023 წელს პროექტში შესული ცვლილებების თანახმად, ამოქმედდა საბრუნავი საშუალებების კომპონენტის 4 ქვეკომპონენტი - ყურძნის გადამამუშავებელი საწარმოები, ყურძნის გადამამუშავებელი საწარმოები, რომლებიც ყურძნის შეძენას მოახდენენ სპირტის წარმოების მიზნით, არასტანდარტული ვაშლის შემსყიდველი საწარმოები და ერთწლოვანი კულტურების დაფინანსების ქვეკომპონენტი. საბრუნავი საშუალებების კომპონენტს დაემატა თხილის პირველადი წარმოების დაფინანსების ქვეკომპონენტი. ასევე, პროექტს დაემატა სხვადასხვა სახის მიზნობრიობები.

აქტივობის ფარგლებში, 2023 წელს, განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- 1. გაცემული სესხების რაოდენობა - 10,000;
- 2. უნიკალური ბენეფიციარების რაოდენობა - 9,034;
- 3. გაცემული სესხის ოდენობა - 1,031,194,901 ლარი.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2023 წელს, აქტივობის ფარგლებში, დაგეგმილი იყო 24,000 შეღავათიანი სასოფლო-სამეურნეო სესხის/ლიზინგის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 38,907 შეღავათიანი სასოფლო-სამეურნეო სესხის/ლიზინგის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება (მომსახურება გაეწია).

2023 წელს, აქტივობის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებებისთვის, საპროგნოზო ბიუჯეტმა შეადგინა 200,000,000.00 ლარი, ხოლო ბიუჯეტის ფაქტიურმა ათვისებამ შეადგინა 206,158,782.11 ლარი.

| ამოცანა 1.2. სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების უზრუნველყოფა, დივერსიფიკაციაზე, ინოვაციურ ტექნოლოგიებზე, კოოპერაციაზე, მწარმოებელთა გაერთიანებების ხელშეწყობაზე ფოკუსირების გზით; ფინანსურ ინსტრუმენტებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა | |
|---|---|
| პროგრამის ნომერი და სახელწოდება | აქტივობა 1.2.6: აგროკრედიტების საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2023 - 31.12.2023 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2023 წელს, განხორციელდება 24,000 შეღავათიანი სასოფლო-სამეურნეო სესხის/ლიზინგის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება. | **შესრულებული:**<br>2023 წელს, განხორციელდა 38,907 შეღავათიანი სასოფლო-სამეურნეო სესხის/ლიზინგის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება (მომსახურება გაეწია). |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 200,000,000.00 ლარი | **ფაქტობრივი:** 206,158,782.11 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

## აქტივობა 1.2.7: ფერმერებისთვის მოსავლის ამღები ტექნიკის შეძენის თანადაფინანსება

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო

<u>აქტივობის მიზანი:</u> პროგრამის მიზანია სასოფლო - სამეურნეო კულტურებისთვის შესაბამის აგრო ვადებში აგრო ტექნიკური ღონისძიებების განხორციელება. ქვეყანაში მექანიზაციის ბაზის გაძლიერება. ამ მიზნით, პროგრამა ითვალისწინებს მოსავლის ამღები ტექნიკის 40% და 50%-ის ოდენობით თანადაფინანსებას.

**განხორციელებული ღონისძიებები**

პროგრამის ფარგლებში 2023 წლის განმავლობაში განხორციელდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის ამღები ტექნიკის თანადაფინანსება საქართველოს ყველა რეგიონისთვის. პროგრამის პოპულარიზაციისთვის და პირობების უკეთ გასაცნობად ჩატარდა ტრენინგები რეგიონში არსებული საკონსულტაციო ცენტრების თანამშრომლებისთვის.

2023 წელს, პროგრამის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების შედეგად მიღებულ იქნა შემდეგი შედეგები:

1. გაფორმებული ხელშეკრულებების რაოდენობა - 62;
2. სააგენტოს თანადაფინანსება დამტკიცებულ პროექტებში - 6,307,042 ლარი;
3. ჯამური ინვესტიცია დამტკიცებულ პროექტებში - 18,484,026 ლარი.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2023 წელს, აქტივობის ფარგლებში, დაგეგმილი იყო 65 ბენეფიციარისთვის მოსავლის ამღები ტექნიკის შეძენის თანადაფინანსება. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 62 ბენეფიციარისთვის მოსავლის ამღები ტექნიკის შეძენის თანადაფინანსება.

2023 წელს, საპროგნოზო ბიუჯეტი განისაზღვრა 7,000,000.00 ლარით, ხოლო ბიუჯეტის ფაქტიურმა ათვისებამ შეადგინა 6,083,746.48 ლარი.

| ამოცანა 1.2. სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების უზრუნველყოფა, დივერსიფიკაციაზე, ინოვაციურ ტექნოლოგიებზე, კოოპერაციაზე, მწარმოებელთა გაერთიანებების ხელშეწყობაზე ფოკუსირების გზით; ფინანსურ ინსტრუმენტებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა | |
|---|---|
| პროგრამის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.2.7: ფერმერებისთვის მოსავლის ამღები ტექნიკის შეძენის თანადაფინანსება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი: | 01.01.2023 - 31.12.2023 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2023 წელს, განხორციელდება 65 ბენეფიციარისთვის მოსავლის ამღები ტექნიკის შეძენის თანადაფინანსება. | **შესრულებული:**<br>2023 წელს, განხორციელდა 62 ბენეფიციარისთვის მოსავლის ამღები ტექნიკის შეძენის თანადაფინანსება. |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 7,000,000.00 ლარი | **ფაქტობრივი:** 6,083,746.48 ლარი |

| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | რეიტინგი | | X | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |

| | სტატუსი | | X | | | |
|---|---|---|---|---|---|---|

## აქტივობა 1.2.8. შემნახველი და გადამამუშავებელი საწარმოების შექმნა/გადაიარაღების თანადაფინანსება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო

პროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტებში ახალი გადამამუშავებელი საწარმოების შექმნა და უმოქმედო საწარმოების რეაბილიტაცია; გადამამუშავებელი საწარმოების გეოგრაფიული დივერსიფიკაცია; სანედლეულო ბაზის განვითარება; სოფლის მოსახლეობის შემოსავლების ზრდა.

**განხორციელებული ღონისძიებები**

2023 წელს მიღებულია შემნახველი და გადამამუშავებელი საწარმოს შექმნით დაინტერესებული ბენეფიციარების განაცხადები, დოკუმენტები და ბიზნეს გეგმები.
2023 წელს, პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების შედეგად მიღებულ იქნა შემდეგი შედეგები:

1. პროექტის ფარგლებში ახლად შექმნილი საწარმოების რაოდენობა - 45;
2. შემნახველი და გადამამუშავებელი საწარმოების კომპონენტის ფარგლებში დამტკიცებული ახალი პროექტების რაოდენობა - 40;
3. დამტკიცებული განაცხადების ჯამური ღირებულება - 53,346,719 ლარი;
4. სააგენტოს თანადაფინანსების ოდენობა დამტკიცებულ პროექტებში - 15,199,615 ლარი.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2023 წელს, აქტივობის ფარგლებში დაგეგმილი იყო, რომ სრულად ან ნაწილობრივ დაფინანსდება 22 გადამამუშავებელი საწარმოს ან/და შემნახველი ინფრასტრუქტურის შექმნა. საანგარიშო პერიოდში სრულად ან ნაწილობრივ დაფინანსდა 59 გადამამუშავებელი საწარმოს ან/და შემნახველი ინფრასტრუქტურის შექმნა.

2023 წელს, აქტივობის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებებისთვის, საპროგნოზო ბიუჯეტი განისაზღვრა 25,000,000.00 ლარით, ხოლო ბიუჯეტის ფაქტიურმა ათვისებამ შეადგინა 15,940,138.20 ლარი.

| ამოცანა 1.2. სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების უზრუნველყოფა, დივერსიფიკაციაზე, ინოვაციურ ტექნოლოგიებზე, კოოპერაციაზე, მწარმოებელთა გაერთიანებების ხელშეწყობაზე ფოკუსირების გზით; ფინანსურ ინსტრუმენტებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა | |
|---|---|
| პროგრამის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.2.8: შემნახველი და გადამამუშავებელი საწარმოების შექმნა/გადაიარაღების თანადაფინანსება |

| | |
|---|---|
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი: | 01.01.2023 - 31.12.2023 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2023 წელს, სრულად ან ნაწილობრივ დაფინანსდება 22 გადამამუშავებელი საწარმოს ან/და შემნახველი ინფრასტრუქტურის შექმნა | **შესრულებული:**<br>2023 წელს, სრულად ან ნაწილობრივ დაფინანსდა 59 გადამამუშავებელი საწარმოს ან/და შემნახველი ინფრასტრუქტურის შექმნა. |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 25,000,000.00 ლარი | **ფაქტობრივი:** 15,940,138.20 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

## აქტივობა 1.2.9: ხარისხის სქემების განვითარება და მხარდაჭერა ეროვნულ და რეგიონალურ დონეზე

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / სურსათის პოლიტიკის დეპარტამენტი

<u>აქტივობის მიზანი:</u> ადგილობრივი პროდუქციის პოპულარიზაცია

**განხორციელებული ღონისძიებები**: საანგარიშო პერიოდში შემუშავებულია სპეციფიკაციები, კერძოდ: გეოგრაფიული აღნიშვნა - „სვანური მარილი“, „გორის ვაშლი“, „ქართული თხილი“, „კახური შაშხი“, ადგილწარმოშობის დასახელება „ნინოწმინდის ყველი/ზოგდანოვკის ქართული ყველი“. ასევე, „ტრადიციული რაჭული ლორი“ და „საქართველოს მთიანეთის ტრადიციული ლუდი“-ს შემუშავებული სპეციფიკაციები გეოგრაფიულ აღნიშვნად რეგისტრაციისთვის, და „ასხის მთის სულგუნი“-ს სპეციფიკაცია ადგილწარმოშობის დასახელებად რეგისტრაციისთვის გაგზავნილია საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში „საქპატენტი“. ასევე, შემუშავების პროცესშია გეოგრაფიული აღნიშვნა „გურჯაანის ატამი“-ს სპეციფიკაცია.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**
აქტივობის განხორციელება ცალკე დამტკიცებულ ბიუჯეტს არ საჭიროებდა.

| ამოცანა 1.2: სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების უზრუნველყოფა, დივერსიფიკაციაზე, ინოვაციურ ტექნოლოგიებზე, კოოპერაციაზე, მწარმოებელთა გაერთიანებების ხელშეწყობაზე ფოკუსირების გზით; ფინანსურ ინსტრუმენტებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.2.9: ხარისხის სქემების განვითარება და მხარდაჭერა ეროვნულ და რეგიონალურ დონეზე |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / სურსათის პოლიტიკის დეპარტამენტი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2023 – 31.12.2023 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2023 წელს: შემუშავდება/გადაიხედება 4 გეოგრაფიული აღნიშვნების სპეციფიკაცია. | **შესრულებული:**<br>2023 წელს, შემუშავდა/გადაიხედა 6 ახალი გეოგრაფიული სპეციფიკაციები. |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 0 ლარი | **ფაქტობრივი:** 0 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელებ ის პროცესი შეწყვეტილია | განხორციელე ბის პროცესი დასრულებუ ლია |
| | სტატუსი | | X | | | |

## აქტივობა 1.2.10: ინდუსტრიების მიმართულებით კრედიტისა და ლიზინგის საგნის პროცენტის თანადაფინანსება

**პასუხისმგებელი უწყება:** საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო / სსიპ „აწარმოე საქართველოში“

**აქტივობის მიზანი:** მიკრო და მცირე ბიზნესის განვითარებისთვის, თანამედროვე სამეწარმეო კულტურის დამკვიდრებისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნისთვის, ბიზნესის წამოწყებისათვის ან/და არსებულის გადაიარაღებისათვის აუცილებელი ფინანსური მხარდაჭერა, სესხის/ლიზინგის პროცენტის თანადაფინანსების გზით.

პროგრამის "აწარმოე საქართველოში" ინდუსტრიული და უნივერსალური ინდუსტრიული ნაწილის ფარგლებში, სააგენტო ახორციელებს ბენეფიციარისთვის გაცემულ კრედიტზე დარიცხული საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას, მისთვის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, ამ პროგრამით განსაზღვრული პირობებით. ინდუსტრიული ნაწილის ფარგლებში სესხის შემთხვევაში სააგენტო ახორციელებს სესხის პროცენტის სუბსიდირებას 3 წლის ვადით, სებ-ის რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 3% და ლიზინგის შემთხვევაში ლიზინგის ვადით, სებ-ის რეფინანსირების განაკვეთს

დამატებული 5%. ხოლო, უნივერსალური ინდუსტრიული (ბიზნეს უნივერსალი) ფარგლებში სესხის შემთხვევაში სააგენტო ახორციელებს სესხის პროცენტის სუბსიდირებას სესხის ვადით, სებ-ის რეფინანსირების განაკვეთს გამოკლებული 5% და ლიზინგის შემთხვევაში ლიზინგის ვადით, სებ-ის რეფინანსირების განაკვეთს გამოკლებული 3%.

**განხორციელებული ღონისძიებები:** 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სსიპ-ის "აწარმოე საქართველოში" ინდუსტრიული და ბიზნეს უნივერსალის პროგრამების ფარგლებში სესხის/ლიზინგის პროცენტის თანადაფინანსებაში 19.9 მლნ. ლარის მოცულობის თანხა გადაირიცხა 432 ახალი ან არსებული საწარმოს გაფართოების /გადაიარაღების /მოდერნიზების მიზნით.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება:** 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სსიპ-ის "აწარმოე საქართველოში" ინდუსტრიული და ბიზნეს უნივერსალის პროგრამების ფარგლებში სესხის/ლიზინგის პროცენტის თანადაფინანსებაში 19.9 მლნ. ლარის მოცულობის თანხა გადაირიცხა 432 ახალი ან არსებული საწარმოს გაფართოების /გადაიარაღების /მოდერნიზების მიზნით.

| ამოცანა 1.2: სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების უზრუნველყოფა, დივერსიფიკაციაზე, ინოვაციურ ტექნოლოგიებზე, კოოპერაციაზე, მწარმოებელთა გაერთიანებების ხელშეწყობაზე ფოკუსირების გზით; ფინანსურ ინსტრუმენტებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.2.10. ინდუსტრიების მიმართულებით კრედიტისა და ლიზინგის საგნის პროცენტის თანადაფინანსება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო / სსიპ „აწარმოე საქართველოში“ |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2023 – 31.12.2023 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2023 წელს, თანადაფინანსება გაეწევა 200 ახალი ან არსებული საწარმოს გაფართოებას /გადაიარაღებას /მოდერნიზებას. | **შესრულებული:**<br>2023 წელს თანადაფინანსება გაეწია 432 ახალი ან არსებული საწარმოს გაფართოებას /გადაიარაღებას /მოდერნიზებას. |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 10,000,000 ლარი | **ფაქტობრივი:** 19,965,020 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

## აქტივობა 1.2.11: სასტუმრო ინდუსტრიის განვითარება/გაფართოების მიმართულებით კრედიტისა და ლიზინგის საგნის პროცენტის თანადაფინანსება

**პასუხისმგებელი უწყება:** საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო /სსიპ „აწარმოე საქართველოში"

**აქტივობის მიზანი:** მეწარმეობის განვითარება და ხელშეწყობა.

პროგრამის "აწარმოე საქართველოში" ინდუსტრიული და უნივერსალური ინდუსტრიული ნაწილის ფარგლებში, სააგენტო ახორციელებს ბენეფიციარისთვის გაცემულ კრედიტზე დარიცხული წლიური (ეფექტური) საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას, მისთვის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, ამ პროგრამით განსაზღვრული პირობებით. ინდუსტრიული ნაწილის ფარგლებში სესხის შემთხვევაში სააგენტო ახორციელებს სესხის პროცენტის სუბსიდირებას 3 წლის ვადით, სებ-ის რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 3% და ლიზინგის შემთხვევაში ლიზინგის ვადით, სებ-ის რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 5%. ხოლო, უნივერსალური ინდუსტრიული (ბიზნეს უნივერსალი) ფარგლებში სესხის შემთხვევაში სააგენტო ახორციელებს სესხის პროცენტის სუბსიდირებას სესხის ვადით, სებ-ის რეფინანსირების განაკვეთს გამოკლებული 5% და ლიზინგის შემთხვევაში, ლიზინგის ვადით, სებ-ის რეფინანსირების განაკვეთს გამოკლებული 3%.

**განხორციელებული ღონისძიებები:** 2023 წელს, 31 დეკემბრის მდგომარეობით, სააგენტოს მხრიდან 14.5 მლნ ლარამდე მოცულობის თანხა გადაირიცხა 171 ახალ/არსებულ სასტუმროს, გაფართოების /გადაიარაღების /მოდერნიზების მიზნით, სესხის/ლიზინგის პროცენტის თანადაფინანსებაში.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება:**

2023 წელს, 31 დეკემბრის მდგომარეობით, სააგენტოს მხრიდან 14.5 მლნ ლარამდე მოცულობის თანხა გადაირიცხა 171 ახალ/არსებულ სასტუმროს, გაფართოების /გადაიარაღების /მოდერნიზების მიზნით, სესხის/ლიზინგის პროცენტის თანადაფინანსებაში.

| ამოცანა 1.2: სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების უზრუნველყოფა, დივერსიფიკაციაზე, ინოვაციურ ტექნოლოგიებზე, კოოპერაციაზე, მწარმოებელთა გაერთიანებების ხელშეწყობაზე ფოკუსირების გზით; ფინანსურ ინსტრუმენტებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | 1.2.11. სასტუმრო ინდუსტრიის განვითარება/გაფართოების მიმართულებით კრედიტისა და ლიზინგის საგნის პროცენტის თანადაფინანსება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო/სსიპ აწარმოე საქართველოში |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2023 – 31.12.2023 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |

| **დაგეგმილი:**<br>2023 წელს, თანადაფინანსება გაეწევა 140 ახალი ან არსებული სასტუმროს გაფართოებას /გადაიარაღებას /მოდერნიზებას | **შესრულებული:**<br>2023 წელს თანადაფინანსება გაეწია 171 ახალი ან არსებული სასტუმროს გაფართოებას /გადაიარაღებას /მოდერნიზებას. |
|---|---|
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 8,000,000 ლარი | **ფაქტობრივი:** 14,493,261 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

## აქტივობა 1.2.12. სასათბურო კლასტერის მოწყობა

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო

აქტივობის მიზანი: დასავლეთ საქართველოს ტრადიციული საექსპორტო დარგის, კერძოდ სასათბურე სექტორის (მწვანილის და სასათბურე ბოსტნეულის) საექსპორტო პოტენციალის მაქსიმალური გამოყენების სტიმულირება და შედეგად საექსპორტო შემოსავლების ზრდა; ტრადიციული საექსპორტო დარგებისათვის ახალ ბაზრებზე წვდომის ხელშეწყობა და შედეგად საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაცია; სექტორში ტრადიციულად ჩართული მეწარმეებისათვის (წვრილი და საშუალო) შემოსავლების გაზრდის წინაპირობების შექმნა, ახალი შესაძლებლობების გამოყენების გზით; ქვეყნის მასშტაბით სასათბურე სექტორის მოდერნიზაციისა და ცოდნის გაზიარების ნიმუშის შექმნა; ქუთაისის ლოგისტიკურ ცენტრად ჩამოყალიბების წინაპირობების შექმნა.

**განხორციელებული ღონისძიებები**

2023 წელს შპს „იმერეთის აგრო ზონის“ და ა(ა)იპ ,,მებაღეობის სასწავლო და სადემონსტრაციო ცენტრის“ ინიციატივით საქართველოს ესტუმრა ACDI/VOCA-ს ამერიკელი ექსპერტი. აღნიშნულმა ექსპერტმა 10 დღის განმავლობაში განახორციელა ასამდე მესათბურე ფერმერისათვის ტრენინგების ჩატარება ბაღდათის და წყალტუბოს მუნიციპალიტეტებში. ასევე, ექსპერტის მიერ განხორციელდა ადგილობრივი სასათბურე მეურნეობების მონახულება და მესათბურე ფერმერებისთვის მათ საჭიროებებზე მორგებული ინდივიდუალური რეკომენდაციების გაცემა. აღნიშნული აქტივობის შედეგად ა(ა)იპ ,,მებაღეობის სასწავლო და სადემონსტრაციო ცენტრს“ შეემატა 35 ახალი B კლასის წევრი. აღნიშნული ვიზიტის შემდეგ ექსპერტის მიერ წარმოდგენილ იქნა შესაბამისი ანგარიში/რეპორტი.

2023 წელს შპს „იმერეთის აგრო ზონის“ ორგანიზებით გაიმართა შეხვედრა ა(ა)იპ „მებაღეობის სასწავლო და სადემონსტრაციო ცენტრის“ B კლასის წევრ მესათბურე ფერმერებთან, სადაც განხორციელდა 2,000 კვ.მ. საშუალო ტექნოლოგიური სათბურის ბიზნეს გეგმის მოდელის გაცნობა, რომელიც მოიცავდა ყველა ტექნიკურ თუ ფინანსურ დეტალს, რომელიც საჭიროა თანამედროვე სტანდარტების მქონე წარმატებული სასათბურე მეურნეობის მოსაწყობად.

2023 წელს შპს „იმერეთის აგრო ზონის“ წარმომადგენლები დაესწრნენ საერთაშორისო გამოფენას „Fruit Logistica”, რომელიც გაიმართა გერმანიაში, კერძოდ, ქალაქ ბერლინში.

ასევე, 2023 წელს პროექტის ფარგლებში ა(ა)იპ „მებაღეობის სასწავლო და სადემონსტრაციო ცენტრის“ (HTDC) პროექტის ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლების შესწავლის მიზნით, 5 დღიანი ვიზიტით ჩამოსულები იყვნენ ჰოლანდიელი ექსპერტები. მათთან ერთად მოხდა პროექტის განსახორციელებელი ტერიტორიების მონახულება და ადგილობრივ მესათბურე ფერმერებთან შეხვედრა და გასაუბრება. ექსპერტებთან გამართულ შეხვედრას დაესწრო ნიდერლანდების სამეფოს ელჩის მოვალეობის შემსრულებელი და საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტი.

აგრეთვე, 2023 წელს შემუშავდა შპს „იმერეთის აგრო ზონის“ განახლებული ფინანსური მოდელი.

2023 წლის 1 სექტემბერს შპს „იმერეთის აგრო ზონის“ მიერ მოხდა 2023 წლის წინადადებების მიღების გამოცხადება განახლებული პირობებით (RFP პროცესი). აღნიშნული წინადადებების მიღების პროცესი მოიცავდა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მიწის ნაკვეთის რეალიზაციას და ასევე, სხვა ალტერნატიული წინადადებების მიღებას. RFP პროცესის ფარგლებში ჩატარდა ინვესტორთა ბრიფინგი, რომელსაც 16 ქვეყნიდან 22 დაინტერესებული კომპანიის წარმომადგენელი დაესწრო.

2023 წლის RFP პროცესი დასრულდა 31 ოქტომბერს და სულ RFP-ის ფარგლებში შემოვიდა 5 წინადადება 4 ქვეყნიდან. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მიღებული წინადადებების განხილვა.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2023 წელს განხორციელდება სასწავლო და სადემონსტრაციო ცენტრის პროექტირება და დაიწყება შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა. საანგარიშო პერიოდში არ განხორციელებულა იმ მიწის ნაკვეთების გადაცემა, რომელზეც უნდა განხორციელდეს პროექტირება და შემდგომ ინფრასტრუქტურის მოწყობა და განვითარება. ასევე, ვერ მოხდა ინვესტორების მოძიება იმერეთის აგროზონის მიერ გამოცხადებულ ინეტერესთა გამოხატვაში კლასტერის მოწყობის თაობაზე.

2023 წლის საპროგნოზო ბიუჯეტი შეადგენდა 1,000,000.00 ლარს, ხოლო ბიუჯეტის ფაქტიურმა ათვისებამ კი შეადგინა 1,000,000.00 ლარი.

***შენიშვნა:*** *01.01.2023-31.12.2023 საანგარიშო პერიოდში არ განხორციელებულა იმ მიწის ნაკვეთების გადაცემა, რომელზეც უნდა განხორციელდეს პროექტირება და შემდგომ ინფრასტრუქტურის მოწყობა და განვითარება. რაც შეეხება, გახარჯულ 1,000,000 ლარს: შპს ,,იმერეთის აგროზონის" 2023 წლის საოპერაციო ხარჯებისა და 2022 წლის 27 ივნისს შპს ,,იმერეთის აგროზონის" მიერ შესყიდული საკონსულტაციო მომსახურების 2023 წლის ღირებულების ნაწილობრივი დაფინანსების მიზნით, სააგენტომ უზრუნველყო სუბსიდიის თანხის, 1,000,000 ლარის გადარიცხვა შპს ,,იმერეთის აგროზონის" წარმოდგენილ ანგარიშზე.*

| ამოცანა 1.2. სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების უზრუნველყოფა, დივერსიფიკაციაზე, ინოვაციურ ტექნოლოგიებზე, კოოპერაციაზე, მწარმოებელთა გაერთიანებების ხელშეწყობაზე ფოკუსირების გზით; ფინანსურ ინსტრუმენტებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა | |
|---|---|
| პროგრამის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.2.12: სასათბურო კლასტერის მოწყობა |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი: | 01.01.2023 - 31.12.2023 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2023 წელს განხორციელდება სასწავლო და სადემონსტრაციო ცენტრის პროექტირება და დაიწყება შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა. | **შესრულებული:**<br>2023 წელს არ განხორციელებულა იმ მიწის ნაკვეთების გადაცემა, რომელზეც უნდა განხორციელდეს პროექტირება და შემდგომ ინფრასტრუქტურის მოწყობა და განვითარება. ასევე, ვერ მოხდა ინვესტორების მოძიება იმერეთის აგროზონის მიერ გამოცხადებულ ინეტერესთა გამოხატვაში კლასტერის მოწყობის თაობაზე. |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 1,000,000.00 ლარი | **ფაქტობრივი:** 1,000,000.00 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | | | X | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

## აქტივობა 1.2.17: კოოპერატივების ბიზნეს-საქმიანობის მოდერნიზების მხარდაჭერა (ENPARD IV, ინდიკატორი 1.8.)

| ამოცანა 1.2 სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების უზრუნველყოფა, დივერსიფიკაციაზე, ინოვაციურ ტექნოლოგიებზე, კოოპერაციაზე, მწარმოებელთა გაერთიანებების ხელშეწყობაზე ფოკუსირების გზით;ფინანსურ ინსტრუმენტებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.2.17: კოოპერატივების ბიზნეს-საქმიანობის მოდერნიზების მხარდაჭერა (ENPARD IV, ინდიკატორი 1.8.) |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი: | 01.01.2020 - 31.12.2023 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2023 წელს, სულ მცირე 15 კოოპერატივი დაარეგისტრირებს აგრო - სასურსათო პროდუქტს, ბრენდს და/ან სასაქონლო ნიშანს, 2020-2023 წლებში. | **შესრულებული:**<br>განხორციელდა 17 კოოპერატივმა დაარეგისტრირა აგრო-სასურსათო პროდუქტი, ბრენდი და/ან სასაქონლო ნიშანი. |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| შესრულების შეფასება | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | | | | X |

## აქტივობა 1.2.18 სოფლად არასასოფლო-სამეურნეო მიმართულებით ქალების დასაქმების ხელშეწყობა (ENPARD IV, ინდიკატორი 2.9.)

| ამოცანა 1.2 სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების უზრუნველყოფა, დივერსიფიკაციაზე, ინოვაციურ ტექნოლოგიებზე, კოოპერაციაზე, მწარმოებელთა გაერთიანებების ხელშეწყობაზე ფოკუსირების გზით;ფინანსურ ინსტრუმენტებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.2.18 სოფლად არასასოფლო-სამეურნეო მიმართულებით ქალების დასაქმების ხელშეწყობა (ENPARD IV, ინდიკატორი 2.9.) |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს წევრი სახელმწიფო უწყებები |

| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი: | 01.01.2020 - 31.12.2023 |
|---|---|
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2023 წელს: სოფლად არასასოფლო-სამეურნეო მიმართულებით დასაქმებული ქალების რაოდენობა 2020 წელთან შედარებით გაიზრდება 10%-ით | **შესრულებული:**<br>სოფლად არასასოფლო სამეურნეო მიმართულებით დასაქმებული ქალების რაოდენობამ 2020 წელს შეადგინა 111 970 (საბაზისო მაჩვენებელი ციფრებში), 2022 წელს შეადგინა 127 179 (საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 13.6%-ით). 2023 წლის მაჩვენებელი დამუშავების პროცესშია (მუშავდება). საბოლოო მაჩვენებელი იქნება ცნობილი მიმდინარე წლის მაისის თვის ბოლოს. |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | | X | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

## აქტივობა 1.2.19. შერჩეული LEADER/CLLD-ის ინიციატივების ფინანსური მდგრადობის ხელშეწყობა (ENPARD IV, ინდიკატორი 2.8.)

| ამოცანა 1.2 სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების უზრუნველყოფა, დივერსიფიკაციაზე, ინოვაციურ ტექნოლოგიებზე, კოოპერაციაზე, მწარმოებელთა გაერთიანებების ხელშეწყობაზე ფოკუსირების გზით;ფინანსურ ინსტრუმენტებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.2.19. შერჩეული LEADER/CLLD-ის ინიციატივების ფინანსური მდგრადობის ხელშეწყობა (ENPARD IV, ინდიკატორი 2.8.) |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს წევრი სახელმწიფო უწყებები. |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი: | 01.01.2020 - 31.12.2023 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2023 წელს: სახელმწიფო დაფინანსებით შეიქმნება და იფუნქციონირებს შერჩეული LEADER/CLLD(რეგისტრირებული/აღიარებული) მიერ ინიცირებული სოფლის განვითარების პროექტების დაფინანსების სისტემა და მექანიზმი | **შესრულებული:**<br>2023 წელს, დამტკიცდა LEADER/CLLD მიდგომაზე დაფუძნებული ადგილობრივი მხარდაჭერის პროგრამა. სამინისტროს განცხადებით მომართა 3-მა ავტორიზაციის მაძიებელმა (არასამეწარმეო/არაკომერციულმა იურიდიულმა |

| | |
|---|---|
| | პირმა) და დაწყებულია მათი განცხადებების განხილვის პროცედურა. |

| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | რეიტინგი | | | X | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

## აქტივობა 1.2.20: ფერმერებისთვის სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციის შეძენის თანადაფინანსება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო

აქტივობის მიზანი: სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის ხელშეწყობა და მათთვის სასოფლო - სამეურნეო ტექნიკაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.

**განხორციელებული ღონისძიებები**

პროგრამის ფარგლებში 2023 წლის განმავლობაში განხორციელდა სასოფლო - სამეურნეო კოოპერატივებისთვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტექნიკის თანადაფინანსება საქართველოს ყველა რეგიონისთვის. პროგრამის პოპულარიზაციისთვის და პირობების უკეთ გასაცნობად ჩატარდა ტრენინგები რეგიონში არსებული საკონსულტაციო ცენტრების თანამშრომლებისათვის.

2023 წელს, პროგრამის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების შედეგად მიღებულ იქნა შემდეგი შედეგები:

1. გაფორმებული ხელშეკრულებების რაოდენობა - 60;
2. პროგრამაში ჩართული ბენეფიციარების რაოდენობა - 52;
3. სააგენტოს თანადაფინანსება დამტკიცებულ პროექტებში - 3,215,191 ლარი;
4. ჯამური ინვესტიცია დამტკიცებულ პროექტებში - 6,443,413 ლარი.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2023 წელს, აქტივობის ფარგლებში, დაგეგმილი იყო 100 ბენეფიციარისთვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენის თანადაფინანსება. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 52 ბენეფიციარისთვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენის თანადაფინანსება.

***შენიშვნა:*** *ინდიკატორის ფაქტიური შესრულება დამოკიდებულია პოტენციური ბენეფიციარების აქტივობაზე.*

2023 წელს, საპროგნოზო ბიუჯეტი განისაზღვრა 4,771,900.00 ლარით, ხოლო ბიუჯეტის ფაქტიურმა ათვისებამ შეადგინა 2,847,139.27 ლარი.

***შენიშვნა:*** *ინდიკატორის ფაქტიური შესრულება დამოკიდებულია პოტენციური ბენეფიციარების აქტივობაზე.*

| ამოცანა 1.2. სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების უზრუნველყოფა, დივერსიფიკაციაზე, ინოვაციურ ტექნოლოგიებზე, კოოპერაციაზე, მწარმოებელთა გაერთიანებების ხელშეწყობაზე ფოკუსირების გზით; ფინანსურ ინსტრუმენტებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.2.20: ფერმერებისთვის სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციის შეძენის თანადაფინანსება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი: | 01.01.2023 - 31.12.2023 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br><br>2023 წელს, განხორციელდება 100 ბენეფიციარისთვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენის თანადაფინანსება. | **შესრულებული:**<br><br>2023 წელს, განხორციელდა 52 ბენეფიციარისთვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენის თანადაფინანსება. |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** <u>4,771,900.00 ლარი</u> | **ფაქტობრივი:** <u>2,847,139.27 ლარი</u> |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | X | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

## აქტივობა 1.2.22.ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლების ინვენტარიზაცია

__პასუხისმგებელი უწყება:__ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/სსიპ - მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტო აქტივობის

__მიზანი:__ საქართველოში არსებული ქარსაფარი ზოლების იდენტიფიცირება, ინვენტარიზაცია, მათი ფაქტობრივი მდგომარეობის აღწერა, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქარსაფარი ზოლის ტერიტორიის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთად სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაცია და ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის სტატუსის მინიჭება.

განხორციელებული ღონისძიებები:

ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის ინვენტარიზაციას მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტო ახორციელებს მომსახურების შესყიდვის გზით. ელექტრონული ტენდერის საშუალებით განხორციელდა დედოფლისწყაროს, ქარელის, კასპის, და დუშეთის მუნიციპალიტეტებში არსებული ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლების ინვენტარიზაციის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის მიზნით, სსიპ - მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნულ სააგენტოში შეიქმნა ინსპექტირების ჯგუფი, რომლის წევრებად განისაზღვრნენ სააგენტოს მონიტორინგის სამმართველოს თანამშრომლები. წლის განმავლობაში მომწოდებლის მიერ სააგენტოში ეტაპობრივად იქნა წარმოდგენილი ინვენტარიზებული ქარსაფარი ზოლების ინვენტარიზაციის შედეგების შესახებ მასალები. ინსპექტირების მიზნით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში 8-ჯერ, ქარელის მუნიციპალიტეტში 6-ჯერ, კასპის მუნიციპალიტეტში 9-ჯერ და დუშეთის მუნიციპალიტეტში 7-ჯერ განხორციელდა (შერჩევის პრინციპით) ნაკვეთების ადგილზე (ველზე) დათვალიერება, რაზედაც მომზადდა შესაბამისი ანგარიშები. რიგ შემთხვევებში გამოვლენილ იქნა ხარვეზები, რის შესახებაც გაიცა რეკომენდაციები, რაც გათვალისწინებულ იქნა კომპანიის მხრიდან და შედეგად, შესრულებულად ჩაითვალა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში 1503.3 ჰა ფართობი, ქარელის მუნიციპალიტეტში - 499.73 ჰა ფართობი, კასპის მუნიციპალიტეტში -560.83 ჰა ფართობი, ხოლო დუშეთის მუნიციპალიტეტში -154.89 ჰა ფართობი (სულ 2718.75 ჰა).

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2022 წლის 2 თებერვლის N2-66 ბრძანებით დამტკიცებული ქარსაფარი ზოლის ინვენტარიზაციის გეგმის შესაბამისად, 2023 წლის განმავლობაში დაგეგმილი იყო 3153.4 ჰა ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლების ინვენტარიზაცია. ინვენტარიზაციის პროცესში, ადგილზე გამოვლინდა დაგეგმილზე ნაკლები ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლები. აღნიშნული სხვაობა გამოწვეულია 2004 წლის მიწის ბალანსის მონაცემების უზუსტობით. ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის ინვენტარიზაცია განხორციელდა შემდეგი შედეგებით: დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ინვენტარიზებული 1232 ერთეული მიწის ნაკვეთი, ჯამში 1503.3 ჰა ფართობი; ქარელის მუნიციპალიტეტში ინვენტარიზებული 1896 ერთეული მიწის ნაკვეთი, ჯამში 499.73 ჰა ფართობი; კასპის მუნიციპალიტეტში ინვენტარიზებული 1409 ერთეული მიწის ნაკვეთი,

ჯამში 560.83 ჰა ფართობი და დუშეთის მუნიციპალიტეტში ინვენტარიზებული 479 ერთეული მიწის ნაკვეთი, ჯამში 154.89 ჰა ფართობის ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლები, საერთო ფართობით 2718.75 ჰა. ამათან, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში სახელმწიფო საკუთრების უფლებით და ქარსაფარი ზოლის სტატუსით დარეგისტრირდა მიწის ნაკვეთები საერთო ფართობით - 1399.46 ჰა, მათ შორის: თელავის მუნიციპალიტეტში 9.30 ჰა; საგარეჯოს მუნიციპალიტეტში 417.09 ჰა, მარნეულის მუნიციპალიტეტში - 322.07 ჰა, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში - 651 ჰა ფართობის მიწის ნაკვეთები (თელავის, საგარეჯოს და მარნეულის მუნიციპალიტეტებში არსებული ქარსაფარი ზოლების ინვენტარიზაცია განხორციელდა 2021-2022 წწ-ში). რაც შეეხება ბიუჯეტის შესრულებას, ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის ინვენტარიზაციას მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტო ახორციელებს მომსახურების შესყიდვის გზით. ბაზრის კვლევის შედეგების და ბიუჯეტის შესაბამისად, ელექტრონული ტენდერი გამოცხადდა 1 500 000.00 ლარზე. გამარჯვებული პრეტენდენტის ფასმა შეადგინა 1 492 000.00 ლარი, რა თანხაზეც გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება და წარმოიშვა სატენდერო ეკონომია 8 000.00 ლარი. ბიუჯეტის შესრულება განხორციელდა მომსახურების მომწოდებელი კომპანიის მიერ შესრულებული სამუშაოების პროპორციულად და რადგან იყო სხვაობა დაგეგმილ და ფაქტიურად ინვენტარიზებულ ქარსაფრებს შორის (დაგეგმილი იყო 3153.40 ჰა ქარსაფარი ზოლის ინვენტარიზაცია, ხოლო ფაქტიურად ინვენტარიზებულია 2718.75 ჰა), შესაბამისად ვერ მოხდა ბიუჯეტის სრულად ათვისება.

აქტივობა განხორციელდა ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის ინვენტარიზაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში.

| ამოცანა 1.2: სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების უზრუნველყოფა, დივერსიფიკაციაზე, ინოვაციურ ტექნოლოგიებზე, კოოპერაციაზე, მწარმოებელთა გაერთიანებების ხელშეწყობაზე ფოკუსირების გზით; ფინანსურ ინსტრუმენტებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.2.22: ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლების ინვენტარიზაცია |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ სსიპ მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტრინგის ეროვნული სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2023 – 31.12.2023 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:** 2023 წელს, დედოფლისწყაროს, კასპის, ქარელის და დუშეთის მუნიციპალიტეტებში დაახლოებით 3,153.4 ჰა ფართობის ინვენტარიზებული და საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლები (დედოფლისწყარო-1,313.7 ჰა; კასპის-843.2 ჰა; ქარელი-819 ჰა; დუშეთი-177.5 ჰა) | **შესრულებული:** 2023 წელს, ინვენტარიზებულია 2718.75 ჰა ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლები. (დედოფლისწყარო-1503.3 ჰა; კასპის-560.83 ჰა; ქარელი-499.73 ჰა; დუშეთი-154.89ჰა) |

| ბიუჯეტი | |
|---|---|
| **საპროგნოზო:** 1,492,000.00 ლარი | **ფაქტობრივი:** 1,286,339.91 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | X | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

## აქტივობა 1.2.23: სასათბურე მეურნეობის მოწყობისთვის ფინანსური და ტექნიკური დახმარება ეკონომიურად არააქტიური ქალებისათვის (მარნეული, ლაგოდეხი)

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო

აქტივობის მიზანი: პროგრამა მიზნად ისახავს, საპილოტე მუნიციპალიტეტში ეკონომიკურად არააქტიური ქალების ინტეგრაციას საზოგადოების სრულუფლებიან წევრებად, მათი სოციალურ - ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას და ქალების სასოფლო - სამეურნეო საქმიანობაში ჩართვის სტიმულირებას.

**განხორციელებული ღონისძიებები**

2023 წელს პროგრამაში შევიდა ცვლილება, კერძოდ, პროგრამა დასაშვები გახდა სამ ახალ მუნიციპალიტეტში: ჩოხატაური, ჩხოროწყუ და ვანი. პროგრამის პოპულარიზაციისთვის და პირობების უკეთ გასაცნობად საპილოტე რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეებასთან ჩატარდა შეხვედრები.

2023 წელს, პროგრამის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების შედეგად მიღებულ იქნა შემდეგი შედეგები:

1. გაფორმებული ხელშეკრულებების რაოდენობა - 8;
2. პროგრამაში ჩართული ბენეფიციარების რაოდენობა - 8;
3. სააგენტოს თანადაფინანსება დამტკიცებულ პროექტებში - 164,222 ლარი;
4. ჯამური ინვესტიცია დამტკიცებულ პროექტებში - 182,996 ლარი.

პროგრამის განხორციელების პროცესის შეფერხების რისკს წარმოადგენს ბენეფიციარების მხრიდან დაბალი აქტივობა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნობრიობის ვადაში ვერ შესრულება.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2023 წელს, აქტივობის ფარგლებში, განხორციელდება 10 ქალი ბენეფიციარისთვის სასათბურო მეურნეობის მოწყობის თანადაფინანსება. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 8 ქალი ბენეფიციარისთვის სასათბურო მეურნეობის მოწყობის თანადაფინანსება.

2023 წელს, საპროგნოზო ბიუჯეტი განისაზღვრა 400,000.00 ლარით, ხოლო ბიუჯეტის ფაქტიურმა ათვისებამ შეადგინა 752,647.15 ლარი.

| ამოცანა 1.2. სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების უზრუნველყოფა, დივერსიფიკაციაზე, ინოვაციურ ტექნოლოგიებზე, კოოპერაციაზე, მწარმოებელთა გაერთიანებების ხელშეწყობაზე ფოკუსირების გზით; ფინანსურ ინსტრუმენტებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა | |
|---|---|
| პროგრამის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.2.23: სასათბურე მეურნეობის მოწყობისთვის ფინანსური და ტექნიკური დახმარება ეკონომიურად არააქტიური ქალებისათვის (მარნეული, ლაგოდეხი) |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი: | 01.01.2023 - 31.12.2023 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2023 წელს, განხორციელდება 10 ქალი ბენეფიციარისთვის სასათბურო მეურნეობის მოწყობის თანადაფინანსება. | **შესრულებული:**<br>2023 წელს, განხორციელდა 8 ქალი ბენეფიციარისთვის სასათბურო მეურნეობის მოწყობის თანადაფინანსება. |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 400,000.00 ლარი | **ფაქტობრივი:** 752,647.15 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | X | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

## აქტივობა 1.2.24: თხილის ბაღების მესაკუთრეების ან/და მფლობელებისთვის, თხილის მოვლა-მოყვანისთვის საჭირო საქონლის ღირებულების სუბსიდირება

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო

აქტივობის მიზანი: საქართველოში თხილის პირველადი წარმოების ხელშეწყობა თხილის ბაღების მესაკუთრეების ან/და მფლობელების სტიმულირების გზით.

**განხორციელებული ღონისძიებები**

პროგრამა განხორციელდა საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში, გარდა თვითმმართველი ქალაქებისა. პროგრამის პოტენციური ბენეფიციარი იყო საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი, რომელსაც საკუთრებაში ან/და ფაქტობრივ მფლობელობაში ან/და სახელმწიფოსგან ან/და მუნიციპალიტეტისგან ან/და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისგან იჯარით აღებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე ჰქონდა თხილის ბაღ(ებ)ი.

პროგრამის პირობებით გათვალისწინებული სუბსიდიის მისაღებად პოტენციურ ბენეფიციარს დადგენილების ამოქმედების თარიღისთვის საქართველოში საკუთრებაში ან/და თანასაკუთრებაში ან/და სარგებლობაში ან/და ფაქტობრივ მფლობელობაში უნდა ჰქონოდა თხილის ბაღ(ებ)ი ჯამურად არანაკლებ 0.2 ჰა და არაუმეტეს 3 - ჰა. სუბსიდიის მოცულობა განისაზღვრება 500 ლარით 1 ჰა თხილის ბაღზე გადაანგარიშებით. პროგრამაში ჩართულ ბენეფიციარებზე სუბსიდიის გაცემა მოხდა ლიბერთი ბანკის აგრობარათზე შესაბამისი ქულების დარიცხვით.

პროგრამის ფარგლებში 2022 წლის 07 ნოემბრიდან 2023 წლის 28 აპრილის მდგომარეობით ჯამში რეგისტრირებულია 98,150-მდე მოსარგებლე ბენეფიციარი, აქედან რეგისტრირებული უნიკალური ბენეფიციარების რაოდენობაა 64,841 და ფართობი შეადგენს 47,325.66 ჰა-ს.

პროგრამის ფარგლებში 2022 წლის 07 ნოემბრიდან 2023 წლის 28 აპრილის მდგომარეობით 0.2 ჰა-დან 3 ჰა-ს ჩათლით შუალედის ფარგლებში რეგისტრირებულია 90,834 მოსარგებლე ბენეფიციარი, აქედან რეგისტრირებული უნიკალური ბენეფიციარების რაოდენობაა 62,541 და ფართობი შეადგენს 44,536.21 ჰა-ს. სუბსიდიის ჯამური ოდენობაა 22,268,107 ლარი.

2023 წელს, პროგრამის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების შედეგად მიღებულ იქნა შემდეგი შედეგები:

1. ბენეფიციარების რაოდენობა, რომლებსაც დაერიცხათ ქულები - 61,418;
2. ფართობი, რომლის შესაბამისი ქულები დაერიცხათ ბენეფიციარებს - 43,952.71 ჰა;
3. დარიცხული ქულების ოდენობა - 21,976,355 ლარი;
4. ბენეფიციარების მიერ განაღდებული ქულების ოდენობა - 20,922,694 ლარი.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2023 წელს, აქტივობის ფარგლებში, განხორციელდება 40,000 ჰა თხილის პლანტაციების სუბსიდირება. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 43,952.71 ჰა თხილის პლანტაციების სუბსიდირება.

2023 წელს, საპროგნოზო ბიუჯეტი განისაზღვრა 20,000,000.00 ლარით, ხოლო ბიუჯეტის ფაქტიურმა ათვისებამ შეადგინა 21,492,237.95 ლარი.

| ამოცანა 1.2. სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების უზრუნველყოფა, დივერსიფიკაციაზე, ინოვაციურ ტექნოლოგიებზე, კოოპერაციაზე, მწარმოებელთა გაერთიანებების ხელშეწყობაზე ფოკუსირების გზით; ფინანსურ ინსტრუმენტებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა | |
|---|---|
| პროგრამის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.2.24: თხილის ბაღების მესაკუთრეების ან/და მფლობელებისთვის, თხილის მოვლა-მოყვანისთვის საჭირო საქონლის ღირებულების სუბსიდირება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი: | 01.01.2023 - 31.12.2023 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2023 წელს, განხორციელდება 40 000 ჰა თხილის პლანტაციების სუბსიდირება. | **შესრულებული:**<br>2023 წელს, განხორციელდა 43,952.71 ჰა თხილის პლანტაციების სუბსიდირება. |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 20,000,000.00 ლარი | **ფაქტობრივი:** 21,492,237.95 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

### აქტივობა 1.2.25: სოფლად სოციალურ-ეკონომიკური და გარემოსდაცვითი საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო

აქტივობის მიზანი: სოფლად ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი საქმიანობების ხელშეწყობისთვის პროგრამაში მონაწილე ბენეფიციარებისთვის ფინანსური დახმარების გაწევა თანადაფინანსების მეშვეობით; სოფლად სამეწარმეო საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა; სოფლად მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ - ეკონომიკური მდგომარეობის

გაუმჯობესება, ეკონომიკური დივერსიფიკაცია და ახალი, გრძელვადიანი სამუშაო ადგილების შექმნა.

**განხორციელებული ღონისძიებები**

საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცდა "ლიდერ პროგრამა".

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2023 წელს, აქტივობის ფარგლებში, საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცდება "ლიდერ პროგრამა". საანგარიშო პერიოდში განხორციელდა საქართველოს მთავრობის მიერ "ლიდერ პროგრამის" დამტკიცება.

2023 წელს, საპროგნოზო ბიუჯეტი განისაზღვრა 1,000,000.00 ლარით, ხოლო ბიუჯეტის ფაქტიურმა ათვისებამ შეადგინა 0.00 ლარი.

| ამოცანა 1.2. სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების უზრუნველყოფა, დივერსიფიკაციაზე, ინოვაციურ ტექნოლოგიებზე, კოოპერაციაზე, მწარმოებელთა გაერთიანებების ხელშეწყობაზე ფოკუსირების გზით; ფინანსურ ინსტრუმენტებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა | |
|---|---|
| პროგრამის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.2.25: სოფლად სოციალურ-ეკონომიკური და გარემოსდაცვითი საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი: | 01.01.2023 - 31.12.2023 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2023 წელს, აქტივობის ფარგლებში, საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცდება "ლიდერ პროგრამა". | **შესრულებული:**<br>2023 წელს, საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცდა "ლიდერ პროგრამა" . |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 1,000,000.00 ლარი | **ფაქტობრივი:** 0.00 ლარი |

**შენიშვნა:**

"სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების სტრატეგიის" განახლებული სამოქმედო გეგმის შესაბამისად,"ლიდერ პროგრამის" 2023 წლის აქტივობის ინდიკატორი შეიცვალა და გახდა: "2023 წელს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცდება "ლიდერ პროგრამა"". "ლიდერ პროგრამა" საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცდა 28.01.2023-ში, შესაბამისად ინდიკატორი შესრულდა. რაც შეეხება 2023 წლის დაგეგმილ ბიუჯეტს (1 000 000 ლარი), ეს ბიუჯეტი იყო თავდაპირველი აქტივობის ინდიკატორის ბიუჯეტი და ინდიკატორის შეცვლასთან პარალელურად, აღარ განხორციელდა ამ ბიუჯეტის გახარჯვა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

## აქტივობა 1.2.26: ბიო წარმოების ზრდის ხელშეწყობა

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო

<u>აქტივობის მიზანი:</u> ბიოწარმოების ხელშეწყობის პროგრამის მიზანია ბიო წარმოების, მხარდაჭერა ბიო პროდუქტების წარმოების ზრდის უზრუნველსაყოფად.

**განხორციელებული ღონისძიებები**

პროგრამის პოპულარიზაციისთვის და პირობების უკეთ გასაცნობად საპილოტე რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობასთან ჩატარდა შეხვედრები.

2023 წელს, პროგრამის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების შედეგად მიღებულ იქნა შემდეგი შედეგები:

1. გაფორმებული ხელშეკრულებების რაოდენობა - 40;
2. პროგრამაში ჩართული ბენეფიციარების რაოდენობა - 40;
3. სააგენტოს თანადაფინანსება დამტკიცებულ პროექტებში - 411,280 ლარი;
4. ჯამური ინვესტიცია დამტკიცებულ პროექტებში - 630,227 ლარი.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2023 წელს, აქტივობის ფარგლებში, დაიწყება 30 ბენეფიციარის ბიომეურნეობის სერტიფიცირების პროცესი. საანგარიშო პერიოდში დაიწყო 40 ბენეფიციარის ბიომეურნეობის სერტიფიცირების პროცესი.

2023 წელს, საპროგნოზო ბიუჯეტი განისაზღვრა 500,000.00 ლარით, ხოლო ბიუჯეტის ფაქტიურმა ათვისებამ შეადგინა 83,706.50 ლარი.

***<u>შენიშვნა:</u>*** *ბიო წარმოებაზე გადასვლა საჭიროებს არანაკლებ 3 წლიანი კონვერსიის პერიოდს. შესაბამისად, პროგრამის ვალდებულებების შესრულება, რაზეც არის დამოკიდებული ტრანშების მიღება შეიძლება ერთ წელზე დიდხანს გაგრძელდეს.*

| |
|---|
| ამოცანა 1.2. სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების უზრუნველყოფა, დივერსიფიკაციაზე, ინოვაციურ ტექნოლოგიებზე, კოოპერაციაზე, მწარმოებელთა |

| გაერთიანებების ხელშეწყობაზე ფოკუსირების გზით; ფინანსურ ინსტრუმენტებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა | |
|---|---|
| პროგრამის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.2.26: ბიო წარმოების ზრდის ხელშეწყობა |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი: | 01.01.2023 - 31.12.2023 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2023 წელს, დაიწყება 30 ბენეფიციარის ბიომეურნეობის სერტიფიცირების პროცესი. | **შესრულებული:**<br>2023 წელს, დაიწყო 40 ბენეფიციარის ბიომეურნეობის სერტიფიცირების პროცესი. |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 500,000.00 ლარი | **ფაქტობრივი:** 83,706.50 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

## აქტივობა 1.2.27: რეგიონებში ინოვაციური პროდუქტების, მომსახურების, ტექნოლოგიების დანერგვის, ტესტირებისა ან/და გაუმჯობესების და მათი შემდგომი კომერციალიზაციის მიზნით, ადგილობრივი სტარტაპების დაფინანსება

**პასუხისმგებელი უწყება:** საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო / სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო"

**აქტივობის მიზანი:** აქტივობის მიზანია საქართველოს რეგიონებში ადგილობრივი ინოვაციური და ტექნოლოგიური ეკოსისტემის გაძლიერება და ინოვაციური პროდუქტების, მომსახურების, ტექნოლოგიებისა და პროცესების შემუშავება/ათვისებისა და კომერციალიზაციის გზით, ტექნოლოგიური სტარტაპების შექმნა.

**განხორციელებული ღონისძიებები:** 2023 წლიდან სსიპ "საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტომ" დაიწყო „ინოვაციების გრანტები რეგიონებისთვის" საგრანტო პროგრამის განხორციელება. საგრანტო პროგრამა უკვე ჩატარდა საქართველოს 10 რეგიონში, კერძოდ, აჭარაში, გურიაში, იმერეთში, სამეგრელოში, სვანეთში, რაჭა-ლეჩხუმში, შიდა-ქართლში, მცხეთა-მთიანეთში, სამცხე-ჯავახეთში, ქვემო-ქართლსა და კახეთში. პროგრამის ფარგლებში, ჯამურად, განმცხადებლების რაოდენობამ შეადგინა 366, რომელთაგან ქალი იყო 135, კაცი - 231. სააგენტომ აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დააფინანსა 41 ბენეფიციარი, მათ შორის, 14 ქალი, 27 კაცი. რეგიონების მიხედვით, ბენეფიციართა რაოდენობრივი და

გენდერული გადანაწილება შემდეგია: აჭარა (7 ბენეფიციარი; 3 ქალი/4 კაცი), გურია (2 ბენეფიციარი; 1 ქალი/1 კაცი), იმერეთი (2 ბენეფიციარი; 0 ქალი/2 კაცი), სამეგრელო (6 ბენეფიციარი; 1 ქალი/5 კაცი), სვანეთი (2 ბენეფიციარი; 1 ქალი/1 კაცი), რაჭა-ლეჩხუმი (2 ბენეფიციარი; 1 ქალი/1 კაცი), შიდა-ქართლი (4 ბენეფიციარი; 2 ქალი/2 კაცი), მცხეთა-მთიანეთი (2 ბენეფიციარი; 1 ქალი/1 კაცი), სამცხე-ჯავახეთი (2 ბენეფიციარი; 1 ქალი/1 კაცი), ქვემო-ქართლი (4 ბენეფიციარი; 0 ქალი/4 კაცი) და კახეთი (8 ბენეფიციარი; 3 ქალი/5 კაცი).

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება:** მოცემული აქტივობის ფარგლებში, გათვალისწინებული იყო 40 ბენეფიციარის დაფინანსება, ხოლო აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, საპროგნოზო ბიუჯეტით განსაზღვრული იყო 1 000 000 ლარი. სააგენტომ დაფინანსება გასცა 41 ბენეფიციარზე, ხოლო ბიუჯეტის ფაქტობრივმა ათვისებამ შეადგინა 917 255.46 ლარი. გამომდინარე იქიდან, რომ ბენეფიციარების ნაწილთან გაფორმებული ხელშეკრულებებისა და მათი პროექტების განხორციელების ვადები სხვადასხვაა, სააგენტო საგრანტო თანხის 10%-ის გადარიცხვა დაგეგმილია 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ფარგლებში.

| **ამოცანა 1.2:** სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების უზრუნველყოფა, დივერსიფიკაციაზე, ინოვაციურ ტექნოლოგიებზე, კოოპერაციაზე, მწარმოებელთა გაერთიანებების ხელშეწყობაზე ფოკუსირების გზით; ფინანსურ ინსტრუმენტებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.2.27: რეგიონებში ინოვაციური პროდუქტების, მომსახურების, ტექნოლოგიების დანერგვის, ტესტირებისა ან/და გაუმჯობესების და მათი შემდგომი კომერციალიზაციის მიზნით, ადგილობრივი სტარტაპების დაფინანსება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო/სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო“ |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2023 – 31.12.2023 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>საქართველოს რეგიონებში დაფინანსებული 40 ინოვაციური სტარტაპი | **შესრულებული:**<br>საქართველოს რეგიონებში საანგარიშო წელს დაფინანსდა 41 სტარტაპი |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 1,000,000 ლარი | **ფაქტობრივი:** 917,255.46 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | სტატუსი | | | | | X |

## აქტივობა 1.2.28: ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით კომპანიათა საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობის თანადაფინანსება

**პასუხისმგებელი უწყება:** საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო /სსიპ „აწარმოე საქართველოში"

**აქტივობის მიზანი:** საქართველოს საექსპორტო პოტენციალის პოპულარიზაცია

სტრატეგიულ და პრიორიტეტულ ბაზრებზე B2B ტიპის გამოფენების ორგანიზება და საქართველოში არსებული სხვადასხვა სექტორის წარმომადგენელი კომპანიების თანადაფინანსება, ახალ პარტნიორებთან დაკავშირების და საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირების მიზნით. სააგენტო უზრუნველყოფს მცირე და საშუალო ბიზნესისთვის (III-IV კატეგორიის საწარმოები) ღონისძიებასთან დაკავშირებული ხარჯების 80-90% თანადაფინანსებას.

**განხორციელებული ღონისძიებები:** ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით, 2023 წელს, სააგენტოს მხრიდან 107-ჯერ დაფინანსდა 70 აგროპროდუქტების მწარმოებელი კომპანიის 5 საერთაშორისო ღონისძიებაში მონაწილეობა, რომლის ფარგლებშიც ჯამში გადაირიცხა 4.5 მლნ ლარი (აღნიშნული თანხის ნაწილი გადარიცხულია 2022 წელს).

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება:**

ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით, 2023 წელს, სააგენტოს მხრიდან 107-ჯერ დაფინანსდა 70 აგროპროდუქტების მწარმოებელი კომპანიის 5 საერთაშორისო ღონისძიებაში მონაწილეობა, რომლის ფარგლებშიც ჯამში გადაირიცხა 4,514,664 ლარი(აღნიშნული თანხის ნაწილი გადარიცხულია 2022 წელს).

| ამოცანა 1.2: სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების უზრუნველყოფა, დივერსიფიკაციაზე, ინოვაციურ ტექნოლოგიებზე, კოოპერაციაზე, მწარმოებელთა გაერთიანებების ხელშეწყობაზე ფოკუსირების გზით; ფინანსურ ინსტრუმენტებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | 1.2.28. ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით კომპანიათა საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობის თანადაფინანსება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო/სსიპ აწარმოე საქართველოში |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2023 – 31.12.2023 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2023 წელს, თანადაფინანსება გაეწევა 50 აგროპროდუქტების მწარმოებელ ბენეფიციარს | **შესრულებული:**<br>თანადაფინანსება გაეწია 70 აგროპროდუქტების მწარმოებელ ბენეფიციარს სხვადასხვა |

| | |
|---|---|
| სხვადასხვა საერთაშორისო გამოფენებზე, შესაბამის პრიორიტეტულ ბაზრებზე. | საერთაშორისო გამოფენებზე, შესაბამის პრიორიტეტულ ბაზრებზე |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 3,000,000 ლარი | **ფაქტობრივი:** 4,514,664 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

## აქტივობა 1.2.29: საბაზრო კავშირების დამყარების პროგრამის (Business lead generation) განხორციელება ქართული აგროკომპანიებისათვის

**პასუხისმგებელი უწყება:** საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო /სსიპ „აწარმოე საქართველოში“

**აქტივობის მიზანი:** ქართული აგროკომპნიების ექსპორტისა და კონკურუნტუნარიონობის ზრდა მიზნობრივ ბაზრებზე

ქართული აგროკომპანიებისთვის ექსპორტის საბაზრო კავშირების დამყარების მიზნით, 2022-2023 წლებში სააგენტოს "აწარმოე საქართველოში" ინიცირებით, USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამის მხარდაჭერითა და სოფლის განვითარების სააგენტოსთან პარტნიორობით მიმდინარეობდა პროგრამა, რომლის ფარგლებშიც ხორციელდებოდა ქართველი მწარმოებლებისა და გერმანიასა და სპარსეთის ყურის ქვეყნებში არსებული დაინტერესებული მყიდველების დაკავშირება ერთმანეთთან.

პროგრამაში მონაწილეობისთვის მთელი ქვეყნის მასშტაბით შეირჩა ლურჯი მოცვისა და კაკლოვანი კულტურების მწარმოებელი, ასევე სურსათის გადამამუშავებელი ექსპორტზე ორიენტირებული საწარმოები.

**განხორციელებული ღონისძიებები:** პროგრამის ფარგლებში, რომელიც ხორციელდება USAID-ის დაფინანსებით, 2023 წლის დეკემბრის მდგომარეობით, განხორციელდა 50 შერჩეული კომპანიისთვის ბიზნეს შეხვედრების (b2b) ორგანიზება მათთვის შერჩეულ უცხოელ პოტენციურ შემსყიდველებთან. გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამა ხორციელდება USAID-ის დაფინანსებით, ბიუჯეტში ფაქტიური შესრულების შესახებ სააგენტო არ ფლობს ინფორმაციას.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება:**

პროგრამის ფარგლებში, რომელიც ხორციელდება USAID-ის დაფინანსებით, 2023 წლის დეკემბრის მდგომარეობით, განხორციელდა 50 შერჩეული კომპანიისთვის ბიზნეს შეხვედრების (b2b) ორგანიზება მათთვის შერჩეულ უცხოელ პოტენციურ შემსყიდველებთან.

გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამა ხორციელდება USAID-ის დაფინანსებით, ბიუჯეტში ფაქტიური შესრულების შესახებ სააგენტო არ ფლობს ინფორმაციას.

| ამოცანა 1.2: სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების უზრუნველყოფა, დივერსიფიკაციაზე, ინოვაციურ ტექნოლოგიებზე, კოოპერაციაზე, მწარმოებელთა გაერთიანებების ხელშეწყობაზე ფოკუსირების გზით; ფინანსურ ინსტრუმენტებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | 1.2.29. Business lead generation - საბაზრო კავშირების დამყარების პროგრამა ქართული აგროკომპანიებისათვის |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო/სსიპ აწარმოე საქართველოში |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2023 – 31.12.2023 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2023 წელს, 50 კომპანიისთვის ბიზნეს შეხვედრების (b2b) ორგანიზება მათთვის შერჩეულ უცხოელ პოტენციურ შემსყიდვლებთან. | **შესრულებული:**<br>2023 წელს 50 კომპანიისთვის განხორციელდა ბიზნეს შეხვედრების (b2b) ორგანიზება მათთვის შერჩეულ უცხოელ პოტენციურ შემსყიდვლებთან. |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 634,400 ლარი | **ფაქტობრივი:** გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამა ხორციელდება USAID ის დაფინანსებით, ბიუჯეტში ფაქტიური შესრულების შესახებ სააგენტო არ ფლობს ინფორმაციას. |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | | | | X |

## ამოცანა 1.3 ფერმერთა/მეწარმეთა ბაზარზე ინტეგრაცია

1.3 ამოცანის შესრულების მიზნით, 2023 წელს 5 აქტივობა განხორციელდა, მათ შორის, ქართული აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაციის მხარდაჭერა/ღონისძიებების გატარება, ქართული ვაზის წარმოშობის პოპულარიზაციის უზრუნველყოფა, ადგილწარმოშობის დასახელებების და გეოგრაფიული აღნიშვნების სისტემის განვითარება, სურსათის წარმოების საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობა და ვენახების კადასტრის აგება.

ამოცანის ყველა აქტივობა განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მის სტრუქტურაში შემავალი სააგენტოების მიერ.

**ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული აქტივობების შედეგად, 2023 წლის განმავლობაში:**

- ⇒ მოხდა ქართული აგროსასურსათო პროდუქციის 9 გამოფენა-დეგუსტაციის ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება/მიღების უზრუნველყოფა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და ქვეყნის შიგნით;
- ⇒ მოეწყო 14 გამოფენა და უზრუნველყოფილ იქნა 100 ქართული აგრო-სასურსათო პროდუქციის გამოფენა-დეგუსტაციის ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და ქვეყნის შიგნით.
- ⇒ 2023 წელს, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში დაცული იქნა 1 ქართული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინო და შემუშავდა 1 ახალი დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინის წარმოების სპეციფიკაციის ფორმა.
- ⇒ 2023 წელს, 32 ბენეფიციარმა მოახდინა სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სისტემების, სტანდარტების დანერგვა და სერტიფიცირება (ISO-22000, HACCP, GLOBAL G.A.P, BRC, FSSC-22000, FSSC v.5.1.), ხოლო 29 ბენეფიციარმა მოახდინა პროდუქციის/კომპანიის სრული ბრენდირება, 10 ბენეფიციარმა მოახდინა სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია და 7 კოოპერატივმა მოახდინა სასოფლო - სამეურნეო კოოპერატივებისთვის პროდუქციის საბოლოო სასაქონლო სახის მისაცემად საჭირო აღჭურვა.
- ⇒ 2023 წელს, შემუშავდა ვენახების კადასტრის პროგრამა დასავლეთ საქართველოს მევენახეობის 4 რეგიონში განხორციელდა - იმერეთი, გურია, სამეგრელო და აჭარა.

**1.3 ამოცანის შესრულების მიზნით 2023 წელს, სახელმწიფოს მიერ, ამოცანის განხორციელებისთვის გახარჯულია 17,348,964.15 ლარი**

## აქტივობა 1.3.1.: ქართული აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაციის მხარდაჭერა/ღონისძიებების გატარება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო

აქტივობის მიზანი: ქართული აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაციის ხელშეწყობა.

**განხორციელებული ღონისძიებები**

ქვეპროგრამის ფარგლებში ჩატარდა 9 ღონისძიება (მათ შორის: 8 საერთაშორისო და 1 ადგილობრივი ღონისძიება):

- 12-14 ნოემბერს, აშშ-ში, ქ. ჩიკაგოში გამართულ საერთაშორისო გამოფენაზე U.S. Private Label Trade Show 6 ქართული კომპანიის პროდუქცია იყო წარმოდგენილი;
- 23-26 ოქტომბერს, საუდის არაბეთის სამეფოში, ქ. რიადში გამართულ საერთაშორისო გამოფენაზე Saudi Agriculture International Trade Exhibition 8 ქართული კომპანიის პროდუქცია იყო წარმოდგენილი;
- 3-6 ოქტომბერს, საფრანგეთში, ქალაქ კლერმონ - ფერანსში გამართულ საერთაშორისო გამოფენაზე Sommet De l’elvage, 4 მიმართულებით იყვნენ სხვადასხვა მიზნობრივი ორგანიზაციები;
- 7-9 სექტემბერს, ლატვიის რესპუბლიკაში, ქალაქ რიგაში გაიმართა საერთაშორისო გამოფენა RIGA FOOD 2023, სადაც 8 ქართული კომპანია იყო წარმოდგენილი;

- 26 მაისს, ქალაქ მცხეთაში, თავისუფლების დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე გამართულ ადგილობრივ გამოფენა - გაყიდვაზე, 14 ქართული კომპანია იყო წარმოდგენილი;
- 17-19 მაისს, აზერბაიჯანის რესპუბლიკაში, ქალაქ ბაქოში საერთაშორისო გამოფენა CASPIAN AGRO 2023 გაიმართა, სადაც 10 ქართულმა კომპანიამ დამთვალიერებელს საკუთარი წარმოების სასოფლო - სამეურნეო პროდუქცია გააცნო;
- 15-19 მარტს, კატარის დედაქალაქ დოჰაში გამართულ საერთაშორისო გამოფენაზე Agriteq 2023, 14 ქართული კომპანიის პროდუქცია იყო წარმოდგენილი;
- 8-10 თებერვალს, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ქალაქ ბერლინში გამართულ საერთაშორისო გამოფენაზე FRUIT LOGISTICA 2023, 14 ქართული კომპანია იყო წარმოდგენილი;
- 20-29 იანვარს, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ქალაქ ბერლინში გამართულ საერთაშორისო გამოფენაზე International Green Week Berlin 2023, 16 ქართული კომპანიის პროდუქცია იყო წარმოდგენილი, მათ შორის, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2023 წელს, დაგეგმილი იყო, რომ განხორციელდება ქართული აგროსასურსათო პროდუქციის 10 გამოფენა - დეგუსტაციის ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება/მიღების უზრუნველყოფა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და ქვეყნის შიგნით. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ქართული აგროსასურსათო პროდუქციის 9 გამოფენა-დეგუსტაციის ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება/მიღების უზრუნველყოფა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და ქვეყნის შიგნით.

2023 წელს, აქტივობის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებებისთვის, საპროგნოზო ბიუჯეტი განისაზღვრა 1,500,000.00 ლარით, ხოლო ბიუჯეტის ფაქტიურმა ათვისებამ შეადგინა 2,454,572.58 ლარი.

***<u>შენიშვნა:</u>*** *არსებულ გამოფენებს წლის განმავლობაში დაემატა საფრანგეთში გასამართი მეცხოველეობის გამოფენა "Sommet Levage", სადაც საქართველო გახლდათ მასპინძელი ქვეყნის სტატუსის მქონე, რაც გულისხმობდა ქართული პავილიონის მოწყობის ხარჯებს. აქედან არის დაგეგმილი ბიუჯეტის გადაცდენა.*

| ამოცანა 1.3 ფერმერთა/მეწარმეთა ბაზარზე ინტეგრაცია | |
|---|---|
| პროგრამის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.3.1: ქართული აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაციის მხარდაჭერა/ღონისძიებების გატარება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი: | 01.01.2023 - 31.12.2023 |

| შესრულების ინდიკატორები | |
|---|---|
| **დაგეგმილი:**<br>2023 წელს, ქართული აგროსასურსათო პროდუქციის 10 გამოფენა-დეგუსტაციის ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება/ მიღების უზრუნველყოფა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და ქვეყნის შიგნით. | **შესრულებული:**<br>2023 წელს, განხორციელდა ქართული აგროსასურსათო პროდუქციის 9 გამოფენა-დეგუსტაციის ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება/მიღების უზრუნველყოფა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და ქვეყნის შიგნით. |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 1,500,000.00 ლარი | **ფაქტობრივი:** 2,454,572.58 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | X | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

## სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს კომპეტენციის ფარგლებში

### აქტივობა 1.3.1. ქართული აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაციის მხრადაჭერა/ღონისძიებების გატარება

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო

<u>აქტივობის მიზანი</u>: ექსპორტის შედეგად მიღებული შემოსავალი წინა წელთან შედარებით დაახლოებით გაიზრდება 8-10%-ით. მოეწყობა ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების არანაკლებ 20 გამოფენა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. დაგეგმილ ღონისძიებებში მონაწილეობას მიიღებს 400-მდე ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანია. ქართული ღვინის 180-მდე დეგუსტაცია -პრეზენტაცია (საქართველოსა და საქართველოს ფარგლებს გარეთ).

**განხორციელებული ღონისძიებები**

- საქართველო ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფის (WWTG) თავმჯდომარე ქვეყანა გახდა. 30-31 ოქტომბერს ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფის (WWTG) წლიური შეხვედრა თბილისში გაიმართა
- 12-13 თებერვალს საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში გამართულ ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების საერთაშორისო გამოფენაში „VinExpo Paris", ქართული ღვინის მწარმოებელი 13 კომპანია მონაწილეობდა.
- 7-10 მარტს ქართული ღვინის მწარმოებელი 16 კომპანია იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში მიმდინარე კვებისა და სასმელების გამოფენაში „Foodex Japan 2023" მონაწილეობდა.

- 8-9 მარტს, ნიუ-იორკში, ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების საერთაშორისო გამოფენაზე „Vinexpo New York“ ქართული ღვინის მწარმოებელმა 26-მა კომპანიებმა საკუთარი პროდუქცია წარადგინა.
- 19-21 მარტს, გერმანიის ქალაქ დიუსელდორფში, გამოფენაში „ProWein-2023“ ქართული ღვინის 25 კომპანია მონაწილეობდა.
- 12-14 აპრილს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ქალაქ ჩენგდუში ღვინისა და საკვების საერთაშორისო გამოფენა „The 108th China Food & Drinks Fair“ გაიმართა.
- 18-23 აპრილს, 23-24 აპრილს ლოს-ანჯელესში, ბუნებრივი ღვინოების გამოფენაზე ,,RAW Wine” იყო წარმოდგენილი.
- აპრილში,საქართველოში გერმანელი ღვინის პროფესიონალების ტური განხორციელდა. 2-7 მაისს, მარკეტინგული კომპანიის „Meiburg Wine Media'' ხელმძღვანელის, ღვინის მაგისტრ დებრა მეიბურგის ორგანიზებით, საქართველოს ჩინეთიდან და სინგაპურიდან ღვინის პროფესიონალები სტუმრობდნენ. 13-16 ივლისს საქართველოში ამერიკელი ღვინის იმპორტიორების ტური ჩატარდა.
- 22 ივლისს, რაჭა-ლეჩხუმის ღვინის რიგით მეორე ფესტივალი ქალაქ ცაგერში გაიმართა.
- 28 აგვისტოს, ნიდერლანდების სამეფოს დედაქალაქ ამსტერდამში ქართული ღვინის დეგუსტაცია გაიმართა.
- 6-9 სექტემბერს საქართველოს გერმანელი ღვინის მაგისტრი კონსტანტინ ბაუმი სტუმრობდა.
- 8-10 სექტემბერს კორეის რესპუბლიკის ქალაქ დეჯონში საერთაშორის ფესტივალზე "Daejeon International Wine Festival" ქართული ღვინის 15 მწარმოებლის ღვინო იყო წარმოდგენილი.
- 10-15 სექტემბერს ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, საქართველოში ბრიტანელი ღვინის მაგისტრი, ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის ,,Swirl Wine Group“ ხელმძღვანელი სარა ებოტი და ღვინის პროფესიონალების 12-კაციანი ჯგუფი იმყოფებოდა.
- 12-17 სექტემბერს , საქართველოს ამერიკელი ღვინის პროფესიონალები სტუმრობდნენ.
- 13-17 სექტემბერს, სააგენტოს კონტრაქტორი გერმანული მარკეტინგული კომპანიის „ff.k Public Relations” ორგანიზებით, საქართველოს გერმანიიდან ღვინის თემაზე მომუშავე ჟურნალისტები, ინფლუენსერები და ბლოგერები სტუმრობდნენ.
- 26 სექტემბერს, საერთაშორისო ღონისძიების „Wine Campus” ფარგლებში, გასტრონომიისა და გაყიდვების სფეროს წარმომადგენებისთვის ქართული ღვინის მასტერკლასი და დეგუსტაცია ქალაქ დუსელდორფში გაიმაფთა.
- 26 სექტემბერს, ამერიკის შეერთებული შტატებში, ქალაქ ნიუ-იორკში, ქართული ღვინის მასშტაბური დეგუსტაცია გაიმართა.
- 28 სექტემბერს სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და ბალტიისპირეთის ქვეყნებში სააგენტოს კონტრაქტორი მარკეტინგული კომპანიის „TRIBE INTERNATIONAL” ორგანიზებით, ქართული ღვინის დეგუსტაცია ლატვიის დედაქალაქ რიგაში გაიმართა.
- 29 სექტემბერს, რაგბის მსოფლიო ჩემპიონატის ფარგლებში, ქალაქ ბორდოში ქართული ღვინის მასშტაბური წარდგენა გაიმართა.
- 5 ოქტომბერს, კორეის რესპუბლიკის დედაქალაქ სეულში ქართული ღვინის მასშტაბური წარდგენა ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და სააგენტოს კონტრაქტორი კორეული მარკეტინგული კომპანიის „Wine21.com” ორგანიზებით გაიმართა.
- 1 ოქტომბერს, იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში გამართულ ღონისძიებას 80-ზე მეტი სტუმარი, მათ შორის, სომელიეები, იმპორტიორები, ღვინის თემაზე მომუშავე ჟურნალისტები ესწრებოდნენ.

- 13-15 ოქტომბერს, ქართული ღვინის ფესტივალს, დევონის საგრაფო, დარტინგტონის სასახლე მასპინძლობდა. ღონისძიება ღვინის ეროვნული სააგენტოს, ასევე აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) სოფლის მეურნეობის პროგრამის მხარდაჭერით და სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის ,,Swirl Wine Group" ორგანიზებით გაიმართა.
- 16-19 ოქტომბერს, საქართველოში პოლონელი ღვინის პროფესიონალების ტური ჩატარდა.
- 19 ოქტომბერს, ქართული ღვინის დეგუსტაცია-სემინარი „საქართველო - ღვინის სამშობლო" ქალაქ ჰამბურგში, გაიმართა.
- 21 ოქტომბერს, ღვინის ფესტივალი „ახალი მცირე მარნები დიდ ასპარეზზე" თბილისში, მთაწმინდის პარკში გაიმართა. ფესტივალზე 40-მდე ღვინის მწარმოებლის პროდუქცია იყო წარმოდგენილი საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის ყველა რეგიონიდან.
- 23-29 ოქტომბერს, საქართველოში კორეის რესპუბლიკიდან ღვინის პროფესიონალების ჯგუფი იმყოფებოდა.
- 17-19 ოქტომბერს საქართველოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის 14 კაციანი დელეგაცია სტუმრობდა.
- 4 ნოემბერს, თბილისში სემინარი „გერმანიის ღვინის ბაზარი და მასზე შეღწევის გზები" გაიმართა. სემინარს, რომელსაც 70-მდე ქართული ღვინის მწარმოებელი დაესწრო, "ff.k Public Relations"-ის დირექტორი მეიკე ფრერსი (Meike Frers), ღვინის სპეციალიზირებული გამოცემის "Wein+Markt" მთავარი რედაქტორი კატია აპელტი (Katja Apelt) და იმპორტიორი კომპანიის "HAWESKO" მენეჯერი კარო ლენგე (Caro Lange) უძღვებოდნენ.
- 5-10 ნოემბერს საქართველოში კორეის რესპუბლიკიდან ღვინის პროფესიონალების ჯგუფი იმყოფებოდა.
- 7-11 ნოემბერს, ქალაქ კრაკოვში ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების საერთაშორისო გამოფენაში „EnoExpo 2023" ქართული ღვინის 26 მწარმოებელი მონაწილეობდა. ქართული ღვინის დეგუსტაცია გაიმართა კრაკოვის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ისტორიულ „ფშეგოჟალის სასახლეშიც", სადაც წარმოდგენილი იყო გამოფენაში „EnoExpo 2023" მონაწილე 15-მდე ქართული ღვინის კომპანიის პროდუქცია. ასევე, „ქართული ღვინის საღამო" გაიმართა კრაკოვის ერთ-ერთ ღვინის ბარში, სადაც წარმოდგენილი იყო ქართული ღვინის მწარმოებლის პროდუქცია.
- ქალაქ კრაკოვში ქართული ღვინის ფესტივალიც გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა 25-მდე ღვინის კომპანიამ მიიღო.
- 7 ნოემბერს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, ქალაქ შანხაიში „ქარვისფერი ღვინის საერთაშორისო კონფერენცია" გაიმართა.
- 8-10 ნოემბერს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ქალაქ შანხაიში ღვინის სფეროში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული და მნიშვნელოვანი გამოფენაში ProWine Shanghai ქართული ღვინის მწარმოებელი 27 კომპანია მონაწილეობდა.
- 9 ნოემბერს, იაპონიის ქალაქ ოსაკაში ქართული ღვინის სემინარი გაიმართა.
- ქვევრის ღვინის 13 მწარმოებელი კომპანია და მარანი აშშ-ში, ქალაქ ნიუ-იორკში 13 ნოემბერს გამართულ ბუნებრივი ღვინოების საერთაშორისო გამოფენაში ,,RAW Wine" (The Artisan Wine Fair) მონაწილეობდა.
- 14-16 ნოემბერს, ტექსასის შტატში „ქართული ღვინის ფორუმი" გაიმართა.
- 24-27 ნოემბერს, მონაკოში, ქალაქ მონტე-კარლოში, ღვინისა და გასტრონომიის ფესტივალში „Salon Monte Carlo Gastronomie" ქართული ღვინის მწარმოებელი ცხრა კომპანიის ღვინო იყო წარმოდგენილი.

- CNN-ზე გასაშვები ვიდეორგოლის „ღვინის სამშობლო წარმოგიდგენთ“ პრეზენტაცია თბილისში 26 ნოემბერს გაიმართა და მას საქართველოს მთავრობის, მეღვინეობის დარგის, არასამთავრობო სექტორის, სამეცნიერო და ხელოვნების სფეროს წარმომადგენლები და ვეტერანი მეღვინეები დაესწრნენ.
- 21 ნოემბერს, ისლანდიის დედაქალაქ რეიკიავიკში, კინოთეატრში „Bioparadis“ სამეცნიერო-დოკუმენტური ფილმის „საქართველო ღვინის სამშობლო“ ჩვენება გაიმართა.
- 23 ნოემბერს, რეიკიავიკის ბიზნესცენტრში (Óðinsgata7,101 Reykjavík) და ისლანდიის ღვინის მონოპოლურ კომპანიაში „ვინდბუდინი“ ქართული ღვინის პერზენტაცია-დეგუსტაციები გაიმართა.
- 25 ნოემბერს, ქართული ღვინის დეგუსტაცია-პრეზენტაცია კოპენჰაგენი, დანიაში ქართული ღვინის ყველაზე მსხვილ იმპორტიორ კომპანიასთან „Rosfort&Rosfort“ ერთობლივი ორგანიზებითაც გაიმართა.
- 27 ნოემბერს, ღვინის ეროვნული სააგენტოს, ციურიხში „ქართული ღვინის სახლის“ (GeoHauss GmbH) და ევროპის წამყვანი მეღვინეობის ჟურნალ „ვინუმის“ (www.vinum.eu) ერთობლივი ორგანიზებით, შვეიცარიის დედაქალაქ ციურიხში ქართული ღვინის დეგუსტაცია-წარდგენა გაიმართა.
- 1-2 დეკემბერს, თბილისში, ქვევრის ღვინის საერთაშორისო კონკურსი უკვე მეშვიდედ გაიმართა.
- 3 დეკემბერს ბერლინში გამართული ბუნებრივი ღვინოების საერთაშორისო გამოფენაში „RAW Wine Berlin 2023”, ქვევრის ღვინის მწარმოებელი 15 მარანი მონაწილეობდა.
- 14 დეკემბერს, ჰოკაიდოს პროვინციის დედაქალქ საპოროში ქართული ღვინის დეგუსტაცია-სემინარი რესტორნებისა და ღვინის მაღაზიების მფლობელი სადისტრიბუციო კომპანიის „Washidu” წარმომადგენლებისთვის გაიმართა.
- 18 დეკემბერს, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქალაქ ნიუ-იორკში საფერავის და ქარვისფერი ღვინოების მასშტაბური დეგუსტაცია „Saperavi & Amber Wine Grand Tasting“ გაიმართა.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2023 წლის განმავლობაში ქართული ღვინო წარდგენილი იყო მსოფლიოს 15 ქვეყანაში. დაგეგმილ ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღეს 400-მდე ქართული ღვინის მწარმოებელმა კომპანიამ. გაიმართა 14 გამოფენა, 20 ფესტივალი და 100 დეგუსტაცია. ბიუჯეტის ფაქტიური შესრულება 13,261,187.00 ლარი.

| ამოცანა 1.3: ფერმერთა/მეწარმეთა ბაზარზე ინტეგრაცია | |
|---|---|
| აქტივობა ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.3.1: ქართული აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაციის მხრადაჭერა/ღონისძიებების გატარება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2023 – 31.12.2023 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |

| დაგეგმილი: | შესრულებული: |
|---|---|
| 2023 წელს, ქართული აგრო-სასურსათო პროდუქციის 11 გამოფენა-დეგუსტაციის ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება/ მიღების უზრუნველყოფა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და ქვეყნის შიგნით; მოეწყობა ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების 18 გამოფენა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და ქვეყნის შიგნით. | 2023 წელს, მოეწყო 14 გამოფენა და უზრუნველყოფილ იქნა 100 ქართული აგრო-სასურსათო პროდუქციის გამოფენა-დეგუსტაციის ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და ქვეყნის შიგნით. |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 14,000,000.00 ლარი | **ფაქტობრივი:** 13,261,187 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელებ ის პროცესი შეწყვეტილია | განხორციელ ების პროცესი დასრულებუ ლია |
| | სტატუსი | | | | | X |

## აქტივობა 1.3.2: ქართული ვაზის წარმოშობის პოპულარიზაციის უზრუნველყოფა

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო

აქტივობის მიზანი: მარნეულის რაიონში „გადაჭრილ გორაზე" ჩატარებული არქეოლოგიური კვლევები; განხორციელდება 20-40 ვაზის აბორიგენული ჯიშის და ველური ვაზის შესწავლა ამპელოგრაფიის და მოლეკულური გენეტიკის მეთოდებით; ლიტერატურული წყაროების მოძიება, შეკრება და 2 სამეცნიერო პუბლიკაციის მომზადება; შედეგების წარდგენა სამეცნიერო კონფერენციაზე.

**განხორციელებული ღონისძიებები**

განისაზღვრა ის პარტნიორი ინსტიტუტები და მეცნიერები, რომლებიც მიიღებენ მონაწილებას წლევანდელ კვლევებში. გაწერილი იქნა განხორციელების გეგმა.პენსილვანიის უნივერსიტეტის პროფესორ პატრიკ მაკგოვერნთან გაფორმდა ხელშეკრულება საქართველოს ველური და კულტურული ვაზის ნიმუშებში ორგანული მჟავების შესწავლის შესახებ. ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის თანამშრომლებთან მიღწეულია შეთანხმება იქ დაცული ვაზის წიპწების რადიოკარბონული მეთოდით დათარიღების შესახებ.გაგრძელდა არქეოლოგიური გათხრები შულავერის გორაზე, ნიმუშები გადაიგზავნა კვლევაზე სხვადასხვა პარტნიორ უნივერსიტეტში.პროგრამის ფარგლებში, 10-13 ოქტომბერს, თბილისში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია „ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევის სამეცნიერო

პროექტი" - შედეგები და სიახლეები" კონფერენცია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ღვინის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით და საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით გაიმართა და მას 11 ქვეყნის 22 მეცნიერი, მკვლევარი და ექსპერტი დაესწრო. კონფერენცია „ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევის სამეცნიერო პროექტის" არქეოლოგიის, მოლეკულური ბიოლოგიის, დენდროლოგიის, აგროკლიმატოლოგიის, მეღვინეობის და მევენახეობის მიმართულებებით განხორციელებული კვლევების შედეგების განხილვას მიეძღვნა. პროგრამის ფარგლებში განხორციელებული კვლევების ასეთი მასშტაბით წარდგენა პირველად განხორციელდა.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

განხორციელდა არქეოლოგიური გათხრები შულავერის გორაზე, ნიმუშები გადაიგზავნა კვლევაზე სხვადასხვა პარტნიორ უნივერსიტეტში. ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის თანამშრომლებთან მიღწეულია შეთანხმება იქ დაცული ვაზის წიპწების რადიოკარბონული მეთოდით დათარიღების შესახებ. თბილისში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია „ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევის სამეცნიერო პროექტი" - შედეგები და სიახლეები". ბიუჯეტის შესრულება 68 022.00 ლარი.

| ამოცანა 1.3: ფერმერთა/მეწარმეთა ბაზარზე ინტეგრაცია | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.3.2: ქართული ვაზის წარმოშობის პოპულარიზაციის უზრუნველყოფა |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2023 – 31.12.2023 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2023 წელს: განხორციელდება 20 ვაზის აბორიგენული ჯიშის და ველური ვაზის შესწავლა ამპელოგრაფიის და მოლეკულური გენეტიკის მეთოდებით | **შესრულებული:**<br>განხორციელდა არქეოლოგიური გათხრები შულავერის გორაზე, ნიმუშები გადაიგზავნა კვლევაზე სხვადასხვა პარტნიორ უნივერსიტეტში. ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის თანამშრომლებთან მიღწეულია შეთანხმება იქ დაცული ვაზის წიპწების რადიოკარბონული მეთოდით დათარიღების შესახებ.<br><br>თბილისში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია „ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევის სამეცნიერო პროექტი" - შედეგები და სიახლეები". |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 100,000 ლარი | **ფაქტობრივი:** 68,022 ლარი |

| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | რეიტინგი | | | | X | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელები ს პროცესი მიმდინარეობს | განხორციელები ს პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელ ების პროცესი დასრულებუ ლია |
| | სტატუსი | | X | | | |

## აქტივობა 1.3.3: ადგილწარმოშობის დასახელებების და გეოგრაფიული აღნიშვნების სისტემის განვითარება

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო

<u>აქტივობის მიზანი:</u> ქართული ღვინის ადგილწარმოშობის დასახელებები და ქართულ ღვინოსთან დაკავშირებული აღნიშვნები დაცულ იქნება სტრატეგიულ ბაზრებზე, ასევე უზრუნველყოფილი იქნება ახალი ადგილწარმოშობის დასახელებების გამოვლენისა და რეგისტრაციის ღონისძიებები. ქართული ღვინის 20 ადგილწარმოშობის დასახელება და ყურძნისეული წარმოშობის სპირტიანი სასმელის 1 გეოგრაფიული აღნიშვნა, ასევე ქართულ ღვინოსთან დაკავშირებულუ ყველა მნიშვნელოვანი.

**განხორციელებული ღონისძიებები**

სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო სახელზე - ნიცის კლასიფიკაციის კლასებში, დიდ ბრიტანეთში, სიტყვიერი ნაწილის ,,Cradle of Wine"-ს სასაქონლო ნიშნად რეგისტრაციისათვის კონტრაქტორი იურიდიული კომპანიის მიერ მოამზადა და წარდგენილ იქნა განაცხადი დიდი ბრიტანეთის საპატენტო უწყებაში.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო სახელზე - ნიცის კლასიფიკაციის კლასებში, დიდ ბრიტანეთში, სიტყვიერი ნაწილის ,,Cradle of Wine"-ს სასაქონლო ნიშნად რეგისტრაციისათვის კონტრაქტორი იურიდიული კომპანიის მიერ მოამზადა და წარდგენილ იქნა განაცხადი დიდი ბრიტანეთის საპატენტო უწყებაში. ბიუჯეტის შესრულება 12,586 ლარი

| ამოცანა 1.3: ფერმერთა/მეწარმეთა ბაზარზე ინტეგრაცია | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.3.3: ადგილწარმოშობის დასახელებების და გეოგრაფიული აღნიშვნების სისტემის განვითარება |

| | |
|---|---|
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2023 – 31.12.2023 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:** 2023 წელს, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში დაცული იქნება 20-მდე ქართული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოები; შემუშავდება 3 ახალი დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინის წარმოების სპეციფიკაციის ფორმა. | 2023 წელს, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში დაცული იქნა 1 ქართული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინო (სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო სახელზე - ნიცის კლასიფიკაციის კლასებში, დიდ ბრიტანეთში, სიტყვიერი ნაწილის ,,Cradle of Wine"- სასაქონლო ნიშნად რეგისტრაციისათვის კონტრაქტორი იურიდიული კომპანიის მიერ მოამზადა და წარდგენილ იქნა განაცხადი დიდი ბრიტანეთის საპატენტო უწყებაში).<br>2023 წელს, შემუშავდა 1 ახალი დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინის წარმოების სპეციფიკაციის ფორმა. |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 100,000.00 ლარი | **ფაქტობრივი:** 12,586.00 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | | X | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

## აქტივობა 1.3.4. სურსათის წარმოების საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობა

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო

<u>აქტივობის მიზანი:</u> სააგენტოს მიერ განხორციელებული პროგრამების/პროექტების ფარგლებში, დაფინანსებული/დასაფინანსებელი ბენეფიციარების მიერ წარმოებული/საწარმოებელი პროდუქციის ხარისხის, უვნებლობის, მიკვლევადობის და კონკურენტუნარიანობის ზრდის ხელშეწყობა, შესაბამისი აქტივობების თანადაფინანსების გზით. რაც გამოიხატება:

1. სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სისტემების და სტანდარტების დანერგვაში;
2. მარკეტინგული აქტივობების ოპტიმიზაციის მიზნით, ბრენდინგსა და შეფუთვის დიზაინში დახმარებაში;

3. სასოფლო - სამეურნეო კოოპერატივებისთვის პროდუქციის საბოლოო სასაქონლო სახის მისაცემად საჭირო აღჭურვილობის თანადაფინანსებაში.

**განხორციელებული ღონისძიებები**

2023 წელს, პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები და მიღებულ იქნა შემდეგი შედეგები:

1. წლის განმავლობაში, პროგრამის ცნობადობის კიდევ უფრო ამაღლების და პროგრამის პირობების და პროცედურების შემდგომი დახვეწა/ოპტიმიზაციის მიზნით, განხორციელდა კომუნიკაციები/კონსულტაციები, როგორც პროგრამის მოქმედ, ასევე პოტენციურ ბენეფიციარებთან.

ამის გარდა, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

1. სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტები - გაფორმდა 49 ხელშეკრულება;
2. ბრენდირება - გაფორმდა 26 ხელშეკრულება;
3. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის პროდუქციის საბოლოო სასაქონლო სახის მისაცემად საჭირო აღჭურვილობის თანადაფინანსება - გაფორმდა 5 ხელშეკრულება;
4. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია - გაფორმდა 8 ხელშეკრულება;
5. ტექნიკური დახმარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დანერგილი სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტების რაოდენობა - დაინერგა 32 სტანდარტი;
6. ტექნიკური დახმარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში პროდუქციის/კომპანიის ბრენდირების რაოდენობა - განხორციელდა 29 ბრენდირება;
7. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის პროდუქციის საბოლოო სასაქონლო სახის მისაცემად საჭირო აღჭურვილობის თანადაფინანსება - 7 კოოპერატივისთვის განხორციელდა;
8. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია - 10 ბენეფიციარმა განახორციელა;
9. დამტკიცებული განაცხადების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა - 1,657,868.65 ლარი;
10. დამტკიცებული განაცხადების სააგენტოს ჯამურმა თანადაფინანსებამ შეადგინა - 839,665.00 ლარი.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2023 წელს, აქტივობის ფარგლებში დაგეგმილი იყო, რომ 60 ბენეფიციარი მოახდენს სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტების (ISO-22000, HACCP, GLOBAL G.A.P, BIO, BRC, FSSC-22000) დანერგვას. საანგარიშო პერიოდში 32 ბენეფიციარმა მოახდინა სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სისტემების, სტანდარტების დანერგვა და სერტიფიცირება (ISO-22000, HACCP, GLOBAL G.A.P, BRC, FSSC-22000, FSSC v.5.1.), ხოლო 29 ბენეფიციარმა მოახდინა პროდუქციის/კომპანიის სრული ბრენდირება, 10 ბენეფიციარმა მოახდინა სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია და 7 კოოპერატივმა მოახდინა სასოფლო - სამეურნეო კოოპერატივებისთვის პროდუქციის საბოლოო სასაქონლო სახის მისაცემად საჭირო აღჭურვა.

***შენიშვნა:*** *ინდიკატორის ფაქტიური შესრულება დამოკიდებულია პოტენციური ბენეფიციარების აქტივობაზე.*

2023 წელს, აქტივობის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებებისთვის, საპროგნოზო ბიუჯეტი განისაზღვრა 1,000,000.00 ლარით, ხოლო ბიუჯეტის ფაქტიურმა ათვისებამ შეადგინა 897,715.57 ლარი.

***შენიშვნა:*** *ინდიკატორის ფაქტიური შესრულება დამოკიდებულია პოტენციური ბენეფიციარების აქტივობაზე.*

<table>
<tr><th colspan="2">ამოცანა 1.3 ფერმერთა/მეწარმეთა ბაზარზე ინტეგრაცია</th></tr>
<tr><td>პროგრამის ნომერი და სახელწოდება:</td><td>აქტივობა 1.3.4: სურსათის წარმოების საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობა</td></tr>
<tr><td>პასუხისმგებელი უწყება:</td><td>საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო</td></tr>
<tr><td>საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი:</td><td>01.01.2023 - 31.12.2023</td></tr>
<tr><td colspan="2">შესრულების ინდიკატორები</td></tr>
<tr><td>დაგეგმილი:<br>2023 წელს, 60 ბენეფიციარი მოახდენს სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტების (ISO-22000 / HACCP / GLOBAL G.A.P / BIO / BRC / IFS / FSSC-22000) დანერგვას.</td><td>შესრულებული:<br>2023 წელს, 32 ბენეფიციარმა მოახდინა სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სისტემების, სტანდარტების დანერგვა და სერტიფიცირება (ISO-22000, HACCP, GLOBAL G.A.P, BRC, FSSC-22000, FSSC v.5.1.), ხოლო 29 ბენეფიციარმა მოახდინა პროდუქციის/კომპანიის სრული ბრენდირება, 10 ბენეფიციარმა მოახდინა სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია და 7 კოოპერატივმა მოახდინა სასოფლო - სამეურნეო კოოპერატივებისთვის პროდუქციის საბოლოო სასაქონლო სახის მისაცემად საჭირო აღჭურვა.</td></tr>
<tr><td colspan="2">ბიუჯეტი</td></tr>
<tr><td>საპროგნოზო: <u>1,000,000.00 ლარი</u></td><td>ფაქტობრივი: <u>897,715.57 ლარი</u></td></tr>
</table>

<table>
<tr><td rowspan="4">შესრულების შეფასება</td><td></td><td>სრულად შესრულდა</td><td>უმეტესწილად შესრულდა</td><td>ნაწილობრივ შესრულდა</td><td>არ შესრულდა</td><td></td></tr>
<tr><td>რეიტინგი</td><td></td><td>X</td><td></td><td></td><td></td></tr>
<tr><td></td><td>განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა</td><td>განხორციელების პროცესი მიმდინარეობს</td><td>განხორციელების პროცესი შეჩერებულია</td><td>განხორციელების პროცესი შეწყვეტილია</td><td>განხორციელების პროცესი დასრულებულია</td></tr>
<tr><td>სტატუსი</td><td></td><td>X</td><td></td><td></td><td></td></tr>
</table>

## აქტივობა: 1.3.5. ვენახების კადასტრის აგება

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო /სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო

<u>აქტივობის მიზანი:</u> იმერეთის, გურიის, სამეგრელოს და აჭარის რეგიონების ადმინისტარციული საზღვრების კადასტრის შედგენა

**განხორციელებული ღონისძიებები**

საქართველოში ვენახების კადასტრის ეროვნული პროგრამა დასავლეთ საქართველოში (იმერეთი, გურია, სამეგრელო და აჭარა) განხორციელდა, რითაც პროგრამა ქვეყნის მევენახეობის ყველა რეგიონი მოიცვა. საქართველოს მევენახეობის ყველა რეგიონში აღწერილია 48 700-მდე ჰექტარი ფართობი. ვენახების კადასტრი თითოეული ვენახის ნაკვეთის ინდენტიფიკაციით, მევენახეების და ვენახების შესახებ დეტალური ინფორმაციის აღწერით იქმნება. რეგისტრირებულ ვენახზე ინფორმაცია მოიცავს ვაზის ჯიშებს, დარგვის თარიღს, ვენახის მდგომარეობას, მდებარეობას, ფართობს და სხვა მონაცემებს. ვენახების კადასტრი აქვს მეღვინეობის განვითარებული ინდუსტრიის მქონე ევროკავშირის წევრ ყველა ქვეყანას. 2023 წლის რთველის პერიოდში, მევენახეების მიერ ყურძენი მარნებში ჩაბარდა საკადასტრო მონაცემთა ბაზიდან (ABACO) გაცემული ამონაწერების საფუძველზე. უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობდა საკადასტრო ინფორმაციის განახლება კახეთისა, ქვემო ქართლის, შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, მესხეთის და რაჭა-ლეჩხუმის მევენახეობის ზონებში. ღვინის ეროვნული სააგენტოს, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების GIZ, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების ორგანიზებით მევენახეობა-მეღვინეობის დარგის რეგულაციის შესახებ ტრეინინგების ფარგლები კადასტრის შესახებ პრეზენტაციები წარდეგენილი იქნა თბილისსა და თელავის, ყვარლის, სიღნაღის, საგარეჯოს და ბოლნისის მუნიციპალიტეტებში. ვენახების კადასტრის შედეგების წარმოჩინებისათვის მომზადებული და გამოიცა (გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების GIZ ფინანსური მხარდაჭერით) 2022 წლის ანგარიში ქართულ და ინგლისურ ენებზე - სახელწოდებით „საქართველოს ვენახების კადასტრი, 2021 წლის ანგარიში“ (53 გვ). დაწყებულია მონაცემთა შეკრება 2023 წლის ანალოგიური ანგარიშის შესადგენად. წლის განმავლობაში სისტემატიურად მიმდინარეობდა ვენახების კადასტრის მონაცემთა ბაზის სრულყოფა და განხილვები კომპანია „ABACO“-სთან ბაზის ფუნქციონირების გაუმჯობესების მიმართულებით.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ვენახების კადასტრის პროგრამა მიმდინარე წელს დასავლეთ საქართველოს მევენახეობის ოთხ რეგიონში განხორციელდა - იმერეთი, გურია, სამეგრელო და აჭარა. უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობდა საკადასტრო ინფორმაციის განახლება კახეთისა, ქვემო ქართლის, შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, მესხეთის და რაჭა-ლეჩხუმის მევენახეობის ზონებში. ბიუჯეტის შესრულება 654900.00 ლარი.

| ამოცანა 1.3: ფერმერთა/მეწარმეთა ბაზარზე ინტეგრაცია | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.3.5: ვენახების კადასტრის აგება |

| | |
|---|---|
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2023 – 31.12.2023 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:** 2023 წელს, შემუშავდება იმერეთის, გურიის და სამეგრელოს რეგიონების ადმინისტრაციული საზღვრების მევენახეობის კადასტრი. | 2023 წელს, შემუშავდა ვენახების კადასტრის პროგრამა დასავლეთ საქართველოს მევენახეობის 4 რეგიონში განხორციელდა - იმერეთი, გურია, სამეგრელო და აჭარა. უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობდა საკადასტრო ინფორმაციის განახლება კახეთისა, ქვემო ქართლის, შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, მესხეთის და რაჭა-ლეჩხუმის მევენახეობის ზონებში. |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 650,000.00 ლარი | **ფაქტობრივი:** 654,881.00 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

## ამოცანა 1.4: სოფლად ახალგაზრდა ფერმერებისა და მეწარმეების სტიმულირება

1.4 ამოცანის შესრულების მიზნით, 2023 წელს განხორციელდა 1 აქტივობა, კერძოდ საზოგადოებრივ ცენტრებში (28 რაიონული ცენტრი) სოფლის ახალგაზრდებისთვის ტრენინგების ჩატარება სამართლებრივ და მოქალაქეობრივ საკითხებზე.

აქტივობა განხორციელდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ.

**ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული აქტივობების შედეგად, 2023 წლის განმავლობაში:**

⇒ 2023 წელს, 16 რაიონულ საზოგადოებრივ ცენტრში ჩატარდა ტრეინინგი სამართლებრივ ან/და მოქალაქეობრივ საკითხებზე, გადამზადდა 250-მდე დაინტერესებული პირი.

### აქტივობა 1.4.1. საზოგადოებრივ ცენტრებში (28 რაიონული ცენტრი) სოფლის ახალგაზრდებისთვის ტრენინგების ჩატარება სამართლებრივ და მოქალაქეობრივ საკითხებზე

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

აქტივობის მიზანი: სოფლად ახალგაზრდა ფერმერებისა და მეწარმეების სტიმულირება

**განხორციელებული ღონისძიებები:**
საანგარიშო პერიოდში სამოქმედო გეგმით ტრენინგები გათვალისიწინებული იყო 14 რაიონულ ცენტრში. 2023 წელს ტრენინგებმა 16 ფილიალი მოიცვა და მას 405 ადგილობრივი მკვიდრი დაესწრო. შეხვედრები ჩატარდა კასპის, ადიგენის, დმანისის, გომის, თეთრიწყაროს, კაჭრეთის, დუშეთის, ახალსოფლის, ტყიბულის, საჩხერის, ფასანაურის, მანგლისის, ასპინძის, ხობის, წნორის და აბაშის ფილიალებში.

405 დამსწრეთაგან 183 ქალბატონი და 222 მამაკაცი გახლდათ.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**
2023 წელს, აქტივობის ფარგლებში, დაგეგმილი იყო 14 რაიონულ ცენტრში 250-მდე დაინტერესებული პირის დატრეინინგება. საანგარიშო პერიოდში, 16 რაიონულ საზოგადოებრივ ცენტრში ჩატარდა ტრეინინგი სამართლებრივ ან/და მოქალაქეობრივ საკითხებზე. გადამზადდა 405 დაინტერესებული პირი. ტრენინგი ჩაატარეს იუსტიციის სახლში დასაქმებულმა ინსტრუქტორებმა.

აქტივობა განხორციელდა ადმინისტრაციული ხარჯის ფარგლებში.

| ამოცანა 1.4: სოფლად ახალგაზრდა ფერმერებისა და მეწარმეების სტიმულირება | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.4.1. საზოგადოებრივ ცენტრებში (28 რაიონული ცენტრი) სოფლის ახალგაზრდებისთვის ტრენინგების ჩატარება სამართლებრივ და მოქალაქეობრივ საკითხებზე |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს იუსტიციის სამინისტრო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2023 – 31.12.2023 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2023 წელს, 14 რაიონულ იუსტიციის სახლში ჩატარდება ტრეინინგი სამართლებრივ ან/და მოქალაქეობრივ საკითხებზე(დატრეინინგდება 250-მდე ახალგაზრდა მეწარმე/ფერმერი) | **შესრულებული:**<br>2023 წელს, 16 რაიონულ საზოგადოებრივ ცენტრში ჩატარდა ტრეინინგი სამართლებრივ ან/და მოქალაქეობრივ საკითხებზე. გადამზადდა 405 დაინტერესებული პირი. |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 0 ლარი | **ფაქტობრივი:** 0 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელე ბის პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელე ბის პროცესი დასრულებუ ლია |

| | სტატუსი | | | | | X |
|---|---|---|---|---|---|---|

## ამოცანა 1.5: ინფრასტრუქტურასა და სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა

1.5 ამოცანის შესრულების მიზნით, 2023 წელს 9 აქტივობა განხორციელდა, მათ შორის: ფერმათა რეესტრის განვითარების უზრუნველყოფა, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება, პროფესიულ განათლებაზე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, სოფლად საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, სოფლად სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობა, სოფლად სპორტული და კულტურის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია, სოფლად წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების რეაბილიტაცია, საჯარო სერვისებზე ხელმისაწვდომობა - საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ინოვაციური ჰაბის/ცენტრის ქსელების გაფართოება რეგიონებში. ამოცანის ყველა აქტივობა განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მის სტრუქტურაში შემავალი სააგენტოების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ.

**ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული აქტივობების შედეგად, 2023 წლის განმავლობაში:**

⇒ ფერმათა/ფერმერთა რეგისტრაციის პროგრამაში დარეგისტრირდა 17,897 ფერმერი/ფერმერული მეურნეობა;

⇒ 2023 წელს, 2023 წელს, დასრულდა 2 და მიმდინარეობდა 3 საჯარო სკოლის მშენებლობა; 50-ზე მეტი სკოლის მშენებლობის დაწყებასთან დაკავშირებით, დაიწყო სსიპ-ქალაქ დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის მშენებლობის პროცესი. დასრულდა 6 საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია. სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები წარმოებს 50-მდე საჯარო სკოლაში.

⇒ 2023 წელს, ორ დამატებით მუნიციპალიტეტში გაგრძელდა მუშაობა (ბოლნისი, ბორჯომი) პროფესიული განათლების მიღების მიმართულებით.

⇒ 2023 წელს, 544 კმ ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო საგზაო მონაკვეთებზე დაიგო ან რეაბილიტირებულ იქნა გზის საფარი;

⇒ აშენდა/რეაბილიტირებულ იქნა 9 საბავშვო ბაღი;

⇒ აშენდა/რეაბილიტირებულ იქნა 15 სპორტული და კულტურის ობიექტი

⇒ 2023 წელს, აშენდა/რეაბილიტირებული იქნა 234.9 კმ წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემები და 11 სათავე და გამწმენდი ნაგებობა;

⇒ 2023 წელს, სენაკის ტექნოპარკი სრულად აღიჭურვა

**1.5 ამოცანის შესრულების მიზნით 2023 წელს, სახელმწიფოს მიერ, ამოცანის განხორციელებისთვის გახარჯულია 422,102,712.07 ლარი.**

### აქტივობა 1.5.1: ფერმათა რეესტრის განვითარების უზრუნველყოფა

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო

აქტივობის მიზანი: აღრიცხულ იქნეს საქართველოს მასშტაბით სასოფლო - სამეურნეო საქმიანობით დაკავებული ყველა პირი (გარდა იმ პირებისა, რომლებიც სასოფლო - სამეურნეო საქმიანობას ეწევიან მხოლოდ საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირ(ებ)ის დაკვეთით ან/და გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე), რაც შესაძლებლობას მისცემს სახელმწიფოს ფლობდეს, მათ შორის სტატისტიკურ ინფორმაციას, რომელიც გამოყენებული იქნება სამიზნე ჯგუფების სწორი შერჩევისათვის და მათთვის სხვადასხვა მასტიმულირებელი პროექტების/პროგრამების საჭიროებისამებრ დაგეგმვისა და განხორციელებისთვის.

**განხორციელებული ღონისძიებები**

2023 წელს მიმდინარეობდა ახალი ფერმერების/ფერმერული მეურნეობების დარეგისტრირება.

2023 წელს განხორციელდა ქმედებები, რომლებიც მიმართული იყო ფერმათა/ფერმერთა რეგისტრაციისათვის საჭირო ელექტრონული სისტემის დახვეწისათვის (მათ შორის, 2019 წელს დანერგილი, კომპანია „აბაკოს“ „პროცესების და კონტროლის მართვის“ ელექტრონული მოდულის), რათა ეს სისტემა უფრო დინამიური და ინტერაქტიური გამხდარიყო. ასევე, მიმდინარეობდა ტექნიკური სამუშაოები, მონაცემებზე ონლაინ წვდომის (ვებ-სერვისის) აწყობის თაობაზე, სახელწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და სურსათის ეროვნულ სააგენტოს მონაცემების ინტეგრაციასთან დაკავშირებით. ფერმერთა რეესტრში განხორციელდა, არსებული ველების ანალიზი და რედაქტირება/ცვლიბებები.

აქტივობის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, 2023 წელს „ფერმათა/ფერმერთა რეგისტრაციის პროექტის“ ფარგლებში დარეგისტრირდა 17,897 ფერმერი/ფერმერული მეურნეობა. სულ პროექტის დაწყებიდან პროექტის ფარგლებში დარეგისტრირებული ფერმერების/ფერმერული მეურნეობების რაოდენობამ, მონაცემტა ბაზის მიხედვით, შეადგინა 191,230 ერთეული.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2023 წელს, დაგეგმილი იყო 12,000 ფერმერის/ფერმერული მეურნეობის დარეგისტრირება. საანგარიშო პერიოდში, 17,897 ფერმერი/ფერმერული მეურნეობა დარეგისტრირდა.

2023 წელს, აქტივობის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებებისთვის, საპროგნოზო ბიუჯეტი განისაზღვრა 300,000.00 ლარით, ხოლო ბიუჯეტის ფაქტიურმა ათვისებამ შეადგინა 298,424.13 ლარი.

| ამოცანა 1.5: ინფრასტრუქტურასა და სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა | |
|---|---|
| პროგრამის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.5.1: ფერმათა რეესტრის განვითარების უზრუნველყოფა |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი: | 01.01.2023 - 31.12.2023 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2023 წელს, ფერმათა/ფერმერთა რეგისტრაციის პროგრამაში დარეგისტრირდება 12,000 ფერმერი/ფერმერული მეურნეობა. | **შესრულებული:**<br>2023 წელს, ფერმათა/ფერმერთა რეგისტრაციის პროგრამაში დარეგისტრირდა 17,897 ფერმერი/ფერმერული მეურნეობა. |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 300,000.00 ლარი | **ფაქტობრივი:** 298,424.13 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

## აქტივობა 1.5.2: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო/სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

აქტივობის მიზანი: ინფრასტრუქტურასა და სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.

**განხორციელებული ღონისძიებები**

**1.5.2.3 – 50-ზე მეტი საჯარო სკოლის მშენებლობის დაწყება:**

50-ზე მეტი სკოლის მშენებლობის დაწყებასთან დაკავშირებით, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ, დაიწყო სსიპ-ქალაქ დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის მშენებლობის პროცესი, დაწყების ეტაპზეა დანარჩენი სკოლების სამშენებლო სამუშაოები. მიმდინარეობს საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებისა და შეთანხმების პროცესი.

**1.5.2.4 - დაგეგმილია 4-მდე საჯარო სკოლის მშენებლობის დასრულება:**

დასრულდა 2 სკოლის მშენებლობა:

- სსიპ - ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისმეურნეობის საჯარო სკოლა;
- სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ აბასთუმნის საჯარო სკოლა.

ბიუჯეტმა შეადგინა 2,149,722.38 ლარი.

სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობდა 3 საჯარო სკოლაში:

- სსიპ - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ოზაანის საჯარო სკოლა:
- სსიპ - სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაბაკევის საჯარო სკოლა;
- სსიპ - ქალაქ გორის N11 საჯარო სკოლა.

ბიუჯეტმა 2023 წელს შეადგინა 2,626,968.8 ლარი.

### 1.5.2.5 - 5-მდე საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაციის დასრულება

დასრულდა 6 სკოლის სრული რეაბილიტაცია:

- სსიპ - გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის №1 საჯარო სკოლა;
- სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი სენაკის საჯარო სკოლა;
- სსიპ - გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის № 2 საჯარო სკოლა;
- სსიპ -სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოსირის საჯარო სკოლა;
- სსიპ -თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ კურდღელაურის საჯარო სკოლა (შენობა N2);
- სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ აფენის № 2 საჯარო სკოლა).

ბიუჯეტმა შეადგინა 5,140,690.41 ლარი;

### 1.5.2.6 - 90-ზე მეტი სკოლის სრული რეაბილიტაციის დაწყება.

90-ზე მეტი სკოლის სრული რეაბილიტაციის დაწყებასთან დაკავშირებით, სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები წარმოებს 50-მდე საჯარო სკოლაში და წინამოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს დანარჩენი სკოლებში რეაბილიტაციის დაწყებისთვის; საანგარიშო წელს ზემოაღნიშნული სტრატეგიის ფარგლებში, საჯარო სკოლების რეაბილიტაციისთვის გაიცა 131,324,798.35 ლარი.

### 1.5.2.7 - განხორციელდება 500 საჯარო სკოლის ინვენტარით განახლება/აღჭურვა

2023 წელს საგანმანთლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ საკლასო დაფებით აღჭურვა 408 საჯარო სკოლა, ბიუჯეტი შეადგენს 884,382.00 ლარს;

საკლასო მერხებითა და სკამებით აღჭურვა 573 საჯარო სკოლა, ბიუჯეტი 14,886,288.00 ლარი;

საოფისე ავეჯით აღჭურვა 45 საჯარო სკოლა, ბიუჯეტი 513,064.00 ლარი.

### ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

2023 წელს შემდეგი ღონისძიებებისთვის:

- დაგეგმილია 4-მდე საჯარო სკოლის მშენებლობის დასრულება
- 50-ზე მეტი საჯარო სკოლის მშენებლობის დაწყება
- 5-მდე საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაციის დასრულება
- 90-ზე მეტი სკოლის სრული რეაბილიტაციის დაწყება.
- განხორციელდება 500 საჯარო სკოლის ინვენტარით განახლება/აღჭურვა

გათვალისწინებული იყო 179,085,000 ლარი, ხოლო გახარჯული თანხა შეადგენს 157,525,913.94 ლარს.

| 1.5 ინფრასტრუქტურასა და სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | 1.5.2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო/სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2023 – 31.12.2023 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2023 წელს, დაგეგმილია 4-მდე საჯარო სკოლის მშენებლობის დასრულება და 50-ზე მეტი საჯარო სკოლის მშენებლობის დაწყება, ასევე 5-მდე საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაციის დასრულება და 90-ზე მეტი სკოლის სრული რეაბილიტაციის დაწყება. განხორციელდება 500 საჯარო სკოლის ინვენტარით განახლება/აღჭურვა. | **შესრულებული:**<br>2023 წელს, დასრულდა 2 და მიმდინარეობდა 3 საჯარო სკოლის მშენებლობა; 50-ზე მეტი სკოლის მშენებლობის დაწყებასთან დაკავშირებით, დაიწყო სსიპ-ქალაქ დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის მშენებლობის პროცესი, დაწყების ეტაპზეა დანარჩენი სკოლების სამშენებლო სამუშაოები. მიმდინარეობს საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებისა და შეთანხმების პროცესი და დასრულდა 6 საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია.<br>სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები წარმოებს 50-მდე საჯარო სკოლაში და წინამოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს დანარჩენ სკოლებში რეაბილიტაციის დაწყებისთვის. |
| **ბიუჯეტი** | |
| საპროგნოზო: 179,085,000.00 ლარი | ფაქტობრივი: 157,525,913.94 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | X | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

### აქტივობა 1.5.3: პროფესიულ განათლებაზე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება

**პასუხისმგებელი უწყება:** საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო/პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი

აქტივობის მიზანი: აქტივობის მიზანს წარმოადგენს ქვეყნის მასშტაბით პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების გეოგრაფიული დაფარვის გაუმჯობესება, რათა პროფესიული განათლება ხელმისაწვდომი გახდეს ქვეყნის ყველა მუნიციპალიტეტში.

**განხორციელებული ღონისძიებები**

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგიის 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმის 1.5 ამოცანის 1.5.3 აქტივობის შესაბამისად 2023 წელს განსაზღვრული იყო დამატებით ორ მუნიციპალიტეტში პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობის შექმნა. საანგარიშო პერიოდში ორ დამატებით მუნიციპალიტეტში (ბოლნისი, ბორჯომი) გაგრძელდა მუშაობა პროფესიული განათლების განვითარების მიმართულებით. ამასთან, ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი“ ლანჩხუთის სასწავლო ბაზაზე პირველად გამოცხადდა სტუდენტთა მიღება, ხოლო ხაშურისა და წყალტუბოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებმა 2023 წელს სამინისტროს მხარდაჭერით, აქტიურად გააგრძელეს მუშაობა ავტორიზაციის მოპოვების მიზნით.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგიის 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმის შესაბამისად, 2023 წელს დაგეგმილი იყო 4,365,400 ლარის ოდენობით საპროგნოზო ბიუჯეტი. საანგარიშო პერიოდში აღნიშნული მიმართულებით დაფინანსების ოდენობამ შეადგინა 3,506,094 ლარი.

| 1.5 ინფრასტრუქტურასა და სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.5.3: პროფესიულ განათლებაზე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო/პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2023 – 31.12.2023 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2023 წელს, სულ მცირე ორ დამატებით მუნიციპალიტეტში (ბოლნისი, ბორჯომი) შეიქმნება პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობა (ინფრასტრუქტურა). | **შესრულებული:**<br>საანგარიშო პერიოდში ორ დამატებით მუნიციპალიტეტში გაგრძელდა მუშაობა (ბოლნისი, ბორჯომი) პროფესიული განათლების მიღების მიმართულებით. |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 4,365,400.00 ლარი | **ფაქტობრივი:** 3,506,094 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | | | X (შენიშვნა: განხორციელების პროცესი მიმდინარეობს, რადგან გრძელდება ინფრასტრუქტურული სამუშაოები) | | | |

## აქტივობა 1.5.4: სოფლად საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

<u>აქტივობის მიზანი:</u> ადგილობრივ და სასოფლო დონეზე მოძველებული საგზაო ინფრასტრუქტურის შეკეთება-რეაბილიტაცია ან/და ახალი საგზაო ინფრასტრუქტურის შექმნა

**განხორციელებული ღონისძიებები**

თანხების გამოყოფა ხორციელდება საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, რომელიც ასახულია სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონში (5507) და ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების შესახებ 2023-2026 წლების სამთავრობო დოკუმენტში. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, დადგენილი წესით კოორდინაციას უწევს მუნიციპალიტეტების მიერ დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას.

საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული სამუშაოები ხორციელდება საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში და შესაბამისად, ინფრასტრუქტურული პროექტების ტიპის შერჩევაზე პასუხისმგებელი არიან უშუალოდ მუნიციპალიტეტები. 2023 წელს, მსგავსად 2022 წლისა, მუნიციპალიტეტების მიერ, წინა წლებთან შედარებით წარმოდგენილი იყო უფრო მეტი საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული პროექტი, რამაც, გამოიწვია დაგეგმილი ბიუჯეტისა და ინდიკატორების ორმაგი და მეტი გადაჭარბებით შესრულება.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2023 წელს, აქტივობის ფარგლებში, დაგეგმილი იყო 250 კმ ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო საგზაო მონაკვეთებზე გზის საფარის დაგება ან რეაბილიტაცია. საანგარიშო პერიოდში, დაიგო ან რეაბილიტირებულ იქნა 544 კმ გზის საფარი.

2023 წელს, აქტივობის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებებისთვის, საპროგნოზო ბიუჯეტი განისაზღვრა 75,000,000 ლარით, ხოლო ბიუჯეტის ფაქტიურმა ათვისებამ შეადგინა 183,780,000 ლარი.

| ამოცანა 1.5: ინფრასტრუქტურასა და სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.5.4 სოფლად საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2023 – 31.12.2023 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2023 წელს, 250 კმ. ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო საგზაო მონაკვეთებზე დაიგება/რეაბილიტირებულ იქნება გზის საფარი. | **შესრულებული:**<br>2023 წელს, 544 კმ ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო საგზაო მონაკვეთებზე დაიგო ან რეაბილიტირებულ იქნა გზის საფარი |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 75,000,000.00 ლარი | **ფაქტობრივი:** 183,780,000.00 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

### აქტივობა 1.5.5: სოფლად სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობა

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

აქტივობის მიზანი: ადგილობრივ და სასოფლო დონეზე სკოლამდელი განათლების ხელშეწყობის მიზნით საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცია და

სწავლისათვის შესაბამისი სტანდარტის პირობების შექმნა, როგორც ბავშვებისთვის, ასევე პედაგოგებისთვის.

**განხორციელებული ღონისძიებები**

თანხების გამოყოფა ხორციელდება საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, რომელიც ასახულია სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონში (5507) და "ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების შესახებ 2023-2026 წლების სამთავრობო დოკუმენტში. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, დადგენილი წესით კოორდინაციას უწევს მუნიციპალიტეტების მიერ დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების პროცესებს.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2023 წელს, აქტივობის ფარგლებში, დაგეგმილი იყო 8 საბავშვო ბაღის აშენება/რეაბილიტირება. საანგარიშო პერიოდში, აშენდა/რეაბილიტირებულ იქნა 9 საბავშვო ბაღი.

2023 წელს, აქტივობის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებებისთვის, საპროგნოზო ბიუჯეტი განისაზღვრა 2,500,000 ლარით, ხოლო ბიუჯეტის ფაქტიურმა ათვისებამ შეადგინა 2,430,000 ლარი.

| ამოცანა 1.5: ინფრასტრუქტურასა და სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.5.5. სოფლად სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობა |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2023 – 31.12.2023 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2023 წელს აშენდება/რეაბილიტირებული იქნება 8 საბავშვო ბაღი. | **შესრულებული:**<br>2023 წელს აშენდა/რეაბილიტირებულ იქნა 9 საბავშვო ბაღი |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 2,500,000.00 ლარი | **ფაქტობრივი:** 2,430,000.00 ლარი |

| | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | რეიტინგი | X | | | | |

| შესრულე ბის შეფასება | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
|---|---|---|---|---|---|---|
| | სტატუსი | | X | | | |

## აქტივობა 1.5.6: სოფლად სპორტული და კულტურის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

აქტივობის მიზანი: სპორტული და კულტურის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია ადგილობრივ და სოფლის დონეზე, რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობაში და განსაკუთრებით ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას

**განხორციელებული ღონისძიებები**

თანხების გამოყოფა ხორციელდება საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, რომელიც ასახულია სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონში (5507) და "ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების შესახებ 2023-2026 წლების სამთავრობო დოკუმენტში. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, დადგენილი წესით კოორდინაციას უწევს მუნიციპალიტეტების მიერ დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების პროცესებს.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2023 წელს, აქტივობის ფარგლებში დაგეგმილი იყო 8 სპორტული და კულტურის ობიექტის აშენება/რეაბილიტირება. საანგარიშო პერიოდში აშენდა/რეაბილიტირებულ იქნა 15 სპორტული და კულტურის ობიექტი.

2023 წელს, აქტივობის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებებისთვის, საპროგნოზო ბიუჯეტი განისაზღვრა 2,500,000 ლარით, ხოლო ბიუჯეტის ფაქტიურმა ათვისებამ შეადგინა 3,240,000 ლარი.

| ამოცანა 1.5: ინფრასტრუქტურასა და სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.5.6. სოფლად სპორტული და კულტურის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო |

<table>
<tr><td>საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი</td><td>01.01.2023 – 31.12.2023</td></tr>
<tr><td colspan="2">შესრულების ინდიკატორები</td></tr>
<tr><td>დაგეგმილი:<br>2023 წელს, აშენდება/რეაბილიტირებულ იქნება 8 სპორტული და კულტურის ობიექტი</td><td>შესრულებული:<br>2023 წელს აშენდა/რეაბილიტირებულ იქნა 15 სპორტული და კულტურის ობიექტი</td></tr>
<tr><td colspan="2">ბიუჯეტი</td></tr>
<tr><td>საპროგნოზო: 2,500,000.00 ლარი</td><td>ფაქტობრივი: 3,240,000.00 ლარი</td></tr>
</table>

<table>
<tr><td rowspan="4">შესრულების შეფასება</td><td></td><td>სრულად შესრულდა</td><td>უმეტესწილად შესრულდა</td><td>ნაწილობრივ შესრულდა</td><td>არ შესრულდა</td><td></td></tr>
<tr><td>რეიტინგი</td><td>X</td><td></td><td></td><td></td><td></td></tr>
<tr><td></td><td>განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა</td><td>განხორციელების პროცესი მიმდინარეობს</td><td>განხორციელების პროცესი შეჩერებულია</td><td>განხორციელების პროცესი შეწყვეტილია</td><td>განხორციელების პროცესი დასრულებულია</td></tr>
<tr><td>სტატუსი</td><td></td><td>X</td><td></td><td></td><td></td></tr>
</table>

### აქტივობა 1.5.7: სოფლად წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემის რეაბილიტაცია

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო / საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია

აქტივობის მიზანი: ადგილობრივი მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფა, წყალმომარაგების ქსელებისა და სათავე ნაგებობების (წყლის რეზერვუარები, ჭაბურღილები, წყლის შემკრები ნაგებობები) მშენებლობა რეაბილიტაციის მეშვეობით, მათ შორის წყალარინების სისტემების (საკანალიზაციო სისტემა) მოწესრიგება და გარემოზე მავნე ზემოქმედების შესამცირებლად საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი წყალარინების გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა.

**განხორციელებული ღონისძიებები**

თანხების ძირითადი ნაწილის გამოყოფა ხორციელდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან (2504), ხოლო პროექტების განხორციელებაზე პასუხისმგებელია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს "შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია". ასევე, პროექტების ნაწილი ხორციელდება საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, რომელიც ასახულია სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონში (5507) და

"ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების შესახებ 2023-2026 წლების სამთავრობო დოკუმენტში. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, დადგენილი წესით ზედამხედველობას უწევს "შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" საქმიანობას და ასევე, ახორციელებს მუნიციპალიტეტების მიერ დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების პროცესების კოორდინაციას.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2023 წელს, აქტივობის ფარგლებში, დაგეგმილი იყო 100 კმ წყალმომარაგების სისტემის და 4 შესაბამისი დამხმარე ნაგებობის (ჭაბურღილი, რეზერვუარი, გამწმენდი ნაგებობა) აშენება/რეაბილიტირება. საანგარიშო პერიოდში აშენდა/რეაბილიტირებულ იქნა 234.9 კმ წყალმომარაგების და საკანალიზაციო სისტემა და 11 დამხმარე ნაგებობა.

2023 წელს, აქტივობის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებებისთვის, საპროგნოზო ბიუჯეტი განისაზღვრა 40,000,000 ლარით, ხოლო ბიუჯეტის ფაქტიურმა ათვისებამ შეადგინა 71,090,000 ლარი.

| ამოცანა 1.5: ინფრასტრუქტურასა და სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.5.7. სოფლად წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო / საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2023 – 31.12.2023 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2023 წელს აშენდება/რეაბილიტირებული იქნება 100 კმ-მდე წყალმომარაგების და წყალარინების სისტემები და 4 სათავე და გამწმენდი ნაგებობა | **შესრულებული:**<br>2023 წელს აშენდა/რეაბილიტირებული იქნა 234.9 კმ წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემები და 11 სათავე და გამწმენდი ნაგებობა. |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 40,000,000.00 ლარი | **ფაქტობრივი:** 71,090,000.00 ლარი |

| | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | რეიტინგი | X | | | | |

| შესრულების შეფასება | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
|---|---|---|---|---|---|---|
| | სტატუსი | | X | | | |

## აქტივობა 1.5.11: საჯარო სერვისებზე ხელმისაწვდომობა - საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (ევროკავშირის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისთვის (ENPARD IV) - ინდიკატორი 2.7)

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო / საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი / საქართველოს მუნიციპალიტეტები.

აქტივობის მიზანი: ENPARD IV - ინდიკატორი 2.7 ითვალისწინებს სასოფლო დასახლებებისა და ქალაქების დონეზე საჯარო სკოლების მოსწავლეთათვის ახალ და განახლებულ სასკოლო ინფრასტრუქტურაზე (სკოლების რეაბილიტაცია/მშენებლობა) ხელმისაწვდომობის ზრდას.

**განხორციელებული ღონისძიებები**

ENPARD IV - ინდიკატორი 2.7-ის შესაბამისად 2019 წლის საბაზისო (124,000 მოსწავლე) მონაცემებთან შედარებით 2023 წლის ბოლოსთვის დამატებით 80,600 სკოლის მოსწავლისთვის (65%) უნდა გაიზარდოს ხელმისაწვდომობა ახალ და განახლებულ სასკოლო ინფრასტრუქტურაზე.

2023 წლის მდგომარეობით შესაბამის განახლებულ ინფრასტრუქტურაზე ხელმისაწვდომობა 85,760 (69.2%) სკოლის მოსწავლეს გააჩნია. სტრატეგიის მიზნებიდან გამომდინარე გამოთვლებში არ არის გათვალისწინებული 5 თვითმმართველი ქალაქის (თბილისი, რუსთავი, ქუთაისი, ფოთი, ბათუმი) და აჭარის ა/რ-ის სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობა.

შესაბამისად, ENPARD IV პროგრამის ინდიკატორი 2.7 შესრულებულია.

| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | | | | X |

## აქტივობა 1.5.12: ინოვაციური ჰაბის/ცენტრის ქსელების გაფართოება რეგიონებში

**პასუხისმგებელი უწყება:** საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო / სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო“

**აქტივობის მიზანი:** აქტივობის მიზანია საქართველოს რეგიონებში ინოვაციური და სამეწარმეო ეკოსისტემის განვითარების ხელშეწყობა შესაბამისი ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფით. ტექნოპარკის გახსნა მიზნად ისახავს ინოვაციური სერვისების მიწოდებასა და ტექნოლოგიური და სამეწარმეო ცნობიერების ამაღლებას მოსახლეობაში. ტექნოპარკის ინფრასტრუქტურა ხელს შეუწყობს ქვეყანაში ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარებას, მაღალკვალიფიციური და მაღალანაზღაურებადი სამუშაო ძალის შექმნას, ინკლუზიური ეკონომიკის დანერგვასა და ინვესტიციების მობილიზებას.

**განხორციელებული ღონისძიებები:** 2022 წლიდან დაიწყო სენაკის ტექნოპარკის გახსნისათვის მოსამზადებელი სამუშაოები, რომელიც აქტიურად გაგრძელდა 2023 წელს და ტექნოპარკი სრულად აღიჭურვა თანამედროვე ტექნოლოგიებით. სენაკის ტექნოპარკი წარმოადგენს ფიზიკურ სივრცეს, სადაც თავმოყრილია ტექნოლოგიური, საგანმანათლებლო და პროფესიონალური რესურსები ინოვაციებსა და ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ბიზნესების განვითარებისთვის. ტექნოპარკი აერთიანებს სხვადასხვა ასაკის, მიმართულებისა და იდეების მქონე ადამიანს და ხელს უწყობს მათ ტექნოპარკის ინფრასტრუქტურის გამოყენებით, შექმნან ინოვაციური, ტექნოლოგიებზე დაფუძნებული წარმოებები, რომლებიც კონკურენტუნარიანი იქნება როგორც ადგილობრივ, ასევე, გლობალურ ბაზარზე. სენაკის ტექნოპარკში წარმოდგენილია სამრეწველო ინოვაციების უნივერსალური ლაბორატორია (ფაბლაბი) - უახლესი დანადგარებით: 3D პრინტერები, ლაზერული მჭრელი, CNC პროგრამირებადი (რუტერი), 3D სკანერი, ელექტრონიკისა და რობოტიკის კომპლექტები და სხვა. ტექნოპარკის გახსნის ოფიციალური ცერემონია დაგეგმილია უახლოეს პერიოდში.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება:** ინდიკატორის შესრულებისთვის განსაზღვრული საპროგნოზო ბიუჯეტი შეადგენდა 262,000 ლარს. საანგარიშო პერიოდში, სააგენტომ აითვისა 232,280 ლარი. სხვაობა ბიუჯეტის დაგეგმილ და ფაქტიურ შესრულებას შორის გამოწვეულია ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად წარმოშობილი ეკონომიით.

| ამოცანა **1.5:** ინფრასტრუქტურასა და სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.5.12: ინოვაციური ჰაბის/ცენტრის ქსელების გაფართოება რეგიონებში |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო/სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო“ |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2023 – 31.12.2023 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:** 2023 წელს, სენაკის ტექნოპარკი გახსნილია/აღჭურვილია | **შესრულებული:** სენაკის ტექნოპარკი სრულად აღიჭურვა |
| **ბიუჯეტი** | |

| საპროგნოზო: 262,000 ლარი | ფაქტობრივი: 232,280 ლარი |
|---|---|

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | | | | X |

## ამოცანა 1.6: ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების გაუმჯობესება

1.6 ამოცანის შესრულების მიზნით, 2023 წელს 4 აქტივობა განხორციელდა, მათ შორის, სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია, ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების (მაგისტრალური არხების) რეაბილიტაცია და წყლის რესურსების მომხმარებელთა ციფრული მონაცემთა ბაზის შექმნა. ამოცანის ყველა აქტივობა განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მის სტრუქტურაში შემავალი სააგენტოების მიერ.

**ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული აქტივობების შედეგად, 2023 წლის განმავლობაში:**

- ⇒ რეგულარულ სარწყავში გადასაყვანი მიწის ფართობი გაიზარდა 3.66 ათას ჰა-ით;
- ⇒ სარწყავ მიწებზე წყლით უზრუნველყოფა გაუმჯობესდა 1.75 ათას ჰა-ზე;
- ⇒ 2023 წელს, სარწყავი და სადრენაჟე მომსახურებით უზრუნველყოფილია 17,400 ჰა ტერიტორიაზე; ოპტიმალური სარწყავი პირობებით უზრუნველყოფილია 8,750 ჰა ტერიტორია; ქვემო სამგორის სარწყავი სქემისთვის მიწოდებული წყლის ერთეულზე მორწყული ფართობი (მ2/მ3) არის 1.91 მ2/მ3; ზედა რუს სარწყავი სქემისთვის მიწოდებული წყლის ერთეულზე მორწყული ფართობი (მ2/მ3) არის 0.68 მ2/მ3; მიწის მესაკუთრეები ახალ და გაუმჯობესებულ სარწყავი სერვისებზე წვდომით (რაოდენობა)სამიზნე მაჩვენებელი 10679 მიწის მესაკუთრე.
- ⇒ წყლის რესურსების მომხმარებელთა ციფრული მონაცემთა ბაზაში დარეგისტრირდა დაახლოებით 32,213 მომხმარებელი.
- ⇒ 2020-2021-2022-2023 წლებში, სახელმწიფო დაფინანსებით მელიორირებული ფართობი გაიზარდა: 2020 წელს - 5.8%; 2021 წელს - 2.9%; 2022 წელს-1.4%.; 2023 წელს - 5,5%. ; სულ 15,6 %-ით.

**1.6 ამოცანის შესრულების მიზნით 2023 წელს, სახელმწიფოს მიერ, ამოცანის განხორციელებისთვის გახარჯულია 78,558,781.00 ლარი.**

### აქტივობა 1.6.1: სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ შპს „საქართველოს მელიორაცია“

აქტივობის მიზანი: საირიგაციო და დამშრობი სისტემების რეაბილიტაცია

**განხორციელებული ღონისძიებები**

2023 წელს, კაპიტალური ღონისძიებების ფარგლებში მიმდინარეობდა: სათავე ნაგებობების, მაგისტრალური არხების, პირველი და სხვა რიგის გამანაწილებლების, დიუკერებისა და სხვა ჰიდროტექნიკური ნაგებობების რეაბილიტაცია; არხების მოპირკეთების აღდგენა; დამატებითი გამანაწილებელი არხებისა და ჰიდროტექნიკური ნაგებობების მოწყობა მიწის ნაკვეთის ბლოკებამდე წყლის მიყვანის მიზნით; არსებული სატუმბი სადგურების რეაბილიტაცია/მოდერნიზაცია, ელ. მექანიკური მოწყობილობების აღდგენა და ახლით შეცვლა;

საირიგაციო სისტემებზე, კაპიტალური ბიუჯეტის ფარგლებში სამუშაოები მიმდინარეობდა 81 ობიექტზე, დასრულდა 46 ობიექტი, შეწყდა 2; დამშრობი (დრენაჟი) სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობდა 1 ობიექტზე, დასრულდა 1 ობიექტი.

რიგი ობიექტების დასრულების თარიღი დაკორექტირდა, გახდა მშენებლობით გარდამავალი და დასრულდება შემდგომ წლებში.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2023 წლის განმავლობაში, აქტივობის ფარგლებში, დაგეგმილი იყო რეგულარულ სარწყავში გადასაყვანი მიწის ფართობის 6.7 ათას ჰექტრამდე ზრდა; 0.9 ათას ჰა სარწყავ მიწებზე წყლით უზრუნველყოფის გაუმჯობესება;

საანგარიშო პერიოდში, რეაბილიტირებულ იქნა სამელიორაციო ინფრასტრუქტურა; პირობითი სარწყავი მიწების კატეგორიიდან რეგულარულ სარწყავი მიწების კატეგორიაში გადასულია დაახლოებით 3.66 ათას ჰა-მდე მიწის ფართობი; სარწყავი მიწების წყლით უზრუნველყოფის გაუმჯობესება განხორციელდა 1,75 ათას ჰა-ზე;

| ამოცანა 1.1: ფერმერული საქმიანობის ეკონომიკური გაჯანსაღება, რესტრუქტურირება და მოდერნიზაცია. დივერსიფიკაციისა და ეფექტიანი მიწოდების ჯაჭვის განვითარების მეშვეობით | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.6.1 სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/შპს „საქართველოს მელიორაცია“ |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br><br>2023 წელს რეგულარულ სარწყავში გადასაყვანი მიწის ფართობი გაიზრდება 6.7 ათასი ჰექტრით; | **შესრულებული:**<br><br>2023 წელს, რეგულარულ სარწყავში გადასაყვანი მიწის ფართობი გაიზარდა 3.66 ათას ჰა-ით; სარწყავ მიწებზე წყლით |

| | |
|---|---|
| სარწყავ მიწებზე წყლით უზრუნველყოფა გაუმჯობესდება 0.9 ათას ჰა-ზე; | უზრუნველყოფა გაუმჯობესდა 1.75 ათას ჰა-ზე; |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 40,000,000.00 ლარი | **ფაქტობრივი:** 48,500,000 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

## აქტივობა 1.6.2: ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების (მაგისტრალური არხების) რეაბილიტაცია

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროინტეგრაციის დეპარტამენტი / შპს "საქართველოს მელიორაცია"

პარტნიორი ორგანიზაცია: მსოფლიო ბანკი (WB)

აქტივობის მიზანი: პროგრამის მიზანია საირიგაციო სერვისების მიწოდების გაუმჯობესება შერჩეულ გეოგრაფიულ არეალში, რაც თავის მხრივ ზემოქმედებას იქონიებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტიულობის ამაღლებაზე და ხელს შეუწყობს სოფლად დასაქმების ზრდას.

**განხორციელებული ღონისძიებები:**

დასრულდა სარეაბილიტაციო სამუშაოები ქვემო სამგორის და ზედა რუს სარწყავ სქემებზე. კერძოდ მეორე და მესამე რიგის გამანაწილებელი ქსლების რეაბილიტაცია - საპილოტე რეგიონში (ქვემო სამგორი) შეიქმნა საკომუნიკაციო სტრატეგია, ჩატარდა ღონისძიებები, როგორიცაა ტრეინინგები და გაცნობითი შეხვედრები, საველე სამუშაოები, ტრენერთა ტრეინინგები და ა.შ. - ჩატარდა პროექტის საბოლოო შეფასება. - პროექტი დასრულდა.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება:**

მიწოდებული წყლით მორწყული ერთეული ფართობი ქვემო სამგორში: 117% - მიწოდებული წყლით მორწყული ერთეული ფართობი ზედა რუს სისტემაზე: 73% - წყლით უზრუნველყოფილი ფართობი: 17,400 ჰა - წყლით უზრუნველყოფილი ოპტიმიზირებული ფართობი (მეორე და მესამე რიგის გამანაწილებელი არხების რეაბილიტაციის შედეგად): 8750 ჰა - მიწის მფლობელთა რაოდენობა, გაუმჯობესებული წყლის მიწოდებით: 152% (10,679 მიწის მფლობელი). ბიუჯეტი შესრულებულია 100%-ით.

| ამოცანა 1.6: ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების გაუმჯობესება |
|---|

| | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.6.2: ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების (მაგისტრალური არხების) რეაბილიტაცია |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროინტეგრაციის დეპარტამენტი / შპს "საქართველოს მელიორაცია" |
| პარტნიორი ორგანიზაცია: | მსოფლიო ბანკი (WB) |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2023 – 31.12.2023 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2023 წელი,<br><br>1. სარწყავი და სადრენაჟე მომსახურებით უზრუნველყოფილი ტერიტორია იქნება(ჰა) სამიზნე მაჩვენებელი: 17,400 ჰა;<br>2. ოპტიმალური სარწყავი პირობებით უზრუნველყოფილი ტერიტორია იქნება სამიზნე მაჩვენებელი: 8,750 ჰა;<br>3. ქვემო სამგორის სარწყავი სქემისთვის მიწოდებული წყლის ერთეულზე მორწყული ფართობი (მ2/მ3) იქნება სამიზნე მაჩვენებელი 1.63 მ2/მ3;<br>4. ზედა რუს სარწყავი სქემისთვის მიწოდებული წყლის ერთეულზე მორწყული ფართობი (მ2/მ3) იქნება სამიზნე მაჩვენებელი 0.93 მ2/მ3;<br>5. მიწის მესაკუთრეები ახალ და გაუმჯობესებულ სარწყავი სერვისებზე წვდომით (რაოდენობა)სამიზნე მაჩვენებელი 7000 მიწის მესაკუთრე. | **შესრულებული:**<br>2023 წელს,<br><br>1. სარწყავი და სადრენაჟე მომსახურებით უზრუნველყოფილია 17,400 ჰა ტერიტორიაზე;<br>2. ოპტიმალური სარწყავი პირობებით უზრუნველყოფილია 8,750 ჰა ტერიტორია;<br>3. ქვემო სამგორის სარწყავი სქემისთვის მიწოდებული წყლის ერთეულზე მორწყული ფართობი (მ2/მ3) არის 1.91 მ2/მ3;<br>4. ზედა რუს სარწყავი სქემისთვის მიწოდებული წყლის ერთეულზე მორწყული ფართობი (მ2/მ3) არის 0.68 მ2/მ3;<br>5. მიწის მესაკუთრეები ახალ და გაუმჯობესებულ სარწყავი სერვისებზე წვდომით (რაოდენობა)სამიზნე მაჩვენებელი 10679 მიწის მესაკუთრე. |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო**: 30,000,000 ლარი | **ფაქტობრივი:** 30,058,781 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | | | | X |

## აქტივობა 1.6.3: წყლის რესურსების მომხმარებელებთა ციფრული მონაცემთა ბაზის შექმნა

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ შპს „საქართველოს მელიორაცია“

აქტივობის მიზანი: წყლის რესურსების მომხმარებელებთა ციფრული მონაცემთა ბაზის შექმნა

**განხორციელებული ღონისძიებები**

წყლის რესურსების მომხმარებელებთა ციფრულ მონაცემთა ბაზაში 31.12.2023 წლის მდგომარეობით დარეგისტრირდა 32,213 აბონენტის განაცხადი, მათ შორის 4,966 არის 2023 წელს რეგისტრირებული ახალი აბონენტი.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება:**

2023 წელს დარეგისტრირებულია 32,213 მომხმარებელი

| ამოცანა 1.6: ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების გაუმჯობესება | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.6.3. წყლის რესურსების მომხმარებელთა ციფრული მონაცემთა ბაზის შექმნა |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/შპს „საქართველოს მელიორაცია“ |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2023 წელს, დარეგისტრირდება დაახლოებით 35,000 მომხმარებელი (მათ შორის: 5,250 ახალი აბონენტი) | **შესრულებული:**<br>2023 წელს დარეგისტრირებულია 32,213 მომხმარებელი |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 0 | **ფაქტობრივი:** 0 |

**შენიშვნა:**

წყლის რესურსების მომხმარებელებთა ციფრულ მონაცემთა ბაზაში 31,12,2023 წლის მდგომარეობით დარეგისტრირდა 32,213 აბონენტის განაცხადი, მათ შორის 4,966 არის 2023 წელს რეგისტრირებული ახალი აბონენტი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | X | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | სტატუსი | | | | | X |

### აქტივობა 1.6.4: მიწის სამელიორაციო ღონისძიებების განხორციელება (ENPARD IV, ინდიკატორი 2.6.)

| ამოცანა 1.6: ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების გაუმჯობესება | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.6.4: მიწის სამელიორაციო ღონისძიებების განხორციელება (ENPARD IV,ინდიკატორი 2.6.) |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/შპს „საქართველოს მელიორაცია“ |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2020 – 31.12.2023 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br><br>01.01.2020 - 31.12.2023 პერიოდში, სახელმწიფო დაფინანსებით მელიორირებული ფართობი გაიზრდება სულ მცირე 15%-ით, საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით. | **შესრულებული:**<br><br>2020-2021-2022-2023 წლებში, სახელმწიფო დაფინანსებით მელიორირებული ფართობი გაიზარდა: 2020 წელს - 5.8%; 2021 წელს - 2.9%; 2022 წელს-1.4%.; 2023 წელს - 5,5%. ;<br><br>სულ 15,6 %-ით. |

**შენიშვნა:** საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 15,6%-ით, საიდანაც 1,7% (2902 ჰა) წარმოადგენს დონორების მიერ განხორციელებული პროექტების შედეგს, რაც ჯერჯერობით არ არის შპს საქართველოს მელიორაციის კაპიტალში ასახული.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | | | | X |

## ამოცანა 1.7 სოფლად ტურიზმისა და შესაბამისი ტურისტული პროდუქტების განვითარება

1.7 ამოცანის შესრულების მიზნით, 2023 წელს 3 აქტივობა განხორციელდა, მათ შორის, სოფლად ტურისტული პროდუქტის განვითარება, მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება და კერძო სექტორის უნარების განვითარება ტურისტული მომსახურების კუთხით (გადამზადების პროგრამა). ამოცანის ყველა აქტივობა განხორციელდა საქართველოს

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და მის სტრუქტურაში შემავალი უწყებების მიერ.

**ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული აქტივობების შედეგად, 2023 წლის განმავლობაში:**

⇒ შეიქმნა 2 ახალი ტურისტული პროდუქტი (ღვინის გზა და საფეხმავლო ბილიკები)

⇒ შეიქმნა 1 მცირე ინფრასტრუქტურული პროექტი;

⇒ გადამზადდა ტურიზმის სექტორის 600 წარმომადგენელი.

**1.7 ამოცანის შესრულების მიზნით 2023 წელს, სახელმწიფოს მიერ, ამოცანის განხორციელებისთვის გახარჯულია 777,820.36 ლარი.**

## აქტივობა 1.7.1: სოფლად ტურისტული პროდუქტის განვითარება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო/სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

აქტივობის მიზანი: ტურიზმის განვითარება და ხელშეწყობა

განხორციელებული ღონისძიებები: პროექტი ღვინის გზა - 2023 წელს განხორციელდა 28 ახალი ღვინის მასპინძელი ობიექტის ჩართვა პროექტში და მათთვის საგზაო მანიშნებლების მონტაჟი შემდეგი რეგიონებიდან: კახეთი (13 მარანი და საწარმო), მცხეთა-მთიანეთი (5 მარანი), სამცხე-ჯავახეთი (3 მარანი), იმერეთი (5 მარანი), რაჭა (1 მარანი) და აჭარა (1 მარანი).

2023 წელს, სამთო საფეხმავლო ბილიკების ქსელის გაფართოებისა და განვითარების პროექტის ფარგლებში, განხორციელდა ბილიკების ინფრასტრუქტურის მონტაჟი და მარკირება შემდეგ რეგიონებში: იმერეთის რეგიონი, წყალტუბოს მუნიციპალიტეტი - 3 ბილიკი, ჯამური სიგრძე 11 კმ; სამეგრელოს რეგიონი - განხორციელდა ტობავარჩხილის 104 კმ-იანი ბილიკების ქსელის ინფრასტრუქტურის განახლება; მცხეთა-მთიანეთის რეგიონი, დუშეთის მუნიციპალიტეტი - 5 ბილიკი, ჯამური სიგრძე - 70 კმ.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება:** 2023 წელს, საანგარიშო პერიოდში, შეიქმნა 2 ახალი ტურისტული პროდუქტი. აქტივობის განხორციელებაზე დაიხარჯა 280,488 ლარი.

| ამოცანა 1.7: სოფლად ტურიზმისა და შესაბამისი ტურისტული პროდუქტების განვითარება | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.7.1: სოფლად ტურისტული პროდუქტის განვითარება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო / სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2023 – 31.12.2023 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:** 2023 წელს, დამატებით შექმნილი იქნება 2 ახალი ტურისტული პროდუქტი. | **შესრულებული:** 2023 წელს, შეიქმნა 2 ახალი ტურისტული პროდუქტი (ღვინის გზა და საფეხმავლო ბილიკები) |

| ბიუჯეტი | |
|---|---|
| **საპროგნოზო:** 350,000.00 ლარი | **ფაქტობრივი:** 280,488  ლარი |

| შესრულების შეფასება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელებული პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | | | | X |

## აქტივობა 1.7.2: მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო /სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

აქტივობის მიზანი: ტურიზმის განვითარება და ხელშეწყობა

განხორციელებული ღონისძიებები: მომზადდა პროექტები შემდეგი ბილიკებისათვის: თუშეთის დაცული ლანდშაფტი - ჯამური სიგრძე 80 კმ. თრუსეს დაცული ლანდშაფტი - ჯამური სიგრძე 20 კმ. გუდაური-ხადას ხეობის დამაკავშირებელი ბილიკი - 13 კმ. კარკუჩა-გუდამაყრის ხეობის დამაკავშირებელი ბილიკი - 16 კმ. სიონი-საბუე (თიანეთის და ახმეტის მუნიციპალიტეტი) - 15 კმ. ბოჭორმის ციხის (თიანეთის მუნიციპალიტეტი) ბილიკი - 3 კმ.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება:** საანგარიშო პერიოდში, შეიქმნა 1 მცირე ინფრასტრუქტურული პროექტი და ბიუჯეტმა შეადგინა 173,480 ლარი.

| ამოცანა 1.7: სოფლად ტურიზმისა და შესაბამისი ტურისტული პროდუქტების განვითარება | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.7.2: მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო / სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2023 – 31.12.2023 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2023 წელს, შეიქმნება 1 ინფრასტრუქტურული პროექტი. | **შესრულებული:**<br>2023 წელს, შეიქმნა 1 მცირე ინფრასტრუქტურული პროექტი. |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 200,000.00 ლარი | **ფაქტობრივი:** 173,480 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |

| შესრულე ბის შეფასება | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელე ბის პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
|---|---|---|---|---|---|---|
| | სტატუსი | | | | | X |

## აქტივობა 1.7.3: კერძო სექტორის უნარების განვითარება ტურისტული მომსახურების კუთხით (გადამზადების პროგრამა)

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო / სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

<u>აქტივობის მიზანი:</u> ტურიზმის განვითარება და ხელშეწყობა

<u>განხორციელებული ღონისძიებები:</u> 2023 წელს, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ განხორციელდა სხვადასხვა თემატიკის 10 ტრენინგი და გადამზადებულია 600 მონაწილე.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება:** საანგარიშო პერიოდში, გადამზადებულია 600 ბენეფიციარი. ჯამში აქტივობის განხორციელებაზე დაიხარჯა 323,852.36 ლარი.

| ამოცანა 1.7: სოფლად ტურიზმისა და შესაბამისი ტურისტული პროდუქტების განვითარება | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.7.3: კერძო სექტორის უნარების განვითარება ტურისტული მომსახურების კუთხით (გადამზადების პროგრამა) |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო / სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2023 – 31.12.2023 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2023 წელს, გადამზადდება 600 ბენეფიციარი. | **შესრულებული:**<br>2023 წელს, გადამზადებულია ტურიზმის სექტორის 600 წარმომადგენელი. |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** <u>400,000 ლარი</u> | **ფაქტობრივი:** <u>323,852.36 ლარი</u> |

| შესრულე ბის შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელე ბის პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | | | | X |

# სტრატეგიული მიზანი 2: ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება, ეკოსისტემების შენარჩუნება, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია

სტრატეგიული მიზანი 2 - ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება, ეკოსისტემების შენარჩუნება, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია მოიცავს 5 ამოცანას და 9 აქტივობას.

## ამოცანა 2.1: გარემოსთან ადაპტირებული, კლიმატგონივრული სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის გავრცელება და ბიო/ორგანული წარმოების განვითარების ხელშეწყობა

**ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული აქტივობების შედეგად, 2023 წლის განმავლობაში:**

⇒ 2023 წელს არ შეფასდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების კლიმატის ცვლილებისადმი მოწყვლადობა

### აქტივობა 2.1.1: კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის შესაძლებლობების განსაზღვრა და ხელშეწყობა

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / გარემოს და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტი

<u>პარტნიორი ორგანიზაცია:</u> UN Environment

<u>აქტივობის მიზანი:</u> საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის გაძლიერება არსებული შესაძლებლობების ანალიზითა და ამ ანალიზზე დაფუძნებული ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავებით.

**განხორციელებული ღონისძიებები**

საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის გაძლიერება წარმოადგენს უფრო ფართო პროექტის ნაწილს, რომელიც ითვალისწინებს ქვეყნის კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციის შესაძლებლობების შესწავლას და მომავალი ქმედებების განსაზღვრას აღნიშნული შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით. აღნიშნული პროექტის ფარგლებში იგეგმება ეროვნული ადაპტაციის გეგმის (NAP) შემუშავება, რომლის ნაწილადაც მოიაზრება სოფლის მეურნეობის სექტორისთვის ადაპტაციის გეგმის შემუშავება. პროექტი შემუშავდა და 2020 წელს წარედგინა კლიმატის მწვანე ფონდს (GCF) - მიუხედავად იმისა, რომ პროექტისთვის საჭირო თანხები გამოყოფილია, სხვადასხვა მიზეზით ჭიანურდება პროექტის საბოლოო დამტკიცება (მათ შორის, მნიშვნელოვნად უარყოფითი როლი შეასრულა Covid-19 პანდემიამ). 2022 წელს პროექტის საერთაშორისო განმახორციელებელმა (გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა - UNEP) მოახდინა ადგილობრივი განმახორციელებლის

იდენტიფიცირება - ეს იქნება სსიპ გარემოსდაცვითი განათლებისა და ინფორმაციის ცენტრი. 2023 წელს დასრულდა პროექტის დოკუმენტის ტექნიკური დოკუმენტაციის თარგმნა, რის შემდეგ პროექტმა გაიარა ეროვნული პროცედურები და მოწონებულ იქნა საქართველოს მთავრობის მიერ - პროექტის განხორციელების დაწყება დაგეგმილია 2024 წელს. ვინაიდან პროექტი ჯერ არ დაწყებულა, შესაბამისად არც აღნიშნული ქმედება შესრულდა.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

არ დაწყებულა შესრულება.

| ამოცანა 2.1: გარემოსთან ადაპტირებული , კლიმატგონივრული სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის გავრცელება ბიო/ორგანული წარმოების განვითარების ხელშეწყობა | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 2.1.1. კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის შესაძლებლობების განსაზღვრა და ხელშეწყობა |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო / სსიპ საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2023 – 31.12.2023 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2023 წელს შეფასდება სასოფლო-სამეურნეო კულტურების კლიმატის ცვლილებისადმი მოწყვლადობა | **შესრულებული:**<br>2023 წელს: არ განხორციელებულა |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 0 | **ფაქტობრივი:** 0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | | | X | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელებ ის პროცესი შეჩერებულია | განხორციელებ ის პროცესი შეწყვეტილია | განხორციელებ ის პროცესი დასრულებულ ია |
| | სტატუსი | X | | | | |

## ამოცანა 2.2: ეკოტურიზმის განვითარების ხელშეწყობა

2.2 ამოცანის შესრულების მიზნით, 2023 წელს 2 აქტივობა განხორციელდა - დაცული ტერიტორიების ტურისტულ მარშრუტებზე ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და დაცული ტერიტორიების ინფრასტრუქტურით აღჭურვა. ამოცანის აქტივობა განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სტრუქტურაში შემავალი სსიპ - დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ.

**ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული აქტივობების შედეგად, 2023 წლის განმავლობაში:**

- ⇒ 2023 წელს, განხორციელდა 12 დაცულ ტერიტორიაზე განხორციელდა ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა/რეაბილიტაცია;
- ⇒ დაცულ ტერიტორიებზე მოეწყო დაცვის ინფრასტრუქტურა - 56 ერთეული ხერგილი;
- ⇒ დაცული ტერიტორიებისთვის შეძენილ იქნა სხვადასხვა სახის 215 ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი/აღჭურვილობა.

**2.2 ამოცანის შესრულების მიზნით დაგეგმილი აქტივობების საპროგნოზო ბიუჯეტი 16,650,000 ლარით განისაზღვრა. 2023 წელს, სახელმწიფოს მიერ, ამოცანის განხორციელებისთვის გახარჯულია 19,604,488.56 ლარი.**

## აქტივობა 2.2.1: დაცული ტერიტორიების ტურისტულ მარშრუტებზე ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო

აქტივობის მიზანი: ეკოტურიზმის განვითარება და საზოგადოებასთან ეფექტური კომუნიკაცია.

**განხორციელებული ღონისძიებები**

2023 წელს :

მიმდინარეობდა 12 სხვადასხვა დაცულ ტერიტორიაზე ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა/რეაბილიტაცია:

- 2023 წლის საანგარიშო პერიოდში 7 დაცულ ტერიტორიაზე მოეწყო 356 კმ სიგრძის ეკოტურისტული ბილიკების ქსელი: ბაწარა-ბაბანეურის (18 კმ), მარიამჯვარის (25 კმ) და თეთრობის (50 კმ ), იმერეთი-სამეგრელოს (58 კმ), ლაგოდეხის (105 კმ), ერუშეთის (100 კმ) დაცულ ტერიტორიებზე;
- აშენდა ერთი ადმინისტრაციული შენობა (ინტეგრირებული რეინჯერთა სადგურთან), მარიამჯვრის დაცულ ტერიტორიებზე;
- აშენდა 23 ტურისტული თავშესაფარი 7 დაცულ ტერიტორიაზე - ბორჯომ-ხარაგაული (8), ლაგოდეხი (1), თეთრობი (3), მტირალა (3), კინტრიში (2), ერუშეთი (4) და მარიამჯვარი (2) ;
- 4 გადასახედი მოეწყო - ბაწარა-ბაბანეურის დაცულ ტერიტორიებზე;
- 33 საპიკნიკე სივრცე მოეწყო 9 დაცულ ტერიტორიაზე - ბორჯომი (4), ბაწარა-ბაბანეური (1), მარტვილი და ოკაცე (3), ლაგოდეხი (11), მარიამჯვარი (2), თეთრობი (3), ვაშლოვანი (3), იმერეთი (2) და ერუშეთი (4);

- 20 ცეცხლის დასანთები ადგილი მოეწყო 8 დაცულ ტერიტორიაზე - ბორჯომი (4), ბაწარა-ბაბანეური (1), მარტვილი და ოკაცე (3), მარიამჯვარი (2), თეთრობი (3), მტირალა (1), იმერეთი (2) და ერუშეთი (4);
- 115 ძელსკამი მოეწყო 8 დაცულ ტერიტორიაზე - ბორჯომ-ხარაგაული (30), ბაწარა-ბაბანეური (6), მარტვილი და ოკაცე (3), ლაგოდეხი (50), თეთრობი (10), მიტრალა (2), იმერეთი (2) და ერუშეთი (12);
- 13 ცხენის დასაბმელი ადგილი მოეწყო 3 დაცულ ტერიტორიაზე - ბორჯომ-ხარაგაული (4), ლაგოდეხი (5) და ერუშეთი (4);
- 27 საპირფარეშო მოეწყო 7 დაცულ ტერიტორიაზე - ბორჯომ-ხარაგაული (4), ბაწარა-ბაბანეური (2), ლაგოდეხი (10), მარიამჯვარი (2), თეთრობი (3), მტირალა (2) და ერუშეთი (4);
- 3 ხიდი მოეწყო - ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე;
- 2 დაცულ ტერიტორიაზე მოეწყო ღამის მხატვრული განათება - მარტვილის კანიონსა და ოკაცეს ჩანჩქერზე;
- 4 დაცულ ტერიტორიაზე რეაბილიტაცია ჩაუტარდა მცირე ტურისტულ ინფრასტრუქტურას , კერძოდ:
  - იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიები - მღვიმეში მოაჯირების და გარე განათების სისტემის, ქვაფენილის, საგანმანათლებლო მოედნის რეაბილტაცია;
  - ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი - საპარკინგეს რეაბილიტაცია;
  - კოლხეთის ეროვნული პარკი - ადმინისტრაციის ეზოს, ნავმისადგომის და სარეინჯეროს რეაბილიტაცია;
  - მარტვილისა და ოკაცეს ბუნების ძეგლები - მარტვილის კანიონის ვიზიტორთა ცენტრის ეზოს კეთილმოწყობა;
- 4 ადმინისტრაციულ შენობას ჩაუტარდა რეაბილიტაცია - ბორჯომი (1) და კოლხეთი (1); მარტვილის კანიონი (1), პრომეთეს მღვიმე (1);
- 10 ტურისტულ თავშესაფარს ჩაუტარდა რეაბილიტაცია 4 დაცულ ტერიტორიაზე - ლაგოდეხი (2), ვაშლოვანი (6), მტირალა (1) და კოლხეთი (1);
- 6 საპიკნიკე სივრცეს ჩაუტარდა რეაბილიტაცია - ვაშლოვანი;
- 2 ფრინველებზე დაკვირვების კოშკურას ჩაუტარდა რეაბილიტაცია - კოლხეთის ეროვნულ პარკში;

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2023 წელს, აქტივობის ფარგლებში, დაგეგმილი იყო დაცულ ტერიტორიებზე 2 ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა / ან არსებულის რეაბილიტაცია.
საანგარიშო პერიოდში, ჯამში 12 დაცულ ტერიტორიაზე მიმდინარეობდა ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა/რეაბილიტაციის სამუშაოები, მათ შორის: ბორჯომ-ხარაგაულის, ბაწარა-ბაბანეურის, მარტვილისა და ოკაცეს, ლაგოდეხის, მარიამჯვარის, თეთრობის, ვაშლოვანის, მტირალას, კინტრიშის, კოლხეთის, იმერეთის და ერუშეთის დაცული ტერიტორიები.

საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტის ფაქტობრივმა ათვისებამ შეადგინა 19,549,659.56 ლარი. აღნიშნული პროექტი წარმოადგენს მრავალწლიან შესყიდვას, რომელიც განხორციელდა 2021-2023 წლებში და მოიცავს 38 მლნ ლარს, საიდანაც 19,549,659.56 ლარი გაიხარჯა 2023 წელს 12

სხვადასხვა დაცულ ტერიტორიაზე ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა/რეაბილიტაციისთვის.

| ამოცანა 2.2: ეკოტურიზმის განვითარების ხელშეწყობა | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 2.2.1: დაცული ტერიტორიების ტურისტულ მარშრუტებზე ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2023 – 31.12.2023 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br><br>2023 წელს, დაცულ ტერიტორიებზე 2 ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა / ან არსებულის რეაბილიტაცია | **შესრულებული:**<br><br>2023 წელს, 12 დაცულ ტერიტორიაზე მოეწყო / რეაბილიტაცია ჩაუტარდა ეკოტურისტულ ინფრასტრუქტურას |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 17,000,000.00 ლარი | **ფაქტობრივი:** 19,549,659.56 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

## აქტივობა 2.2.2: დაცული ტერიტორიების ინფრასტრუქტურით აღჭურვა

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო
აქტივობის მიზანი: დაცული ტერიტორიების დაცვა და რესურსების მართვა

**განხორციელებული ღონისძიებები**

2023 წლის განმავლობაში:

- საანგარიშო პერიოდში 7 სხვადასხვა დაცულ ტერიტორიაზე მოეწყო დაცვის 56 ხერგილი (ტანა, კვერეთი, ბორჯომ-ხარაგაული, მაჭახელა, თბილისი, კინტრიში, კოლხეთი).

- დაცული ტერიტორიებისთვის შეძენილ იქნა სხვადასხვა სახის 215 ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2023 წელს, აქტივობის ფარგლებში, დაგეგმილი იყო დაცულ ტერიტორიებზე 3 ერთეული დაცვის ინფრასტრუქტურის (სარეინჯერო, ხერგილი ან სხვა) მოწყობა / რეაბილიტაცია; 50 ერთეული ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის / აღჭურვიილობის შეძენა.

საანგარიშო პერიოდში, 7 დაცულ ტერიტორიაზე განვითარდა დაცვის ინფრასტრუქტურა - მოეწყო 56  ხერგილი. დაცული ტერიტორიებისთვის შეძენილ იქნა სხვადასხვა სახის 215 ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი.

| ამოცანა 2.2: ეკოტურიზმის განვითარების ხელშეწყობა | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 2.2.2: დაცული ტერიტორიების ინფრასტრუქტურით აღჭურვა |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო /სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2023 – 31.12.2023 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2023 წელს<br>→ დაცულ ტერიტორიებზე მოეწყობა / ჩაუტარდება რეაბილიტაცია დაცვის ინფრასტრუქტურის (სარეინჯერო, ხერგილი ან სხვა) 3 ერთეულს;<br>→ შეძენილ იქნება 50 ერთეული ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი / აღჭურვილობა. | **შესრულებული:**<br>2023 წელს<br>→ დაცულ ტერიტორიებზე მოეწყო დაცვის ინფრასტრუქტურა - 56 ერთეული ხერგილი;<br>→ დაცული ტერიტორიებისთვის შეძენილ იქნა სხვადასხვა სახის 215 ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი. |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 150,000.00 ლარი | **ფაქტობრივი:** 54,829.00 ლარი |

| | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | რეიტინგი | X | | | | |

| შესრულე ბის შეფასება | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელე ბის პროცესი შეწყვეტილია | განხორციელები ს პროცესი დასრულებულია |
|---|---|---|---|---|---|---|
| | სტატუსი | | X | | | |

## ამოცანა 2.3: ტყის რესურსების მდგრადი გამოყენება

2.3 ამოცანის შესრულების მიზნით, 2023 წელს 3 აქტივობა განხორციელდა, მათ შორის მერქნული რესურსის მართვა, ტყის მოვლა-აღდგენა და ტყის აღრიცხვა-ინვენტარიზაცია. გარემოს მდგრადობის ხელშეწყობა, ამოცანის აქტივობა განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მის სტრუქტურაში შემავალი სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ.

**ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული აქტივობების შედეგად, 2023 წლის განმავლობაში:**

- ⇒ 2023 წელს, ჯამში 450,453.5 $მ^3$ ხე-ტყის რესურსზე უზრუნველყოფილ იქნა ხელმისაწვდომობა;
- ⇒ 2023 წელს 1714,6 ჰა ახალ ფართობზე განხორციელდა ტყის აღდგენის (ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის) ღონისძიებები;
- ⇒ დამატებით შედგენილია ტყის მართვის გეგმების პროექტები 138 299 ჰა ფართობზე თელავის სატყეო უბანზე (52 331 ჰა) დასრულდა პირველი ეტაპი, ყვარლის სატყეო უბანზე (45 044 ჰა) დასრულდა პირველი ეტაპი, თიანეთის სატყეო უბანზე მიმდინარეობს პირველი ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოები (40 924 ჰა).

**2.3 ამოცანის შესრულების მიზნით სახელმწიფოს მიერ, ამოცანის განხორციელებისთვის გახარჯულია 33,620,650.00 ლარი.**

### აქტივობა 2.3.1: მერქნული რესურსის მართვა

<u>პასუხისმგებელი უწყება</u>: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო

<u>აქტივობის მიზანი</u>: მერქნული რესურსის მოპოვებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, წინასწარ შერჩეულ სატყეო უბნების ტერიტორიებზე ხე-ტყის დამზადების მიზნით, შესაბამისი ფართობების გამოვლენა და სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების განხორციელება; სააგენტოს მიერ განხორციელებული ჭრის ფარგლებში ხეტყის დამზადება და რეალიზაცია.

**განხორციელებული ღონისძიებები:**

მოსახლეობის, საბიუჯეტო და სხვადასხვა ორგანიზაციების ხე-ტყით უზრუნველყოფის მიზნით (გარდა სამეურნეო ჭრისა) გამოყოფილია ტყეკაფები 297,311 კბმ ოდენობით. სამეურნეო და მოვლითი ჭრის ფარგლებში გამოყოფილია 153,142.5 კბმ მოცულობის ტყეკაფი, სულ ჯამში 450,453.5 კბმ მოცულობის ხე-ტყე.

2023 წელს, სააგენტოს მიერ სამეურნეო და მოვლითი ჭრის ტყეკაფებიდან დამზადებულია - 160 010,4 კბმ; აუქციონისა და პირდაპირი შესყიდვის წესით რეალიზებულია 125 198 კბმ რესურსი, საიდანაც, აუქციონის წესით რეალიზებულია 99 841კბმ, პირდაპირი მიყიდვის წესით- 25356,98 კბმ (საბიუჯეტო ორგანიზაციების მომარაგება - 19037,68 კბმ.) 3 მიმდინარე საანგარიშო პერიოდში სოციალური ჭრის ტყეკაფებიდან ათვისებულია (მოჭრილია) 251 011,3 კბმ საშეშე მერქანი, ხოლო ხე-ტყის დამზადების ბილეთებით გაცემული (გაყიდული) მერქნული რესურსი შეადგენს 276 909,2 კბმ-ს (34 196 კომლი), ხოლო, საქმიანი ეზოებიდან მოსახლეობაზე სარგებლობის ბილეთები გაყიდულია 6319,3 კბმ-ზე. გამოყოფილ ტყეკაფებში არსებულ რესურსზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, მოეწყო - 10,53 კმ. და რეაბილიტაცია ჩაუტარდა - 71,48 კმ. სატყეო გზას.

2023 წელს, ჯამში 450,453.5 მ3 ხეტყის რესურსზე უზრუნველყოფილ იქნა ხელმისაწვდომობა.

| ამოცანა 2.3: ტყის რესურსების მდგრადი გამოყენება | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 2.3.1: მერქნული რესურსის მართვა |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2023 – 31.12.2023 |
| შესრულების ინდიკატორები | |
| დაგეგმილი:<br>2023 წელს, 600 000 მ$^3$ ხე-ტყის გამოყოფილ რესურსზე უზრუნველყოფილი იქნება ხელმისაწვდომობა. | შესრულებული:<br>2023 წელს, ჯამში 450,453.5 მ$^3$ ხე-ტყის რესურსზე უზრუნველყოფილ იქნა ხელმისაწვდომობა. |
| ბიუჯეტი | |
| საპროგნოზო: 34,211,300 ლარი | ფაქტობრივი: 30,913,700 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | X | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | | | | X |

## აქტივობა 2.3.2: ტყის მოვლა და აღდგენა

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო

აქტივობის მიზანი: ტყეების ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნების ხელშეწყობა; ტყის დროებითი სანერგეების მოწყობა პრიორიტეტების მიხედვით შერჩეულ სატყეო უბნების ტერიტორიებზე, ტყის აღდგენა-გაშენების ღონისძიებების განხორციელება წინასწარ გამოვლენილ აღსადგენ ფართობებზე.

განხორციელებული ღონისძიებები:

2023 წლის ტყის აღდგენის ღონისძიებებისთვის მომზადდა 20 ტყის აღდგენის პროექტი 1714.6 ჰა ფართობისთვის. მათ შორის: 1. გურია (1 პროექტი) – 677.0 ჰა 2. იმერეთი (6 პროექტი) – 136.0 ჰა 3. რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი (2 პროექტი) – 140.6 ჰა 4. სამცხე-ჯავახეთი (2 პროექტი) – 371.5 ჰა 5. შიდა ქართლი (1 პროექტი) – 21.7 ჰა 6. ქვემო ქართლი (3 პროექტი) – 88.1 ჰა 7. კახეთი (3 პროექტი) – 279.7ჰა.

2023 წელს 1714.6 ჰა ახალ ფართობზე განხორციელდა ტყის აღდგენის (ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის) ღონისძიებები.

| ამოცანა 2.3: ტყის რესურსების მდგრადი გამოყენება | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 2.3.2: ტყის მოვლა და აღდგენა |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2023-31.12.2023 |
| შესრულების ინდიკატორები | |
| დაგეგმილი:<br>2023 წელს, დამატებით 100 ჰა-ზე გაშენდება/აღდგენილი იქნება ტყის მასივი. | შესრულებული:<br>2023 წელს 1714,6 ჰა ახალ ფართობზე განხორციელდა ტყის აღდგენის (ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის) ღონისძიებები. |
| ბიუჯეტი | |
| საპროგნოზო: 2,155,000 ლარი | ფაქტობრივი: 1,276,625 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | | | | X |

## აქტივობა 2.3.3: ტყის აღრიცხვა-ინვენტარიზაციის განხორციელება

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო

<u>აქტივობის მიზანი:</u> ტყის მართვის გეგმის შემუშავება, რომელშიც აისახება სატყეო-სამეურნეო ღონისძიებები მიმართული ტყის დაცვაზე, რესურსების მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, რაციონალურ და მრავალმიზნობრივ გამოყენებასა და კვლავწარმოებაზე; ტყის რესურსების მდგომარეობის შესახებ მოძველებული ინფორმაციის განახლება, ტყის რესურსების აღრიცხვა, ტყის მეურნეობის წარმოების, ტყის რესურსების მაჩვენებლების და ხარისხის დადგენა და ანალიზი; სახელმწიფოს ტყის ფონდის საზღვრების დაზუსტება და შესაბამისი კარტოგრაფიული მასალის მომზადება; ტყის აღრიცხვის არსებული მატერიალური ბაზის გაუმჯობესება და ინფორმაციის დამუშავების თანამედროვე პროგრამული საშუალებებით უზრუნველყოფა.

**განხორციელებული ღონისძიებები:**

დასრულებულია ტყის აღრიცხვის სამუშოები და შედგენილია ტყის მართვის გეგმა: შედგენილია ტყის მართვის გეგმების პროექტები 190,510 ჰა ფართობზე დედოფლისწყარო-სიღნაღის (23 826 ჰა), ამბროლაურის (80 635 ჰა), წალკა- თეთრიწყაროს (55 202 ჰა) და ადიგენის (30 847 ჰა) სატყეო უბნებისთვის. ასევე ტყის აღრიცხვის საველე და კამერარული სამუშაოები მიმდინარეობს თელავის სატყეო უბანზე (52 331 ჰა), ყვარლის სატყეო უბანზე (45 044 ჰა) და თიანეთი სატყეო უბანზე (40 924 ჰა) შემდგომში ტყის მართვის გეგმის შემუშავების მიზნით. გარდა აღნიშნულისა სტატისტიკური მეთოდით (FMI) ტყის აღრიცხვის საველე სამუშაოები განხორციელდა ლანჩხუთის, ჩოხატაურის, დედოფლისწყაროს, ყვარლის და თელავის სატყეო უბნებში სულ - 186 943 ჰა ფართობზე;

2023 წელს: დამატებით შედგენილია ტყის მართვის გეგმების პროექტები 138 299 ჰა ფართობზე თელავის სატყეო უბანზე (52 331 ჰა) დასრულდა პირველი ეტაპი, მეორე ეტაპიდან 30 000 ჰა-ზე, ყვარლის სატყეო უბანზე (45 044 ჰა) დასრულდა პირველი ეტაპი ხოლო მეორე ეტაპიდან 30 000 ჰა-ზე, თიანეთი სატყეო უბანზე მიმდინარეობს პირველი ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოები (40 924 ჰა).

| ამოცანა 2.3: ტყის რესურსების მდგრადი გამოყენება | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 2.3.3: ტყის აღრიცხვა-ინვენტარიზაციის განხორციელებაა |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2023-31.12.2023 |
| შესრულების ინდიკატორები | |
| დაგეგმილი: | შესრულებული:<br>2023 წელს: დამატებით შედგენილია ტყის მართვის გეგმების პროექტები 138 299 ჰა |

| | |
|---|---|
| 2023 წელს: დამატებით შედგება ტყის მართვის გეგმების პროექტები 3 სატყეო უბნისათვის (128 ათასი ჰა); | ფართობზე თელავის სატყეო უბანზე (52 331 ჰა) დასრულდა პირველი ეტაპი, ყვარლის სატყეო უბანზე (45 044 ჰა) დასრულდა პირველი ეტაპი თიანეთის სატყეო უბანზე მიმდინარეობს პირველი ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოები (40 924 ჰა). |
| ბიუჯეტი | |
| საპროგნოზო: 850,000 ლარი | ფაქტობრივი: 1,430,325ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელები ს პროცესი მიმდინარეობს | განხორციელები ს პროცესი შეჩერებულია | განხორციელებ ის პროცესი შეწყვეტილია | განხორციელებ ის პროცესი დასრულებულ ია |
| | სტატუსი | | | | | X |

## ამოცანა 2.4: ენერგო-ეფექტური და განახლებადი ენერგიის ტექნოლოგიების და პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა

2.4 ამოცანის შესრულების მიზნით, 2023 წელს 1 აქტივობა განხორციელდა ბიოსაწვავის წარმოების შესახებ კანონქვემდებარე აქტების შემუშავების შესახებ. აქტივობა განხორციელდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ.

**ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული აქტივობების შედეგად, 2023 წლის განმავლობაში:**

⇒ მომზადებულია 1 კანონქვემდებარე აქტის პირველადი სამუშაო ვერსია.

### აქტივობა 2.4.1: ბიოსაწვავის წარმოების შესახებ კანონქვემდებარე აქტების შემუშავება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

აქტივობის მიზანი: ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება, ეკოსისტემების შენარჩუნება, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია.

განხორციელებული ღონისძიებები: მიმდინარე ეტაპისთვის, შერჩეულია დონორი ორგანიზაცია, რომელიც დაამუშავებს კანონქვემდებარე აქტებს. ასევე, აღსანიშნავია, რომ უკვე მომზადებულია 1 კანონქვემდებარე აქტის პირველადი სამუშაო ვერსია, რომელიც საჭიროებს განხილვას დაინტერესებულ მხარეებთან. აღნიშნული კი დაგეგმილია 2024 წლის განმავლობაში. კანონქვემდებარე აქტების დასამტკიცებლად, პირველ ეტაპზე, საჭიროა „განახლებადი წყაროებიდან ენერგიის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ“

საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანა და შემდგომში მისი დამტკიცება საქართველოს პარლამენტის მიერ. ამ ეტაპზე, ცვლილებების პროექტი წარდგენილია საქართველოს მთავრობისთვის, მიმდინარეობს შენიშვნების ასახვა, რის შემდეგაც მოხდება მისი პარლამენტში განსახილველად წარდგენა. აღნიშნული ცვლილებების მომზადება განპირობებულია განახლებადი ენერგიების ახალი დირექტივის- DIRECTIVE (EU) 2018/2001 OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 11 December 2018 on the promotion of the use of energy from renewable sources (recast) გადმოტანის აუცილებლობით. ამგვარად, კანონში ცვლილებების განხორციელების შემდგომ, მოხდება ბიოსაწვავის წარმოების შესახებ კანონქვემდებარე აქტების საბოლოო ვერსიების ჩამოყალიბება და მათი 2024 წლის განმავლობაში დამტკიცება.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

საანგარიშო პერიოდში, მომზადდა 1 კანონქვემდებარე აქტის პირველადი სამუშაო ვერსია.

| ამოცანა 2.4 ენერგო-ეფექტური და განახლებადი ენერგიის ტექნოლოგიების და პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 2.4.1. ბიოსაწვავის წარმოების შესახებ კანონქვემდებარე აქტების შემუშავება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2023 – 31.12.2023 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2023 წელს, პარლამენტს დასამტკიცებლად წარედგინება 1 კანონქვემდებარე აქტის პროექტი | **შესრულებული:**<br>მომზადებულია 1 კანონქვემდებარე აქტის პირველადი სამუშაო ვერსია. |
| ბიუჯეტი | |
| **საპროგნოზო:** 0 | **ფაქტობრივი:** 0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | | X | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

## ამოცანა 2.5: აგრო-ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება

2.5 ამოცანის შესრულების მიზნით, 2023 წელს 2 აქტივობა განხორციელდა, მათ შორის საქართველოს ფაუნის ადგილობრივ ჯიშებზე და პოპულაციებზე კვლევების ჩატარება ერთწლოვან და მრავალწლოვან კულტურებზე კვლევების ჩატარება. ამოცანის ყველა აქტივობა განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის

სამინისტროსა და მის სტრუქტურაში შემავალი სსიპ - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ.

**ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული აქტივობების შედეგად, 2023 წლის განმავლობაში:**

⇒ 2023 წელს, კვლევაში არსებული ინდივიდების რაოდენობა არის 5467 სული; სანაშენე ცხოველების რაოდენობა არის 90 სული;
⇒ კოლექციაში ჩართულია მრავალწლიანი კულტურების დაცული რაოდენობა 2223 ძირი; გენბანკში დაცული ნიმუშების რაოდენობა 1087 ნიმუში.

**2.5 ამოცანის შესრულების მიზნით 2023 წელს, სახელმწიფოს მიერ, ამოცანის განხორციელებისთვის გახარჯულია 2,391,927.93 ლარი.**

## აქტივობა 2.5.1 საქართველოს ფაუნის ადგილობრივ ჯიშებზე და პოპულაციებზე კვლევების ჩატარება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

აქტივობის მიზანი: საქართველოში გავრცელებული შინაური ცხოველების, ფრინველების, თევზების და სამეურნეო-სასარგებლო მწერების ადგილობრივი ჯიშების და პოპულაციების აღდგენა-გაუმჯობესება და გენეტიკური ბანკის შექმნა.

**განხორციელებული ღონისძიებები**

- შინაური ცხოველების, ფრინველების, თევზების და სამეურნეო-სასარგებლო მწერების ადგილობრივ ჯიშებსა და პოპულაციებზე ტარდება კვლევები: მოძიებულია ადგილობრივი ჯიშებისა და პოპულაციების ტიპიური სულადობა, შესწავლილია და შექმნილია მიკროსასელექციო ბირთვები და აუქციონის წესით გადაცემულია ფერმერულ მეურნეობას, სადაც გრძელდება ცენტრის შესაბამისი სპეციალისტების ზედამხედველობა და შესაბამისი კვლევები.
- გომარეთის ფერმაში ნახირის კომპლექსური შეფასების საფუძველზე ჩამოყალიბდა ფურების სანაშენე ბირთვი, დაიწყო ფერმის სანაშენედ მომზადების სამუშაოები;
- ჩატარდა პირუტყვის ინვენტარიზაცია.
- ელექტრონულ ჟურნალებში შეტანილია მეგრული წითელი ჯიშის ნახირების, დმანისის სადგურის და გომარეთის ფერმის კავკასიური წაბლა ჯიშის პირუტყვის და ქართული მთის ჯიშის შესწავლის მასალები;
- მოწესრიგებულია პროდუქტიულობის ინდივიდუალური ბარათები, ჩატარებულია ბონიტირება, სამუშაოები შესრულებულია კავკასიური წაბლა ჯიშის 70 ფურზე, მეგრული წითელი საქონლის 38 და ქართული მთის ჯიშის 8 ფურზე;

- ქართული მთის ჯიშის ცხოველების მიკრონახირის მოშენების და სელექციის მიმდინარე სამუშაოები განხორციელებულია საცდელი ფერმის 19 სულ პირუტყვზე, მ.შ. 8 ფური და 11 მოზარდი.
- მეგრული წითელი ჯიშის საცდელ ბაზებზე განხორციელდა ფურების მერძეული პროდუქტიულობის და მოზარდის განვითარების მიმდინარე კვლევა;
- დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ გომარეთის ნახირში დაიწყო სანაშენე ფურების სასელექციო ჯგუფის ფორმირება. სასელექციო ჯგუფი შეიქმნა 25 სულზე;
- დმანისის სასელექციო სადგურში გრძელდებოდა კავკასიური წაბლა ჯიშის მოზარდეულის განვითარების შესწავლა, დეკეულების დაგრილება, ნამატის მიღება. მოზარდის აწონვა და გაზომვა შესრულებულია 6 სულ მოზარდზე.
- ჯავახეთის ზონაში გრძელდებოდა საცდელ ფერმების პროდუქტიულობის შესწავლა: "ჩატარდა ბონიტირება ალათუბნის ფერმაში 40 ფურზე და 1 კურო-მწარმოებელზე;
- შერჩეული იქნა 3 კურაკი განთიადის საცდელ ბაზაში შემდგომი გამოზრდის მიზნით."
- ელექტრონულ ჟურნალებში შეტანილია მეგრული წითელი ჯიშის ნახირების, დმანისის სადგურის და გომარეთის ფერმის კავკასიური წაბლა ჯიშის პირუტყვის შესწავლის მასალები.
- შედგენილია კახური და სვანური ღორის მოზარდის ზრდის დინამიკა;
- განხორციელდა მივლინება ნაყოფის მომცემი ტყის მასივების და კახური და სვანური ღორის ტიპიური ეგზემპლარების გამოსავლენად.
- მიმდინარეობს კახური ღორის ზოოტექნიკური აღრიცხვის წარმოება - მოგება, იდენტიფიკაცია, მერძეულობის დადგენა, ზრდის დინამიკის შესწავლა 12 თვემდე,
- მიმდინარეობს ახალი ფუნქციური ნაერთებით გამდიდრებული საკვების რეცეპტურის შემუშავება მეღორეობაში;
- შედგენილია ფრინველის, ღორის, ცხვრის ბონიტირების ინსტრუქცია;
- გადაშენების ზღვარს მისული ქართული ნახევრად ნაზმატყლიანი და ნაზმატყლიანი ცხიმკუდიანი ცხვრის ჯიშების საკოლექციო ჯგუფებში ჩატარებულია მონიტორინგი ზრდა-განვითარებაზე;
- ნახევრადნაზმატყლიანი და ნაზმატყლიანი ცხვრის სულადობა შეადგენს 64 სულს, მ.შ. 25 ნაზმატყლიანი, 39 ნახევრადნაზმატყლიანი;
- მოძიებულია სულ 37 სული თუშური ცხვარი. აწონილია მთლიანი სულადობა სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. მიმდინარეობს მიღებული მონაცემების ბიომეტრული დამუშავება.
- ამჟამად კვლევაში ჩართულია 78 სული იმერული ცხვარი. აწონილია მოზარდეული. დამუშავებულია რძის ნიმუშები. მიმდინარეობს მონაცემების ბიომეტრული დამუშავება. ჩატარებულია საშემოდგომო ბონიტირება. იმერული ცხვარი არის 1 კლასის. დადგენილია იმერული ცხვრის მატყლის გამოსავლიანობა.
- სულ არის მეგრული ჯიშის თხის 29 სული 1 კლასის, 2 ნეზვი არის ელიტა კლასის. აღებული მოზარდეულის სხეულის განაზომები, ჩატარდა პირველადი ბონიტირება, ჩატარებულია თხის სულადობის მონიტორინგი.
- ფრინველებში დაიწყო საგაზაფხულო კვერცხდებისა და ფიზიკური მაჩვენებლების დადგენა იმ ფერმერულ მეურნეობებში, რომლებსაც გადაეცათ ადგილობრივი ფრინველი;

- გრძელდება ადგილობრივი ქათმის, ჩალისფერი ინდაურის და ჭრელი იხვის საზაფხულო და საშემოდგომო კვერცხდების მაჩვენებლების განსაზღვრა და კვერცხის ფიზიკური მაჩვენებლების შესწავლა;
- შემუშავებულია ზამთრის სეზონის საკვები რეცეპტები და შედგენილია ულუფები ადგილობრივი ფრინველისა და ჩალისფერი ინდაურისთვის.
- თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფ. სიმონეთის ფერმერული მეურნეობაში, წარმოებს ადგილობრივი ფრინველის გამოზრდა და მიმდინარეობს დაკვირვება.
- მიმდინარეობს ჯავახური ბატის პოპულაციების მოზარდეულის ზრდის დინამიკის შესწავლა.
- აღებულია ჰიბრიდული კობრის ექსტერიერის 13 განაზომი.
- დადგენილია 3 წლის ჰიბრდული კობრის ბიომასა
- განხორციელდა ნიადაგის 167 ნიმუშის აღება და ახალციხის, ასპინძის, ადიგენის, ბოლნისის და დმანისის მუნიციპალიტეტებში
- გაგრძელდა საქმიანობა ხაშმის ზუთხსაშენში - ჩატარდა ბონიტირება და ჰიბრიდული თევზის ჯიშიერების დადასტურება მორფოლოგიური ნიშნებით
- დადგინდა ფუტკრის ოჯახების გამოზამთრების შედეგები. შევსებულ იქნა სანაშენე ფუტკრის ოჯახების საკვები მარაგი.
- ჩატარებულია საფუტკრის აღწერა;
- განხორციელდა გურული პოპულაციის ფუტკრის ოჯახების ბონიტირება;
- ჩატარებულ იქნა ფუტკრის ოჯახების საშემოდგომო აღწერა.
- სათაფლე პროდუქტიულობა თითოეულ სანაშენე ოჯახზე მერყეობდა 9.3-11.7 კგ ფარგლებში,
- საშემოდგომო აღწერისას სანაშენე ფუტკრის ოჯახების სიძლიერემ საშუალოდ შეადგინა 6.5-7 - ჩარჩო-ფუტკარი;
- განხორციელდა მეგრული პოპულაციის მორფოლოგიური კვლევა.
- გამოირჩა ჯანსაღი გრენა დაახლოებით 800-1000 ნადების რაოდენობით; მიღებულია თუთის აბრეშუმხვევიას 65 ჯიშისაგან აბრეშუმის პარკი, რომელიც დაიჭრა და მომზადდა მომდევნო თაობის გრენის მისაღებად.
- ჩატარდა ხმელი პეპლის მიკროანალიზი; გამოირჩა ჯანსაღი ინდივიდების გრენის ნადებები;
- დამზადდა და გამოირჩა თუთის აბრეშუმხვევიას 70-მდე ჯიშის დაახლოებით 1500 ნადები ჯანსაღი გრენა და 20 გრ ჰიბრიდული გრენა.
- რისკების შეფასებისათვის დამუშავებულია ინფორმაცია ბლუთანგის დაავადების გადამტანის, ვექტორი მწერების ტაქსონომიის, მსოფლიოში გავრცელების, საქართველოში შემოჭრისა და გავრცელებაში შესაძლო როლის შესახებ.
- გაანალიზდა ბლუთანგის საქართველოში შემოჭრის ინვაზიურობის რისკი, შემუშავდა განსახორციელებელ რეკომენდაციათა პაკეტი და მომზადდა ერთიანი სახელმძღვანელო დოკუმენტი ბლუთანგის რისკის შეფასების შესახებ;
- დამუშავებულია სუდანის ჯგუფის საღებავებით დაბინძურებული სხვადასხვა კატეგორიის სურსათის მოხმარებით განპირობებული რისკის შეფასების საფრთხის შესახებ ინფორმაცია. წარმოდგენილია რისკის შეფასების დოკუმენტის სამუშაო ვერსია;

- ჩამოყალიბდა ლაქებიანი ჭიჭინობელას რისკის შემფასებელ მეცნიერთა ჯგუფი; ფიტოსანიტარული რისკის შეფასების მეცნიერთა ჯგუფის მიერ შერჩეულია EPPO-ს PM 5/2 სტანდარტის მიხედვით შემუშავებული რისკის შეფასების მეთოდოლგია
- შეიქმნა ლაქებიანი ჭიჭინობელას ქვეყანაში შემოჭრის და გავრცელების გზების რისკის შეფასების დოკუმენტი.
- რისკის შეფასების სამსახურმა, რისკის მართველებთან და დაინტერესებულ მხარეებთან ერთად ჩამოაყალიბა რისკის მინიმიზაციის რეკომენდაციების საბოლოო ვერსია კვლევაში მყოფი სამივე (ბლუთანგის დაავადების, სუდანის ჯგუფის საღებავების, ლაქებიანი ჭიჭინობელას) რისკისათვის.
- ჩატარდა ანალიზი - ვეტერინარიის კუთხით გამოკვლეული ცხოველების ჰელმინთოზური დაავადებების გავრცელების შესახებ - მიღებულ შედეგებზე და დადგინდა რომ დასავლეთ საქართველო კვლავ რჩება არაკეთილსაიმედო სხვადასხვა ჰელმინთოზური დაავადებების მიმართ; დასავლეთ საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში ექსპედიციებისთვის მომზადდა გეგმა-გრაფიკი და განისაზღვრა მიკროარეალები ნიმუშების შესაგროვებლად.
- განხორციელდა ექსპედიციები სამეგრელო-ზემო სვანეთის და გურიის რეგიონების მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სისხლის ნიმუშების სეროლოგიური გამოკვლევის მიზნით მაღალმთიან საძოვრებზე.
- ჩატარდა ესპედიცია გურიის რეგიონში. გამოკვლეულია სისხლის 46 ნიმუში ბრუცელოზზე. გამოვლენილია 4 დაავადებული ცხოველი.
- განხორციელდა ექსპედიციები სამეგრელო-ზემო სვანეთის და გურიის რეგიონების სისხლის ნიმუშების სეროლოგიური გამოკვლევა მაღალმთიანი საძვრობზე. ჩატარებულ იქმა 120 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის (მრპ) სისხლის ნიმუშების სეროლოგიური გამოკვლევა. გურიის რეგიონში გამოვლენილ იქნა 6 ბრუცელოზით დაავადებული მრპ.
- ასევე, აღნიშნულ რეგიონებში აღებულ იქნა მრპ-ის 22 გაერთიანებული კოპროლოგიური ნიმუში, მოხდა მათი კონსერვაცია შემდგომი პრაზიტოლოგიური კვლევისთვის.
- ვეტერინარიული სამსახურის მიერ განხორციელდა ვიზიტები იმერეთის და აჭარის რეგიონებში, აღებულია სისხლის 137 ნიმუში, გამოკვეულია 15, გამოვლენილია ბრუცელოზის 2 შემთხვევა;

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2023 წელს დაგეგმილი იყო: კვლევაში არსებული ინდივიდების რაოდენობა 4658 სული; სანაშენე ცხოველების რაოდენობა 90 სული;

ფაქტიურად: კვლევაში არსებული ინდივიდების რაოდენობა არის 5467 სული; სანაშენე ცხოველების რაოდენობა არის 90 სული;

2023 წელს, პროგრამის განხორციელებისთვის დაგეგმილი ბიუჯეტი შეადგენდა 498,000 ლარს, ხოლო ბიუჯეტის ფაქტობრივმა ათვისებამ შეადგინა 530,389.25 ლარი.

**ამოცანა 2.5: აგრო-ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება**

| | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 2.5.1: საქართველოს ფაუნის ადგილობრივ ჯიშებზე და პოპულაციებზე კვლევების ჩატარება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი: | 01.01.2023 – 31.12.2023 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:** 2023 წელს: კვლევაში არსებული ინდივიდების რაოდენობა: 4658 სული სანაშენე ცხოველების რაოდენობა: 90 სული. | **შესრულებული:** 2023 წელს, კვლევაში არსებული ინდივიდების რაოდენობა არის 5467 სული; სანაშენე ცხოველების რაოდენობა არის 90 სული. |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 498,000 ლარი | **ფაქტობრივი:** 530,389.25 ლარი. |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

## აქტივობა 2.5.2: ერთწლოვან და მრავალწლოვან კულტურებზე კვლევების ჩატარება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

აქტივობის მიზანი: ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურების გენოფონდის შენარჩუნება, მათი გაშენების, მოვლა-მოყვანის, ბიო აგრო-წარმოების ინოვაციური ტექნოლოგიების შემუშავება.

**განხორციელებული ღონისძიებები**

- კვლევები მიმდინარეობდა ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურების გენოფონდის შენარჩუნების, მათი გაშენების, მოვლა-მოყვანის, ბიოაგროწარმოების ინოვაციური ტექნოლოგიების შემუშავების მიმართულებით, რომლის მიზანია ადგილობრივი გენეტიკური რესურსების მოძიება, აღდგენა და შენარჩუნება, რაც გულისხმობდა როგორც ცოცხალი კოლექციების, ასევე გენბანკის შექმნას მათი გრძელვადიანი კონსერვაციისთვის.
- ბიოაგროწარმოების განვითარებისათვის ჩატარებული კვლევების ფარგლებში შესწავლილია ბიოპრეპარატები
- წილკნის საცდელი ნაკვთისათვის სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურებთან შესათესად ურთიერთშეთავსებადობის პრინციპების შესაბამისად შეირჩა და დაითესა არომატული მცენარეები;

- ჩატარდა კვლევები სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების თანამედროვე სამანქანო ტექნოლოგიების შესასწავლად: განხორციელდა ნიადაგისა და გარემოს დამცავი ტენშემაკავებელი ტექნოლოგიების და ტექნიკური საშუალებების დამუშავება.
- ახალი ფორმის გოგირდოვანი თიხის კომპოზიტის გამოცდისათვის მრავალწლოვანი კულტურებიდან შერჩეულია ვაზი, ერთწლოვანი კულტურებიდან - პამიდორი, გოგრა და კიტრი. მიმდინარეობს კვლევები მისი გავლენის შესასწავლად.
- ქერის ახალი ნიმუშების მოძიების მიზნით მოეწყო 1 ექსპედიცია დედოფლისწყაროს მუნიციპალტეტში და 2 ექსპედიცია ფშავ-ხევსურეთსა და დუშეთის მუნიციპალიტეტში;
- განსაზღვრულია ქერის სხვადასხვა ჯიშის ბიოსამეურნეო მაჩვენებლები:
- განხორციელდა ლობიოს, მუხუდოს, ცულისპირას, პომიდვრის, საგაზაფხულო ხახვის, სელის და კომბოსტოსნაირების საცდელი ნიმუშების მოსავლის აღება და მისი ბიომეტრიული დამუშავება
- მომზადდა პრეზენტაცია „ლურჯი მოცვის წამოების აგროტექნოლოგია“
- შემდგომი კვლევებისათვის გასული წლის მოსავლისაგან მიღებულია 950 ლ მოცულობის წითელი და 1050 ლ მოცულობის თეთრი ღვინო.
- მოხდა 210 მდე ჯიშის ვაზის სიჯანსაღის და ქიმიური პარამეტრების შეფასება და ანალიზი
- მიმდინარეობს 112 ჯიშის ყურძნის ალკოჰოლური დუღილის კონტროლი;
- ვაზის საკვლევი ნიმუშების ფარგლებში თითოეული ჯიშის მიხედვით განსაზღვრული იქნა საერთო შაქრიანობა, ტიტრული მჟავიანობა, ყურძნის წვენის pH მაჩვენეელი;
- შესწავლილი იქნა საკვლევი ჯიშების ენოკარპოლოგიური მახასიათებლები;
- საანგარიშო პერიოდში საცდელი ვაზის ჯიშების ფოთლებში გამოკვლეულია პიგმენტების (ქლოროფილი ა და ბ; კაროტინოიდები) შემცველობა, თავისუფალი წყლისა და მშრალი ნივთიერებების დინამიკა, ვარიაბელური ფლუორესცენცია- Fv და ელექტრონების ტრანსპორტის ინტენსივობა- ETR ფოტოსისტემებს შორის.
- 5 %-იანი კაოლინით დამუშავებული ვაზის ფოთლებში შესწავლილია პიგმენტების რაოდენობა, ფლურესცენციის პარამეტრების ცვლილებები, ფოტოსინთეზის ინტენსივობისა და ტრანსპირაციის დინამიკა.
- გაიზომა ახალი სისტემით ფორმირებული ბლის ხეების ნაზარდი ბიომეტრულად.
- ჩატარდა ვაშლის 6 ფორმის, კომშის 4 ფორმის და ნუშის 5 ჯიშის - სიმწიფის ფენოფაზის მიმდინარეობაზე დაკვირვება.
- ჩატარდა კაკლოვანი ხილის (ნუში, კაკალი) ხის ბიომეტრული აღწერა.

- განისაზღვრა კომშის 4 ფორმის და ნუშის 5 ჯიშის  ხის საშუალო მოსავალი. ჩატარდა კომშის 4 ფორმის და ნუშის 5 ჯიშის ნაყოფების დახასიათება;
- თესლისა და სარგავი მასალის სერტიფიცირების მიზნით სათესლე და სარგავი მასალის მწარმოებელთა რეესტრს დაემატა სარგავი მასალის 5 მწარმოებელი;
- შემოსული განაცხადის საფუძველზე ჩატარდა 3 სანერგის ინსპექტირება.
- საანგარიშო პერიოდში მიღებულია ფაროსანას კვერცხდებები, რომლებიც იყინება და ინახება მაცივარში, შემდგომ პარაზიტოიდების მოსაზიდად და გასამრავლებლად;
- საქართველოს ტყის იშვიათი და რელიქტური სახეობების შესწავლისათვის მოეწყო მივლინებები აჭარასა და გურიაში და ჩატარდა საკვლევი სახეობების ინვენტარიზაცია;
- დაზუსტდა შესასწავლი სახეობების გავრცელების საზღვრები, აღმონაცენი, სიხშირე, კორომები და მიკროჯგუფები.
- დამუშავებულია მასალები ვერხვების პროდუქტიულობის შესახებ, განსაზღვრულია ნახშირბადის აკუმულირების პოტენციალი, თბოუნარიანობა და ენერგეტიკული პოტენციალი, მომზადდა რეკომენდაციები
- მუხის ფოთლის ნიმუშებზე მიმდინარეობს მორფომეტრიული გაზომვები,ზუსტდება სახეობის მახასიათებლები; მუხების შესახებ დამუშავდა ინვენტარიზაციის მასალები;
- თხილის კულტურაში გამოვლინდა ალტერნარია 10-15%, ანთრაქნოზი 20%, მათი ტოქსიურობის შესასწავლად დაყენებულია ცდები
- მიმდინარეობს ვაზის 4 ვირუსული დაავადების, თხილის, ლურჯი მოცვისა და ზეთისხილის ბაღების დაავადებების ლაბორატორიული კვლევა;
- შესწავლილი იქნა საცდელ-სადემონსტრაციო ნაკვეთზე  ხეხილოვან კულტურების ძირითადი, პრობლემური დაავადებების სახეობრივი შემადგენლობა და დამუშავდა ბიოპრეპარატებით;
- განხორციელდა ხეხილოვან კულტურებსა და თხილში აზიური ფაროსანას ბიოაგენტების ძიება;
- მარშრუტული გამოკვლევების შედეგად მოხდა ვაზის ფიტოპლაზმური დაავადებების სიმპტომიანი ნიმუშების შეგროვება საანალიზოდ  და ჩატარდა ლაბორატორიული დიაგნოსტიკა.
- შეგროვდა დნმ-ის საექსტრაქციო მასალა ვაზის 30 ჯიშიდან და განხორციელდა დნმ ექსტრაქცია.
- ვაზის სხვადასხვა ჯიშის დნმ-ზე ჩატარდა PCR რეაქციები ვაზის მიკროსატელიტური დნმ-ის მარკერების გამოყენებით. მიღებულია 70 სინჯი PCR პროდუქტი.

- ვაზის საკვლევი ჯიშების დაუჩრდილავ და დაჩრდილულ ფოთლებში და ასევე 5 %-იანი კაოლინით დამუშავებულ ვაზის ფოთლებში შესწავლილია პიგმენტების და წყლის რაოდენობა, ასევე ფლუორესცენციის მახასიათებლები და ფოტოსინთეზის ინტენსივობა.
- პროფილატორისა და ჩიზელის გამოცდის მიზნით გორის მუნიციპალიტეტის სოფელ შავშვები, ჩატარდა საშემოდგომო ხორბლის თესვა და შემდგომ ნათესი ფართობის პროფილირება;
- 14 ჰა ნათესი ფართობი მოიხნა მოდერნიზებული ჩიზელის საცდელი ნიმუშით და განხორციელდა მისი დემონსტრირება;
- ქართული ხორბლის სხვადასხვა ჯიშის საფუარის სპონტანური მიკროფლორის შესწავლის ფარგლებში კვლევის საფუძველზე გადარჩეულ იქნა შტამები: თეთრი დიკასთვის-6, მახასთვის -9, ჩელტა ზანდურისთვის-5 შტამი.
- აღებულია პომიდვრის, მუხუდოსა და ცულისპირას საკვლევი ნიმუშები; მასალა დამუშავებულია ბიომეტრიულად;
- განხორციელდა კულტივაცია და დაითესა საშემოდგომო კულტურები;
- ხახვნაირთა და კომბოსტოსნაირების მოსავალი აღებულია და დამუშავებული ბიომეტრიულად;
- მრავალწლოვანი და ნაკლებად გავრცელებული ბოსტნეული კულტურებისთვის (არტიშოკი და სატაცური) შესწავლილია ფენოლოგია და ბიომეტრია;
- აღებულია თამბაქოს მოსავალი და შესწავლილია თამბაქოს ბიომეტრია;
- თავთავიანი კულტურებისთვის დედოფლისწყაროში, ახალქალაქში და წილკანში მოხდა თესვისწინა კულტივაცია;
- დასრულდა სიმინდის იზოლირებული ტაროების აღება. აღებული მოსავალი დასაწყობდა წილკნის ბაზაზე; მიმდინარეობს ტაროების ბოტანიკური დამუშავება;
- განხორციელდა შერეულ ნათესებში მცენარეთა ურთიერთზეგავლენით მიღებული შედეგების მონაცემთა დამუშავება;
- განხორციელდა ნიადაგის მომზადება - მოხვნა საშემოდგომო ქერის ნიმუშების დასათესად;
- ქერის თესვის წინ განხორციელებულია თესლის და ნიადაგის შეწამვლა ბიოპრეპარატებით;
- განხორციელდა ბიოპრეპარატის გავლენის შესწავლა შერჩეული კულტურების მოსავლიანობაზე, მოსავლის ხარისხობრივ მაჩვენებლებზე და მავნე ორგანიზმებზე;

- ანასეულის ლაბორატორიაში საანგარიშო პერიოდში, ოთხ ლოკაციაზე (სოფ. სურები, ანასეული, ნარუჯა, მაკვანეთი) შეგროვილია აზიური ფაროსანას მოზამთრე პოპულაციები;
- შეგროვებულ ფაროსანებს ჩაუტარდათ მიკროსკოპიული გამოკვლევები ენტომოპათოგენური მიკროორგანიზმების გამოსავლენად;
- ფენოლოგიურ ფაზებზე დაკვირვება მიმდინარეობდა საკოლექციო ნაკვეთზე განთავსებულ ციტრუსოვნების, კივის, ფეიჰოას, ავოკადოს, ჩაის და მისკანტუსის მცენარეებზე. საკოლექციო ნაკვეთზე მცენარეებს ჩაუტარდათ ბიომეტრიული გაზომვები.
- დეკემბრის თვეში კივის, ფეიჰოასა და აზიმინას მცენარეებს ჩაუტარდათ სხვლა-ფორმირება. გადაიჭრა მისკანტუსის მცენარეები.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2023 წელს, დაგეგმილი იყო: კოლექციაში ჩართული მრავალწლიანი კულტურების დაცული რაოდენობა 917 ძირი; გენბანკში დაცული ნიმუშების რაოდენობა 920 ნიმუში.

ფაქტიურად: კოლექციაში ჩართულია მრავალწლიანი კულტურების დაცული რაოდენობა 2223 ძირი; გენბანკში დაცული ნიმუშების რაოდენობა 1087 ნიმუში.

2022 წელს, პროგრამის განხორციელებისთვის დაგეგმილი ბიუჯეტი შეადგენდა 1,492,700 ლარს, ხოლო ბიუჯეტის ფაქტობრივმა ათვისებამ შეადგინა 1,861,538.68 ლარი.

| **ამოცანა 2.5: აგრო-ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება** | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 2.5.2: ერთწლოვან და მრავალწლოვან კულტურებზე კვლევების ჩატარება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2023 – 31.12.2023 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:** 2023 წელს, კოლექციაში ჩართული მრავალწლიანი კულტურების დაცული რაოდენობა 917 ძირი; გენბანკში დაცული ნიმუშების რაოდენობა 920 ნიმუში. | **შესრულებული:** 2023 წელს, კოლექციაში ჩართულია მრავალწლიანი კულტურების დაცული რაოდენობა 2223 ძირი; გენბანკში დაცული ნიმუშების რაოდენობა 1087 ნიმუში. |
| **ბიუჯეტი** | |

| საპროგნოზო: 1,492,700 ლარი | ფაქტობრივი: 1,861,538.68 ლარი |
|---|---|

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

# სტრატეგიული მიზანი 3: სურსათის /ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეფექტური სისტემები

სტრატეგიული მიზანი 3 - სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეფექტური სისტემები მოიცავს 4 ამოცანას და 12 აქტივობას.

## ამოცანა 3.1: ევროკავშირის კანომდებლობასთან საქართველოს სანიტრიული და ფოტისანიტარიული სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის დაახლოება

3.1 ამოცანის შესრულების მიზნით, 2023 წელს 2 აქტივობა განხორციელდა, მათ შორის ევროკავშირის კანონმდებლობასთან საქართველოს სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის პროექტის შემუშავება. ამოცანის აქტივობა განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ.

**ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული აქტივობების შედეგად, 2023 წლის განმავლობაში:**

⇒ 2023 წელს, ევროკავშირის კანონმდებლობასთან საქართველოს სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის დაახლოების მიზნით, გათვალისწინებული იყო ევროკავშირის 20 სამართლებრივ აქტთან დაახლოება, აქედან, ევროკავშირის 17 სამართლებრივი აქტთან საკანონმდებლო დაახლოება განხორციელდა გეგმის შესაბამისად, ხოლო დასამტკიცებლად წარდგენილია 3 სამართლებრივი აქტის პროექტი.

⇒ სურსათის ეროვნულმა სააგენტომ, წარმატებით გაიარა ყველა ეტაპი და ევროკავშირის ENPARD-ის ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესაბამისად, საერთაშორისო სტანდარტის, ხარისხის მენეჯმენტის სისტემის სერტიფიკატი - ISO 9001:2015 აიღო.

### აქტივობა 3.1.1: ევროკავშირის კანონმდებლობასთან საქართველოს სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის პროექტის შემუშავება.

<u>პასუხისმგებელი უწყება/დეპარტამენტი:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/სურსათის პოლიტიკის დეპარტამენტი, იურიდიული დეპარტამენტი, საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროინტეგრაციის დეპარტამენტი

<u>აქტივობის მიზანი:</u> ევროკავშირი კანონმდებლობასთან საქართველოს სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის დაახლოება საქართველო-ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) ფარგლებში.

**განხორციელებული ღონისძიებები:** 2023 წელს, ევროკავშირის კანონმდებლობასთან საქართველოს სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის დაახლოების მიზნით, გათვალისწინებული იყო ევროკავშირის 20 სამართლებრივ აქტთან დაახლოება, აქედან, ევროკავშირის 17 სამართლებრივი აქტთან საკანნმდებლო დაახლოება განხორციელდა გეგმის შესაბამისად, ხოლო დასამტკიცებლად წარდგენილია 3 სამართლებრივი აქტის პროექტი.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

| ამოცანა 3.1: ევროკავშირის კანონმდებლობასთან საქართველოს სანიტარიული და ფოტისანიტარიული სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის დაახლოება | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 3.1.1. ევროკავშირის კანონმდებლობასთან საქართველოს სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის პროექტის შემუშავება |
| პასუხისმგებელი უწყება/დეპარტამენტი: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / სურსათის პოლიტიკის დეპარტამენტი, იურიდიული დეპარტამენტი, საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროინტეგრაციის დეპარტამენტი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2023 - 31.12.2023 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2023 წელს, სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიის და მცენარეთა დაცვის სფეროში წარდგენილია მთავრობაზე დასამტკიცებლად საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტები ევროკავშირის 20 სამართლებრივ აქტთან დაახლოვების უზრუნველსაყოფად. | **შესრულებული:**<br>2023 წელს, ევროკავშირის კანონმდებლობასთან საქართველოს სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის დაახლოების მიზნით, გათვალისწინებული იყო ევროკავშირის 20 სამართლებრივ აქტთან დაახლოება, აქედან, ევროკავშირის 17 სამართლებრივი აქტთან |

| | |
|---|---|
| | საკანონმდებლო დაახლოება განხორციელდა გეგმის შესაბამისად, ხოლო დასამტკიცებლად წარდგენილია 3 სამართლებრივი აქტის პროექტი. |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 0 ლარი | **ფაქტობრივი:** 0 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | X | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელე ბის პროცესი შეჩერებულია | განხორციელე ბის პროცესი შეწყვეტილია | განხორციელები ს პროცესი დასრულებული ა |
| | სტატუსი | | X | | | |

## აქტივობა 3.1.2. სურსათის უვნებლობის ხარისხის მართვის სისტემის (QMS) განვითარების ხელშეწყობა (ENPARD IV, ინდიკატორი 1.7.)

| | |
|---|---|
| **ამოცანა 3.1: ევროკავშირის კანონმდებლობასთან საქართველოს სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის დაახლოება.** | |
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 3.1.2. სურსათის უვნებლობის ხარისხის მართვის სისტემის (QMS) განვითარების ხელშეწყობა (ENPARD IV, ინდიკატორი 1.7.) |
| პასუხისმგებელი უწყება/დეპარტამენტი: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2023 – 31.12.2023 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2023 წელს: საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის საფუძველზე (აკრედიტაციის სტანდარტი ISO 9001:2015) შეიქმნება სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს დოკუმენტების მართვის სისტემა | **შესრულებული:**<br>სურსათის ეროვნულმა სააგენტომ, წარმატებით გაიარა ყველა ეტაპი და ევროკავშირის ENPARD-ის ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესაბამისად, საერთაშორისო სტანდარტის, ხარისხის მენეჯმენტის სისტემის სერტიფიკატი - ISO 9001:2015 აიღო. |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | | X | | |

| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
|---|---|---|---|---|---|---|
| | სტატუსი | | X | | | |

## ამოცანა 3.2 ადგილობრივი და საექსპორტო ბაზრებისთვის მიწოდებული პროდუქციის შესაბამისობის უზრუნველყოფა სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ სტანდარტებთან

